საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

2020 წელი

შინაარსი

შესავალი

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამაუწყებლო პოლიტიკა_5
2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები _____14
3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი_____28
4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები_____43
5. საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგები_____43
6. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსი_____53
7. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებები_____59
8. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები_____59
9. საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტი_____62
10. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულება_____68
11. შიდა და გარე აუდიტის დასკვნები_____96

2020 წელი

შესავალი

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის დღიდან ორგანიზაციას ყველაზე მთავარ ვალდებულებად საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება განესაზღვა. ამ მიზნით აჭარის ტელევიზია და რადიო ყოველწლიურად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოს - უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშს. უმაღლეს საბჭოს თავის მხრივ, მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულების შესრულების ზედამხედველობის საკანონმდებლო ფუნქცია გააჩნია.
2013 წლიდან დღემდე, როდესაც დღის წესრიგში დადგა როგორც შინაარსობრივი ისე ტექნიკური თვალსაზრისით ახალი სამაუწყებლო მიდგომების დანერგვის აუცილებლობა და ტელევიზიის გარდაქმნის პროცესი დაიწო, ორგანიზაცია მუდმივად დგას ერთი უმთავრესი ინფრასტრუტურული გამოწვევის წინაშე - ქონდეს მაუწყებლის მოთხოვნებისთვის შესაბამისი შენობა და ამ უმწვავესი საკითხის მოგვარებამდე ყოველწლიურად მნიშნელოვნად დაზარალდება საზოგადოებრვი ინტერესები. შეიძლება ითქვას, რომ ის ინფრასტრუქტურა, რომელიც უძრავი ქონების სახით მაუწყებელს გააჩნია მართვაში, არათუ სრულიად შეუსაბამოა თანამედროვე მაუწყებლობის მოთხოვნებთან, არამედ არის თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში, რაც მაუწყებელს კანონის ზღვარზე სიარულის ტოლფასად უჯდება.

2019 წელს, მაუწყებელში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების შეფასების შედეგად, მრჩეველთა საბჭომ იმსჯელა მაუწყებლის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხზე, გამოიყენა კანონით მრჩეველთა საბჭოსთვის მინიჭებული უფლება და უნდობლობა გამოუცხადა მაუწყებლის დირექტორს. უნდობლობის ინიცირებისას, მრჩეველთა საბჭოს ორმა წევრმა წარადგინა ზოგიერთი სამართლებრივი საფუძველი, რომელიც საბჭომ ამ პროცესისთვის ჩანიშნულ სხდომაზე განიხილა.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ყოველწლიური ანგარიშის სამართლებრივ მოთხოვნებს აწესებს, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი, რომელშიც მოცემულია, ანგარიშში წარმოსადგენი საქმიანობის შინაარსობრივი ასპექტები.

წინამდგებერე ანგარიშში მოცემულია ის შესრულებული სამუშაო, რომელიც მაუწყებელმა 2019 წლის განმავლობაში განახორციელა, ასევე ასახულია საზოგადოებრივი აზრის კვლევა მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ბევრი მიღწეული წარმატებისა, მაუწყებელი ჯერ კიდევ დგას რეფორმირების და მოდერნიზაციის გამოწვევის წინაშე, რაც საზოგადოების და შესაბამისი ინსტიტუტების მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდბა. ამგვარად, მნიშვნელოვანია საზოგადოების ფართო ფენების კონსენსუსი რათა შეუფერხებლად გაგრძელდეს მაუწყებლის შემდგომი განვითარება და საზოგადოებისთვის ხელმისწავდომი გახდეს სრულყოფილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციონირების შედეგად მიღებული სიკეთე.

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამაუწყებლო პოლიტიკა;

1. შინაარსობრივი და სარედაქციო ვალდებულებები

1.1. სამართლებრივი ჩარჩო

საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიის განაცხადი თანამედროვე, დემოკრატიული, თავისუფალი, კანონის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებული, დასავლური ფასეულობების მატარებელი საზოგადოების ჩამოყალიბება და მისი კეთილდღეობის ხელშეწყობაა. მაუწყებელი უნდა ემსახურებოდეს საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა, უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლებიბისა და თავისუფლებების დაცვას, ხელს უწყობდეს განათლების, მათ შორის სამოქალაქო განათლების გავრცელებას და დამკვიდრებას. დემოკრატიული პრინციპების დაცვას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სახით. საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელს უწყობს მოქალაქეების ერთიანი მიზნის ირგვლივ ჩამოყალიბების და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს. ამ მიზნით მაუწყებელი ქმნის თანამედროვე, მრავალფეროვან, მაღალი ხარისხის საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ კონტენტს და უზრუნვლეყოფს მაღალი ხარისხის სამოქალაქო დისკუსიებს საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით, რომელშიც გაწერილია შესასრულებლად სავალდებულო შინაარსობრივი ვალდებულებების სპექტრი. საკანონმდებლო ვალდებულებები ძირითადად ეხება პროგრამების მრავალფეროვნებას, რომლებიც უნდა ეხებოდეს სხვადასხვა სფეროს და ასევე ორიენტირებული იყოს საზოგადოების კულტურული, ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და ასაკობრივი მრავალფეროვნების წარმოჩენაზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე დაცული იყოს თანასწორობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანალთლებლო შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პორგრამებს შორის. მაუწყებელი ვალდებულია საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და წინასაარჩევნო დებატები. საარჩევნო პერიოდში, სამართლებრივი რეგულაციების ჭრილში, მაუწყებელს ემატება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული მედია მოთხოვნები, რაც ასევე სავალდებულოა შესასრულებლად. სარედაქციო კუთხით, კანონი ავალდებულებს მაუწყებელს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიმართულებების - ჩრდილოატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პოპულარიზაციას. ასევე მნიშვნელოვან დანაწესს აკეთებს კანონი ოკუპირებულ

ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირების შესახებ. ამ სამართლებრივ ვალდებულებებს მაუწყებლობის შინაარსთან დაკავშირებით თან ერთვის მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტები, რომელიც კანონის მოთხოვნებს ასახავს, აზუსტებს და განავრცობს. პროგრამული პრიორიტეტები განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებზეც სამაუწყებლო წლის განმავლობაში მაუწყებელმა უნდა გაანაწილოს თავისი რესურსები, განსაზღვროს სამაუწყებლო მიმართულებები და სარედაქციო მიდგომები, განათავსოს ეთერში დაზუსტებული მიმართულებების გადაცემები, დასვას აქცენტები იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომლებსაც მრჩეველთა საბჭო საზოგადოებრივი აზრის კვლევისას და პროგრამული პრიორიტეტების შემუშავებისას გამოკვეთს, როგორც საზოგადოებისთვის საინტერესო და საჭირო საკითხებს. როგორც ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონი, ისე პროგრამული პრიორიტეტები წარმოადგენენ მაუწყებლობის პირველად სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა მაუწყებლის მიერ. გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფესიული და ეთიკური სტანდარტებისთვის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებისთვის აუცილებელია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის (კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილება) და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნათა დაცვა. აღნიშნული სამართლებრივი აქტები არეგულირებს მაუწყებლის პროგრამებისადმი ჟურნალისტების, პროდიუსერების, რედაქტორების და კონტენტზე მომუშავე სხვა პირების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს. კანონით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებისას, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მაუწყებელს შეუძლია მიიღოს დამატებითი პროფესიული თუ სხვა სახის რეგულაციები და შეზღუდვები და დაავალოს მათი შესრულება შესაბამის თანამშრომლებს.

1.2 საანგარიშო წლის მიმოხილვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, მისი საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის დღიდან (2013 წლის 25 დეკემბერი) მიყვება იმ სარედაქციო მიდგომებს, რომელიც მას ,,მაუწყებლობის შესახებ" კანონით აქვს განსაზღვრული. მაუწყებელი თავის პროგრამებში და საინფორმაციო-პოლიტიკური მიმართულებების გადაცემებში ხაზს უსვამს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საჭიროებას და პოლულარიზაციას უწევს აღნიშნულ თემატიკას. გადაცემების სულისკვეთება და სარედაქციო მიდგომა სრულ თანხვედრაშია ევროპული ფასეულობების და ღირებულებების პოპულარიზაციასთან და საპირწონედ მკვეთრად არის გაკრიტიკებული რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკა. აღნიშნული სარედაქციო სტანდარტი მუდმივად დაცულია ყველა

ტიპის გადაცემაში და ამ მხრივ კანონის და პროგრამული პრიორიტეტების მოთხოვნები ზუსტად სრულდება.

რამდენადაც მაუწყებლობის შესახებ კანონი, მაუწყებელს ავალდებულებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტრულ და სპორტულ პროგრამებს შორის ბალანსის დაცვას, ანუ ცალსახად მიუთითებს შემოქმედებითი მიმართულების მრავალფეროვანი გადაცემების წარმოების აუცილებლობაზე, მაუწყებელში ამ მიზნის მისაღწევად საინფორმაციო-პოლიტიკური სტრუქტურული ერთეულის გარდა ფუნქციონირებს, საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების მიმართულების სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობა სწორედ კანონის მიერ მოთხოვნილი შემოქმედებით გადაცემების მომზადება და ბალანსის დაცვაა. აღნიშნული სამსახურის მიერ მომზადებული გადაცემები ძირითადად ეხება შემეცნებით, კულტრულ, საგანმანათლებლო, დოკუმენტურ და სპორტულ მიმართულებებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების მიმართულებით ტელევიზია და რადიო ამზადებდა კანონმდებლობით და პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრულ გადაცემებს, რომლებიც ეხებოდა საზოგადოებაში არსებულ ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ, რელიგიურ, ასაკობრივ და გენდერულ მრავალფეროვნებას. შემოქმედებითი მიმართულების გადაცემები ახორციელბდნენ პროგრამული პრიორიტეტებით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების მოცვას და პროგრამათა სპექტრი, ამ მიმართულების გადაცემებში, მარტივად ერგება პროგრამული პრიორიტეტების მოთხოვნებს.

აჭარის ტელევიზია და რადიო მაუწყებლობისას სარედაქციო და პროგრამული მოთხოვნების რეალიზაციას ახდენდა ძირითადად ზემოაღნიშნული ორი მიმართულებებით - საინფორმაციო/საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წარმოებით. ასეთი ორგანიზაციული მიდგომით სრულიად შესაძლებელია კანონმდებლობის და პროგრამული პრიოროტეტების მოთხოვნათა დაცვა.

2. მაყურებელთა სეგმენტაცია და ტარგეტირება

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო თავისი სამაუწყებლო პრინციპებიდან და რეგულაციებიდან გამომდინარე ვერ იქნება სამაუწყებლო ბაზარზე არსებული სპეციფიკის სარკისებურად მოპასუხე და სატელევიზიო და რადიო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას ავტომატურ რეჟიმში ვერ მოარგებს თავის სამაუწყებლო ბადეს. ორგანიზაცია მაუწყებლობისას უნდა ხელმძღვანელობდეს ე.წ უნივერსალურობის პრინციპით და მისი პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოების ყველა დემოგრაფიულ და სოციალურ ჯგუფზე. არცერთი მოქალაქე არ უნდა დარჩეს სამაუწყებლო პოლიტიკის მიღმა და საზოგადოების ყველა ჯგუფის, თუ ცალკეული ინდივიდის ინტერესი

ასახული უნდა იყოს პროგრამებში და სამაუწყებლო ბადეში. მაუწყებელმა ყველა მოქალაქისთვის უნდა შექმნას მათი ინტერესების სფეროს მორგებული პროგრამული კონტენტი და დაეხმაროს საზოგადოებას ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე უზრუნველყოს საზოგადოების წევრების ფართო მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტრულ თუ პოლიტკურ განვითარებაში. მაუწყებლობა შეუფერხებლად უნდა მიეწოდებოდეს ყველა მოქალაქეს სხვადასხვა ხელმისაწვდომი პლატფორმის მეშვეობით. ეს უნივერსალურობის პრინციპი ასახული უნდა იყოს სამაწუყებლო პოლიტიკაში და პროგრამათა შექმნისა და გადაცემის პროცესში.

საანგარიშო პერიოდისთვის, აჭარის ტელევიზია და რადიო, თავის ტელერადიო მაუწყებლობას ახორციელებდა სატელევიზიო და რადიო არხის საშუალებით, ასევე აქტიური იყო ინტერნეტ სივრცეში და სოციალურ მედიაში. მაუწყებლის არხებზე განთავსებული გადაცემები მიმართული იყო ყველა სოციო-დემოგრაფიულ ჯგუფზე უნივერსალურობის პრინციპით. იყო ხარვეზები საბავშო და ახალგაზრდული მიმართულების გადაცემების წარმოებაზეც და ეს მაყურებელთა სეგემენტი დარჩა არსებითი სამაუწყებლო ინტერესის დაკმაყოფილების გარეშე. დემოგრაფიულ ჭრილში არ ხდებოდა გადაცემების ბადის მიხედვით მაყურებელზე ტარგეტირება. გადაცემების დამზადების და გაშვების პროცესში, ასევე მათი წინასწარი მომაზდებისა და დაგეგმარების პროცესში არ არის გათვალისწინებული გადაცემების ფორმალიზებული წესით განხილვა და გადაცემების ფართო კონცეფციის წარმოდგენა, სადაც განსაზღვრული იქნება გადაცემის მიზნობრიობა და მაყურებელზე სეგმემნტირების პარამეტრები. აქედან გამომდინარე, მაუწყებლის ყველა გადაცემა მზადდებოდა და გადაიცემოდა უნივერსალურობის პრინციპით, რაც ერთის მხრივ ყველა სოციო-დემოგრაფიულ ჯგუფზე ორინეტირებულობას ნიშნავს, მეორეს მხრივ კი ამცირებს გადაცემის მაუწყებლობის ეფექტიანობას მათი აუდიტორიაზე წვდომის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებად სამაწუყებლო ბადის მოქნილობა და მასში გადაცემების სამიზნე აუდიტორიის ინტერესებით განთავსების შესაძლებლობა რჩება. საანგარიშო წელს აუდიტორიის სამიზნე სეგმენტაცია ხდებოდა მხოლოდ რეგიონულ ჭრილში და სოციო-დემოგრაფიული სეგმენტაციის ცალკე მიდგომა არ განხორციელებულა. არც სამაუწყებლო ბადის კომპლექსური ანალიზი და ბადეში პროგრამათა მონაცვლეობა მომხდარა კვლევებისა და მონაცემების საფუძვლეზე, რაც მიუთითებს მაუწყებლობის ტრადიციულ მეთოდებზე და ეფექტიანობის საშუალო ხარისხის დონეზე. დღეისათვის ტელევიზიას და რადიოს აქვს დივერსიფიცირებული სამაუწყებლო პლატფორმები, რაც აუდიტორიის ინტერესების მიხედვით პროგრამათა განთავსების მეტ შესაძლებლობას ქმნის. ინტერნეტმაუწყებლობის განვითარებამ გაზარდა კონტენტის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა პლათფორმების მეშვეობით.

3. გადაცემების ხარისხი და მონიტორინგი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამათა ხარისხი ხშირ შემთხვევაში ჩამორჩება კომერციული აქტორების სამაწუყებლო ბადის ხარისხს. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გარანტირებული დაფინანსების პირობებშიც კი საზოგადოებრივ მაუწყებელს, ცალკეული პოპულარული მიმართულებების სეგმენტშიც უჭირს იმ სამაუწყებლო სტანდარტების დაჭერა, რომლესაც საქართველოს მედია სივრცე სთავაზობს მაყურებელს და მსმენელს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია მოამზადოს ისეთი კონტენტიც, რომელმაც შესაძლოა აუდიტორიის ფართო სპექტრის ინტერესი არ გამოიწვიოს და დარჩეს მცირე აუდიტორიის ყურებადობის/მოსმენის პირობებში, სრულიად მიუღებელია რაიმე ტიპით გადაცემათა ხარისხზე კომპრომისი. ხშირად, მაღალი ხარისხით მომზადებული ისეთი გადაცემებიც, რომლებიც ერთი შეხედვით რჩება ვიწრო აუდიტორიის ინტერესების ჩარჩოში, ხდება პოპულარული სწორედ ხარისხობრივი მაჩვენებლების გამო და მათი ყურებადობა ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება არ აძლევს მაუწყებელს იმის ფუფუნებას, რომ საჯარო დაფინანსების პირობებში სამაუწყებლო ხარისხი დაბალი იყოს მენეჯმენტის არაეფექტიანობის, ან ორგანიზაციის ინსტიტუციური ხარვეზების გამო. არსებული დაფინანსების პირობებში სრულიად შესაძლებელია მაღალი სამაუწყებლო ხარისხის მიღწევა და საზოგადოების ინტერსთა მრავალფეროვანი სპექტრის მოცვა.

საანგარიშო პერიოდისთვის საზოგადოებრვი მაუწყებლის პროგრამათა ხარისხი ხშირად მათი თემატურობით და სამაუწყებლო სივრცეში მათი გამორჩეულობით კომპენსირდებოდა. დღეისათვის მაუწყებელში არ არსებობს ხარისხის რაოდენობრივი, ტექნიკური, ან რეჟისორული შეფასების მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმები, მენეჯმენტის მოწყობის სპეციფიკიდან გამომდინარე კი ერთიანი, უნივერსალური კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბება რთულია. მიმდინარე კონტროლის მექანიზმები კი, როგორც შეფასებით, ისე აღსრულებით ნაწილში, ხარვეზებით მიმდინარეობდა. საზოგადოებრვი მაუწყებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებითან მნიშვნელოვანია შიდა კონტროლის და შეფასების ძლიერი მექანიზმების და ინტელექტუალური რესურსის არსებობა, რაც თავის მხრივ უზრუნვლეყოფს, გარე აქტორებისგან ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის დამოუკიდებელი სისტემის მიგნებების და შედეგების სწრაფ იმპლემენტაციას და მაუწყებლის პროგრამათა საზოგადოების ინტერესების და მედია ბაზრის მოთხოვნების მიხედვით განვითარებას. დღეისათვის გამოწვევად რჩება მაუწყებელში ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მიმართულების ინსტიტუციურად განვითარებული მენეჯერეული რგოლის ჩამოყალიბება, რაც უარყოფითად აისახება პროგრამათა ხარისხზე. აგრეთვე არ არის დადგენილი პროგრამათა მომზადებისა და გაშვების აუდიტორული შეფასების პრეტესტირების პროცესი. ზემოაღნიშნული მიზეზთა ერთობლიობა მაუწებლის საკანონმდებლო მოთხოვნების და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების მონიტორინგისა და პროგრმათა ხარისხის კორექტირების პროცესზე ნეგატიურად აისახება, რაც საბოლოო ჯამში აზარალებს საზოგადოების ინტერესს, მიიღოს მაღალი ხარისხის მრავალფეროვანი მაუწყებლობა.

4. სამაუწყებლო პლატფორმები

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მხოლოდ ტელე და რადიო არხებზე მაუწყებლობის უფლებით აღჭურვავს და შესაბამისად ამ პლატფორმებზე მაუწყებლობისთვის განსაზღვრავს სამართლებრივ პროცედურებს და ნორმებს. თუმცა ტექნოლოგიურმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მესამე, მნიშვნელოვანი - ინტერნეტმაუწყებლობის პლატფორმის შემოღება და განვითარება. საზოგადოებრივი მაუწყებელი, უნივერსალურობის ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა ხელმისაწვდომ სამაუწყებლო არხზე და პროგრამათა დისტრიბუციის საშუალებები უნდა ჰქონდეს მულტიპლატფორმული. ინოვაციური მაუწყებლობის კუთხით მედიაბაზრაზე ყველაზე მეტი შემოქმედებითი რესურსი სწორედ საზოგადოებრივ მაუწყებლებს აქვთ და ამ მიმართულების თამამი ნაბიჯებით ათვისება მხოლოდ მენეჯერული რგოლის ეფექტურობაზეა დამოკიდებული. დღეისათვის მზარდი ინტერნეტმაუწყებლობის სეგმენტი მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს და სამაუწყებლო კონცეფციები და პროგრამები დიდწილად სწორედ ინტერნეტმაუწყებლობაზე უნდა იყოს ადაპიტრებული. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შესაბამისი ადამიანური რესურსების მოზიდვა და არსებულის მუდმივი გადამზადება, რათა სამაუწყებლო პლატფრომების მესამე - ინტერნეტ სეგმენტზე საზოგადოებრივი მაუწყებელი იყოს კონკურენტუნარიანი და სანდო აქტორი. ინტენრენტსივრცეში მაუწყებლობის სპეციფიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული არხებით მაუწყებლობისგან, შესაბამისად ტრადიციულ მაუწყებლებს ამ სეგმენტში ინსტიტუციური მეხსიერება და საკმარისი ინტელექტუალური რესურსი ვერ ექნება, რაც სამომავლო პერსპექტივაში შესაძლოა დიდ გამოწვევად იქცეს. აქედან გამომდინარე აუცილებელია ერთიანი მულტიპლატფორმული მაუწყებლობის სტრატეგიის ჩამოყალიბება.

დღეისათვის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში არსებობს სტრუქტურული რგოლი, რომელიც პასუხიმსგებელია ინტერნეტმაუწყებლობის მიმართულების განვითარებაზე. საანგარიშო პერიოდში ინტენრნეტმაუწყებლობის ინსტიტუციურად განვითარების მიმართულებით აჭარის ტელევიზია და რადიო დგამდა პირველ ნაბიჯებს, რამაც აჩვენა ეფექტიანობის მაღალი ხარისხი, თუმცა რესურსების და პასუხისმგებლობების უკეთ განაწილების, ასევე სწორი ორგანიზაციული მოწყობის პირობებში სრულიად შესაძლებელი იყო კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებზე გასვლა. ერთი რამ უდავოა, სამაუწყებლო პლატფორმები მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს და მათგან ყველაზე ახალი - ინტერნეტმაუწყებლობა კი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და რესურსებს.

5. ფინანსური გამჭვირვალობა და ეფექტიანობა

საჯარო ფინანსები საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია. მიუხედავად კანონით დაშვებული ალტერნატიული დაფინანსების შესაძლებლობისა, საჯარო ფინანსებით იფარება მაუწყებლის საქმიანობის უდიდესი ნაწილი. აქედან გამომდინარე საზოგადოების წინაშე ფინანსური ანგარიშვალდებულება და ხარჯების გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობის მთავარ კომპონენტად გვევლინება. მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს საზოგადოებამ მიიღოს ღირებული პროგრამები და მაუწყებლობა საჯარო ფინანსების სანაცვლოდ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსების გამჭვირვალობა საზოგადოების მხრიდან მაუწყებლის კონტროლის მთავარი ინსტრუმენტია. აქედან გამომდინარე, მაუწყებლის ფინანსური დისციპლინა მაღალ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. სამაუწყებლო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია საჯარო დაფინანსების სწორად და ეფექტიანად ხარჯვა, რაც უნდა აისახებოდეს მაუწყებლობის ხარისხზე. მაუწყებლობის და სამაუწყებლო გადაცემათა მომზადების პროცესში საჯარო ფინანსებით მიღწეული უნდა იქნას ტელე-რადიომაუწყებლობის მაქსიმალური სტანდარტი.

საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, სამაუწყებლო ბადესთან ფინანსების კორელაციის კონტროლის მექანიზმების არარსებობის გამო, რთული იყო გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა, ასევე ვერ ხერხდებოდა მიმდინარე კონტროლის მექანიზმებით დაფინანსებისა და სამაუწყებლო პროგრამების ხაზოვნად შეფასება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში წარმოშობდა დაფინასების წყაროების გაურკვევლობას. მნიშვნელოვანია ფინანსების და პროგრამების მრავალკომპონენტიანი ანალიზი და მაუწყებლობის ეფექტიანობის კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რაც დღემდე მაუწყებელში არ მომხდარა. სამაუწყებლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს თან უნდა ახლდეს მკაცრი კრიტერიუმებით გაწერილი ფინანსური დასაბუთება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია არსებული კანონმდებლობის ბაზაზე ფინანსური პოლიტიკის ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება, რაც აამაღლებს ფინანსურ დისციპლინას და გამორიცხავს ვოლუნტარისტულ ფინანსურ გადაწყვეტილებებს.

6. ორგანიზაციული მოქნილობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურის პირველადი და ყველაზე მაღალი რგოლი განსაზღვრულია მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით, რომელიც მაუწყებელში, სამართლებრივ დონეზე, ორი სტრუქტურული რგოლის არსებობას აწესებს: 1. მრჩეველთა საბჭო; 2. დირექტორი; დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების მოწყობა ხდება მაუწყებლის დებულებით, სამსახურების დებულებით, საშტატო განრიგით და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებით.

მაუწყებლის სტრუქტურული ორგანიზება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამუშაო პროცესების გამართულობაში და დასახული ამოცანების ეფექტიანად გადაჭრაში. სამაუწყებლო პოლიტიკის განხორციელებისას, ორგანიზაციული სტრუქტურის სწორი მოწყობა ამოცანების ეფექტიანად და ოპერატიულად გადაჭრას და ნაკლები დანახარჯებით მაუწყებლობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ორგანიზაციული მოწყობა მაუწყებლობის პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამდენად მნიშვნელოვანია, რომ სამაუწყებლო ამოცანების განსაზღვრისას, სტრუქტურა იყოს ადაპტირებადი ახალ ამოცანებთან და ამავე დროს მაღალი სტანდარტით იცავდეს შრომის და პროფესიულ უფლებებს.

საანგარიშო პერიოდისთვის მაუწყებლის შიდა საორგანიზაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 2016 წელს მიღებული სტრუქტურით, რომლის აუდიტი, ანალიზი და შეფასება დანერგვის შემდეგ არ მომხდარა. თუმცა, ორი დირექტორის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული ცვლილებები იმის მანიშნებელია, რომ მენეჯმენტს არსებული მოწყობით ხელი ეშლება სამაუწყებლო ამოცანების შესრულებაში. ამგვარად, ორგანიზაციული სტრუქტურის მოქნილობა და ახალ ამოცანებზე ადვილად ადაპტირების შესაძლებლობა, შიდა ადმინისტრაციული გამართულობა და სამართლებრივი ფორმებით რეგულაცია მაუწყებლობის თანმდევი შემადგენელი კომპონენტია.

7. სტრატეგიული დაგეგმარება

მაუწყებლობის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, როგორც მოკლევადიანი ხედვის, ასევე გრძელვადიანი დაგეგმარების პროცესის არსებობა. საანგარიშო პერიოდისთვის მაუწყებელს ფორმალიზებული სტრატეგიული გეგმა არ აქვს. სტრატეგიული გეგმის ნაწილად შესაძლებელია მივიჩნიოთ ის გრძელვადიანი და მუდმივმოქმედი სამაუწყებლო ამოცანები, რომლებიც გაწერილია კანონში. ამავე დროს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტში, რომელმაც მაუწყებლის ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების გადანაწილების პრიორიტეტები უნდა განსაზღვროს, შესაძლოა შეტანილი იყოს აუცილებელი მიმართულელების განვითარების გრძელვადიანი ხედვები და გეგმები. მაუწყებლობის სტრატეგიული დოკუმენტი ახლოს უნდა იდგეს მისიის განაცხადის დოკუმენტთან და სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს: აუდიტორიის მაშტაბი და

მისი მოცვის ტაქტიკა; აუდიტორიასთან წვდომის მექანიზმები; სამაუწყებლო არხის/არხების მარკეტინგული და საბაზრო პოზიციონირების ასპექტები; მაუწყებლობის შედეგების გავლენა დემოკრატიის, საზოგადოების ერთიანობის და მრავალფეროვნების განვითარებაზე; მედია ბაზრის განვითარებაზე ზემოქმედების შეფასება; ინოვაციური მიდგომების გეგმა; ორგანიზაციული მოქნილობის კომპლექსური ღონისძიებები; ციფრული მაუწყებლობის განვითარების გეგმა; ფინანსური ანგარიშვლადებულების და ეფექტიანობის პარამეტრები;

სტრატეგიული გეგმის გარეშე მაუწყებლობა, გრძელვადიან პერიოდში საჯარო ფინანსების არაოპტიმალური ხარჯვის რისკებს წარმოქმნის. მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებელში სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მუშაობა პარტნიორებთან ერთად დაწყებული იყო, დამუშავებული დოკუმენტების ფორმალიზება არ მომხდარა.

საბაზისო გამოწვევა - მაუწყებლის შენობა

ინფრასტრუქტურული მოუწყებლობა მაუწყებლის საქმიანობის თანმდევი ურთულესი და მწვავე პრობლემაა. სამწუხაროა, რომ დღემდე მაუწყებელი სახელმწიფოს კუთვნილ შენობას იკავებს. დღეისათვის არსებული დროებითი შენობები, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება მაუწყებლის საჭიროებებს. მაგალითად, მაუწყებლის მთავარი ოფისი მე-19 საუკუნის შენობაა, რომელიც ამავე დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. შეუსაბამო ფართია გამოყოფილი ნიუსრუმისთვის, სატელევიზიო და რადიო პროგრამების შერმოქმედებით ჯგუფებს კი საკუთარი, გამოყოფილი სივრცეები საერთოდ არ გააჩნიათ, შენობაში ვერ ხერხდება ვიდეოსამონტაჟოებისა და კამერების პარკის სათანადო სტანდარტების შესაბამის ოთახებში განთავსება, ფართი არ ყოფნის ვიდეოარქივსა და სერვერებს. რაც ყველაზე მთავარია, არ არის საკმარისი ფართი სატელევიზიო სტუდიებისთვის, ფართის სიმცირის გამო სტუდიები განლაგებულია სამ სხვადასხვა დარბაზში, რაც შესაბამისად სამი სხვადასხვა ლოკაციის აპარატურით აღჭურვას საჭიროებს. არ არის საკმარისი საოფისე ფართიც. რამდენიმე სატელევიზიო პროგრამა იძულებულია გადაცემები ჩაწეროს იმპროვიზებულ სტუდიებში, სხვა შენობებში, ან ღია ცის ქვეშ. აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მოქმედი პროექტები, შემოქმედებითი და ტექნიკური ჯგუფები მიზნის მისაღწევად ფაქტობრივად ძლევენ ურთულეს ამოცანებს. უფრო მეტი და უფრო სრულყოფილი პროგრამების წარმოება ვერ განხორციელდება ახალი, სათანადო შენობის გარეშე.

2. მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტები

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, როგორც კანონით შექმნილი სამაუწყებლო ინსტიტუციის მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს სამოქალაქო აქტივობის, სოციალური სოლიდარობისა და სხვა სამოქალაქო ღირებულებების, კულტურისა და განათლების ხელშემწყობი, პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, მრავალფეროვანი პროგრამები. მაუწყებლის ორიენტირია საქართველოს ყველა მოქალაქე. გავრცელების არეალი - ქვეყნის მთელი ტერიტორია.

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო ტრადიცია, ოფისი ბათუმში და მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების წესი განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ ინტერესს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული პროცესებისადმი.

თავად მაუწყებელი მოქმედებს საჯარო დაფინანსებით, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამულ პრიორიტეტებს. პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებით, სოციოლოგიური კვლევებით, მოქალაქეებთან საჯარო შეხვედრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და საკუთარი გამოცდილებით.

პროგრამული პრიორიტეტების ახალი რედაქციის განსაზღვრისას, მრჩეველთა საბჭო ითვალისწინებს გასული სატელევიზიო/რადიო სეზონის მიღწევებსა და ნაკლს პრიორიტეტების შესრულების თვალსაზრისით. ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოკვეთილ განსაკუთრებულ გამოწვევებს და რამდენიმე მიმართულებით ტელევიზიასა და რადიოს უდგენს ამოცანებს, რომელთა გასაშუქებლად და საზოგადოებისათვის უფრო ნათლად წარმოჩენისათვის უნდა გამოიყოს მეტი საეთერო დრო, შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, კომერციული ან სხვა კერძო ინტერესის მქონე ორგანიზაციისა და

რელიგიური გაერთიანებისაგან. არ უნდა ეწეოდეს კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რელიგიური შეხედულებების პროპაგანდას.

ამ ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო 2018-2019-2020 წლების პროგრამულ პრიორიტეტებს ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მედიისათვის განსაზღვრავს შემდეგნაირად:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

2018 – 2019-2020 წლების პროგრამული პრიორიტეტები

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

1. საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

1.1. ახალი ამბები

მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციით საზოგადოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. შესაბამისად, ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დღის მთავარ და მნიშვნელოვან თემებს, რომლებშიც მაუწყებლის მაყურებლის/მსმენელის მოლოდინის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აჭარაში მიმდინარე ფაქტებსა და მოვლენებს. ზოგადეროვნული ხასიათის თემების გაშუქებისას უნდა შეირჩეს ძირითადად ის საკითხები, რომელთა ეფექტი. შესაძლებელია, გავლენის მქონე იყოს აჭარის რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ახალი ამბები მნიშვნელოვნად უნდა ფოკუსირდეს საქართველოს რეგიონების ცხოვრებაზეც, რომელთა შორის პრიორიტეტული უნდა იყოს აჭარის მომიჯნავე მხარეები.

ახალ ამბებში, გონივრული პროპორციით უნდა დაეთმოს ადგილი, მსოფლიოში მიმდინარე უმთავრესად იმ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ საქართველოსთან. განსაკუთრებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან. საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის საქმიანობაში უნდა იყოს თანმიმდევრული და ობიექტური.

საგანგებო სიტუაციების დროს, როცა ბუნებრივმა მოვლენებმა, ტექნიკურმა ან ინდუსტრიულმა ავარიებმა, ფინანსურმა ან პოლიტიკურმა პროცესებმა, შესაძლებელია გავლენა იქონიონ ადამიანთა სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, ქონებრივ მდგომარეობაზე ან ცხოვრების ჩვეულ რიტმზე, მაუწყებელმა ოპერატიულად უნდა მიაწოდოს საზოგადოებას მიუკერძებელი და ზუსტი ინფორმაცია.

საჭიროების შემთხვევაში მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საგანგებო და სპეციალური საინფორმაციო გამოშვებების ორგანიზება, დროისა და რეგლამენტის შეუზღუდავად.

მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის მნიშვნელოვანი წარმატებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მრჩეველთა საბჭო კიდევ უფრო მეტი ხაზგასმით უდგენს ამოცანებს მაუწყებელს, გასაკუთრებული პრინციპულობით დაიცვას პრიორიტეტებით განსაზღვრული შემდეგი მოთხოვნები:

საზოგადოების ხარისხიანი და ამომწურავი ინფორმირებისათვის აუცილებელია მწვავე და აქტუალური საკითხები, რომლებიც აისახება მაუწყებლის საინფორმაციო საქმიანობაში და, რომელთა დაძლევისათვის ან განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული დრო, გონივრული პერიოდულობით კვლავ უნდა გახდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკვირვების საგანი. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ცნობები პრობლემათა პოზიტიური ან ნეგატიური დინამიკის, მასში ჩართული საზოგადოების, ჯგუფების, პიროვნებებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ქცევათა შესახებ. აუცილებელია მაუწყებლის ცალკეული მიმართულება იცავდეს კოლეგიალობისა და სოლიდარობის პრინციპებს და თავიანთ საქმიანობაში გუნდები მხარს უჭერდნენ ერთმანეთს.

1.2. დისკუსია, დებატები/ანალიტიკა

მაუწყებლის მიზანია, ხელი შუწყოს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას; პოლიტიკურ, საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ გამჭვირვალობას; მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დისკუსიებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თოქ-შოუების მომზადებასა და მათთვის საუკეთესო საეთერო დროის დათმობას. თოქ-შოუებმა სპეციალისტების, პროფესიონალების, კვალიფიციური პირების, ორგანიზაციების, ასევე რიგითი მოქალაქეების, გენდერული, უმცირესობების, მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობით, თემებისა და შეხედულებების მრავალფეროვნებით, უნდა შეძლონ განსხვავებული ხედვების წარმოჩენა, ჯანსაღი მიდგომების გამოკვეთისა და საზოგადოებრივი კონსესუსისათვის. სათანადო სადისკუსიო დრო და ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე აჭარის მუნიციპალიტეტებს. თოქ-შოუებმა უნდა ასახონ თემების და შეხედულებების მრავალფეროვნება, რისთვისაც უნდა გაიზარდოს მათში რიგით მოქალაქეთა, სამოქალაქო აქტივისტთა, არასახელისუფლებო პოლიტიკური ჯგუფების, ექსპერტთა მონაწილეობის მოცულობა და ხარისხი.

1.2.1.საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები

საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ამ გადაცემებმა მოქალაქეებს საშუალება უნდა მისცენ გაეცნონ და მკაფიო წარმოდგენა შეიქმნან საშინაო და მათ შორის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობაზე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვან შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, ძირითად ორიენტირებზე და გამოწვევებზე, იმ საერთაშორისო მოვლენებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე პროცესებთან კავშირშია ან გავლენას ახდენს მასზე. - განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს შიდა წარმოების ორიგინალურ თოქ-შოუს,

რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში და მასზე მიმართული იქნება მნიშვნელოვანი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი. თოქ-შოუებმა უნდა ასახონ თემების და შეხედულებების მრავალფეროვნება, რისთვისაც უნდა გაიზარდოს მათში რიგით მოქალაქეთა, სამოქალაქო აქტივისტთა, არასახელისუფლებო პოლიტიკური ჯგუფების, ექსპერტთა მონაწილეობის მოცულობა და ხარისხი. - უნდა მომზადდეს სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული დისკუსია, პოლიტიკურ მსოფლმხედველობათა მრავალფეროვნების, გენდერული, უმცირესობათა, მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობისა და რეგიონული პრინციპების დაცვით. გადაცემათა თემების შერჩევისას სახელმძღვანელო უნდა იყოს არა სხვა მედია საშუალებების დღის წესრიგი, არამედ საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს პროგრამული პრიორიტეტები და მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები /მაგ: განათლება, ჯანდაცვა, მიგრაცია და ემიგრანტები, დიასპორა, დევნილები, დასაქმება, ეკოლოგია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მიუსაფარი ბავშვები და მოხუცები, ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლები, და სხვა

1.2.2. მაუწყებლის განსაკუთრებული ყურადღების საგანია არჩევნები. შესაბამისად ტელევიზიამ უნდა უზრუნველყოს წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკუსიის შესაძლებლობა ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, რათა მაყურებელს მისცეს შესაძლებლობა კარგად გაერკვეს საარჩევნო პროგრამებსა და გეგმებში. წინასაარჩევნო დისკუსიები ამომრჩეველს უნდა დაეხმაროს საარჩევნო სუბიექტებისაგან შეთავაზებული პროგრამების რეალობასთან შესაბამისობის კრიტიკულ გააზრებაში.

1.2.3. სოციალურ - ეკონომიკური მიმართულების პროექტები

აჭარის ტელევიზიამ საეთერო ბადეში განთავსებული გადაცემებით უნდა დაძლიოს რეგიონის ქალაქების ურბანული, სამშენებლო, ასევე სოფლის ცხოვრების, ტრადიციული სამეურნეო დარგებისა და ახალი კულტურების დაფუძნების, საგზაო, სატრანსპორტო, სამედიცინო და განათლებასთან დაკავშირებული თემები, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური ასპექტებით.

სპეციალური ანალიტიკური პროექტით უნდა გაშუქდეს რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. ტურისტული და საზღვაოსნო ინდუსტრია აჭარის რეგიონის ერთ-ერთი განსაკუთრებული ნიშანია. შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის გადაცემაში სათანადოდ უნდა ასახონ ამ სფეროების ეკონომიკური და სოციალური მხარეები.

ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების, განსაკუთრებით ახალგაზრდების შრომაში ჩართვის, თვითდასაქმების, ასევე დასაქმებაში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მონაწილეობის ხარისხს. უნდა წარმოჩნდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან კონკრეტული ადამიანები, თავიანთი წარმატებებით, სიძნელეებითა და პერსპექტივებით.

ტელევიზიის ამ მიმართულების პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ: რეგიონში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული პრობლემების

წარმოჩენა; ჯანმრთელობის დაცვის მიღწევები და პრობლემები. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ასევე სადაზღვევო კომპანიების სერვისების ხარისხისა და შესაბამისობის თემები. შ.შ.მ. საზოგადოების, გენდერული, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საკითხები. უნდა წარმოჩნდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობების თანამშრომლობის პოზიტიური მაგალითები. მათი კულტურების, ქცევებისა და ტრადიციების თავსებადობა ზოგად საზოგადოებრივ რიტმთან.

2. საგამოძიებო ჟურნალისტიკა

საგამოძიებო ჟურნალისტიკა რჩება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და პრიორიტეტად. მაუწყებელმა წინა წლებში გამოვლენილი სიძნელეების გათვალისწინებით, კიდევ უფრო მეტი ყურადღება და რესურსი უნდა დაუთმოს საგამოძიებო ჟურნალისტიკას, რომელიც თავისი თემატიკით, ექსკლუზიურობითა და აქტუალობით, გამორჩეულ ადგილს მოიპოვებს მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე. ავტორ(ებ)მა თემების შერჩევისას გახმაურებულ და მწვავე საკითხებთან ერთად, საფუძვლიანად უნდა გამოიძიონ საზოგადოებისათვის უცნობი და ექსკლუზიური ფაქტებიც, რომელთაც გავლენა აქვთ აჭარის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ან მასთან არსებით კავშირშია.

სატელევიზიო სეზონის განმავლობაში უნდა მომზადდეს 12 საგამოძიებო (თვეში ერთი) გადაცემა, რომელსაც რადიოსა და ვებ-გვერდისათვის მიეცემა სათანადო ფორმატი და შესაბამისად აისახება კონკრეტულ პლატფორმებზე.

3. თვითმმართველობა

თვითმმართველობა და მასთან დაკავშირებული საკითხებიც, 2018-2019-2020 წლების პროგრამული პრიორიტეტებით, მაუწყებლისათვის განსაზღვრული ერთერთი მთავარი გამოწვევაა. ამ მიმართულებით სათანადო პროგრამებმა უნდა შეძლონ ფართოდ და კვალიფიციურად გააშუქონ:

ა) თვითთმმართველობის არსი და მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის;

ბ) თემის თვითმმართველობის ქართული ეთნოგრაფიული გამოცდილება;

გ) მოქმედი თვითმმართველობის ხარისხის იურიდიული ანალიზი; შესაძლებლობებისა და პრობლემების კრიტიკული შეფასება.

დ) პრობლემებისა და პერსპექტივების იდენტიფიცირება, აჭარის ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და თემების მაგალითზე.

ე) თვითმმართველობის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამები. გადაწყვეტილების მიღების ფორმალური და რეალური პრაქტიკა.

ვ) მოჩვენებითი ურბანიზაცია, სტიქიური და პროგრამული მიგრაცია. მთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. დარჩენილი სამემკვიდრეო სათესი და სათიბი ფართობები; მოსალოდნელი პრობლემებისა და პერსპექტივების კრიტიკული ანალიზი, სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში.

ზ) ევროპული თვითმმართველობის გამოცდილება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მათ შორის, პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილების ანალიზი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს შიდა წარმოების გადაცემას, (თოქშოუს ან სატელევიზიო ჟურნალი)რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში და მიმართული იქნება მნიშვნელოვანო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

4. ეკოლოგია

თანამედროვე სამყაროს ერთერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემა ბუნების დაცვისა და ბუნებით სარგებლობის საკითხებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არანაკლებ აქტუალურია ჩვენთვისაც, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. შესაბამისად, მაუწყებელმა ყურადღება უნდა დაუთმოს ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორც ზოგადი თვალსაზრისით, ასევე რეგიონის გამოწვევების გათვალისწინებით. წარმოაჩინოს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების პასუხისმგებლობები, ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ბუნებისდაცვით ხელშეკრულებებში და მათი შესრულების ხარისხი.

5. განათლება

მოცემული პროგრამული პრიორიტეტებით, განათლება და მასთან დაკავშირებული ყოველი საკითხის ღრმა ანალიზი, მაუწყებლისათვის დასახული ერთერთი უმთავრესი ამოცანაა. რომლის წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია სათანადო ტელე/რადიო პროგრამებით წარმოჩნდეს:

ა) განათლების მიზანი;

ბ)სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების განათლების მიზანთან ადეკვატურობის ანალიზი;

გ) სკოლამდელი აღზრდა;

დ) სპორტული აღზრდა და ჯანმრთელობა;

ე) სწავლების ხარისხი საჯარო და კერძო სასწავლო დაწესებულებებში, მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და რეალურად მიღებული ცოდნის ზოგადი დონე.

ვ) რეპეტიტორობის პრაქტიკა და რეალურად დახარჯული ფინანსები ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად.

ზ) პედაგოგთა ანაზღაურება და სოციალური პრობლემები;

თ) სასწავლო გრანტები და გადასახადების მოცულობა;

ი) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა მომზადების ხარისხის ადეკვატურობა ბაზრის მოთხოვნებთან. პროფესიით დასაქმების სირთულეები და პროპორცია;

კ) უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სამეცნიერო პოტენციალისა და მიღწევების გავლენა სოციალურ - ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ლ) სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებების განსაზღვრის სტრატეგია და მიღწევათა ხელმისაწვდომობა / სარგებელი. სამეცნიერო პერიოდიკა და მისი ზოგადი ანალიზი.

მ) პროფესორთა და სტუდენტთა უცხოურ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში მივლინების, გაცვლითი პროგრამებისა და სტიპენდირების განსაზღვრის წესის/პრაქტიკის, დახარჯული რესურსებისა და მიღწევების ანალიზი. ამ პროგრამებში მონაწილე პროფესორებისა და სტუდენტების რაოდენობის, პროგრამებით სარგებლობის ინტენსივობისა და ხელმისაწვდომობის ანალიზი.

ნ) პროფესიულ განათლებაზე დახარჯული რესურსებისა და მიღებული შედეგების, შრომის ბაზარზე დამკვიდრების პრობლემათა სოციალ - ეკონომიკური ანალიზი.

ო) ოჯახის, გარემოსა და სასწავლო დაწესებულებების გავლენა ბავშვთა და მოზარდთა ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში. მოსწავლეთა უსაფრთხოების პრობლემები. ჩაგვრა. კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ანალიზი და უსაფრთხოების გზების ძიება.

6. საბავშვო / მოზარდთა გადაცემები

ტელევიზიამ საბავშვო გადაცემების მომზადებისა და ანიმაციური პროდუქციის შერჩევისას უნდა გააცნობიეროს ბავშვისადმი/მოზარდისადმი, როგორც მომავალი აქტიური მოქალაქისადმი პასუხისმგებლობა და შეთავაზებული პროდუქტი გასართობთან ერთად უნდა ატარებდეს აღმზრდელობით ხასიათს. მასში გადმოცემული თემა და აქცენტი უნდა მიანიშნებდეს ძალადობის, ჩაგვრის, სიხარბის, შეუწყნარებლობის მიუღებლობაზე. ყურადღება უნდა გამახვილდეს ქართულ ხალხურ ზღაპრებზე, ქართულ ფოლკლორულ და

ეთნოგრაფიულ ყოფაზე და ამავდროულად, ასაკისათვის შესაფერისი ფორმებით უნდა მიეწოდოთ ცნობები მსოფლიოს ხალხების, განსაკუთრებით მეზობლების, მათი კულტურის,

ისტორიისა და გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ბავშვს მოზარდს გაიგოს და შეიყვაროს საკუთარი კულტურა. გაუჩნდეს ინტერესი და პატივისცემა სხვათა კულტურებისადმი. მოემზადოს ამ კულტურებთან ღირსეული შეხვედრისა და თანამშრომლობისათვის. პროგრამების მომზადებისას ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე ბავშვების/ მოზარდებისა და მშობლების ჯანსაღი ურთიერთობის ფორმებს, რაც თავის მხრივ, პროექტების სამიზნე არეალს გააფართოებს ბავშვებიდან მშობლებისაკენ.

7. ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია

„მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აჭარის მაუწყებლის ვალდებულებაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია.

ა) ემიგრანტების ცხოვრება და მათი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი;

8. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ისტორიის, რელიგიის, ლიტერატურის, მუსიკის, ფოლკლორის, კინოს, თეატრის, ფერწერისა და არქიტექტურის თემები, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე და აქტუალური რაკურსით. ასევე, უნდა მომზადდეს გადაცემები ან მინი-ფილმები იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც რეგიონის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

9. დოკუმენტური ფილმები

მაღალხარისხიანი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით აქტუალური ხასიათის დოკუმენტური ფილმები, რომელიც ამავე დროს ასახავს მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს, აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ფილმების თემატიკა, სულისკვეთება და ხარისხი შესაბამისობაში უნდა იყოს ტელევიზიის პრიორიტეტებთან. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სატელევიზიო სეზონის მანძილზე გონივრული პერიოდულობით მაყურებელს უნდა შესთავაზოს ახალი დოკუმენტური ფილმები.

10. მხატვრული ფილმები

აჭარის ტელევიზიის მნიშვნელოვან პროდუქციას წარმოადგენს კინო, რომელსაც უნდა დაეთმოს 18-საათიანი სამაუწყებლო ბადის 50 პროცენტამდე. მსოფლიო სატელევიზიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კინოჩვენება ყველაზე პოპულარული და რეიტინგულია სამაუწყებლო სივრცეში. არხის სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს მექანიკური პროდუქცია, გავითვალისწინოთ კინოს ჟანრი და ასაკობრივი კატეგორია.

11. სპორტი

აჭარის ტელევიზიამ მნიშვნელოვანი საეთერო დრო უნდა დაუთმოს სპორტს. მსოფლიო და ქართულ პროფესიულ სპორტთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამოყვარულო და ბავშვთა სპორტს. ზოგადად მოზარდთა ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში. ადგილობრივ - საქალაქო და მუნიციპალურ სპორტულ ტურნირებს, მიღწევებს, წარმატებებს, პრობლემებსა და გამოწვევებს ამ მიმართულებით. აჭარის ტელევიზია თავისი სპორტული პროგრამებით, ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ფართო გაშუქებითა და მხარდაჭერით, წარმატებული მოზარდების წარმოჩენით შეიძლება იქცეს არამხოლოდ მხარდამჭერი, არამედ ინიციატორიც ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ბავშვთა სპორტულ აღზრდაში. ამასთანავე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სპორტული მედიცინის საკითხებზეც. მაუწყებლის სადისკუსიო თემატიკის ნაწილია თოქ-შოუ სპორტულ საკითხებზეც. აჭარის ტელევიზიამ თავისი ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა იზრუნოს რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციაზე.

12. ახალგაზრდული და გასართობი პროექტები

ტელევიზიის ეთერით სათანადო დრო უნდა დაეთმოს ახალგაზრდებისათვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს. მათ სტუდენტურ, შრომით, კულტურულ და სპორტულ ინტერესებს. ახალგაზრდა შემოქმედებითი ჯგუფების/გუნდების/პირების მიღწევებს, მათ შემოქმედებასა და პერსპექტივებს. ტელევიზიის ნაწილში პრიორიტეტების გადანაწილება პროცენტულ მაჩვენებელში:

- ინფორმაცია (ახალი ამბები, თოქ-შოუ, ანალიტიკა, საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ეკოლოგია, ევროინტეგრაციის საკითხები, სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება,) -30%

- შემეცნება - (თემატური გადაცემები, თოქ-შოუები) -40%

- გართობა - (მუსიკა, ფილმები, კონკურსები) 30%

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

2018-2019-2020 წლების პროგრამული პრიორიტეტები

რ ა დ ი ო

1. ახალი ამბები

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს დღის მთავარ და განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ზოგადეროვნულ თემებს. განსაკუთრებით იმ საკითხებს, რომლებიც თავისი ეფექტით გავლენის მქონე შეიძლება იყოს აჭარის რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ახალი ამბები ასევე უნდა მოიცავდეს მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ საქართველოსთან. საგანგებო სიტუაციების დროს, როცა მოქალაქეთა ინფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის, საინფორმაციო გამოშვებებისათვის განკუთვნილი დრო, ისევე როგორც მოცულობა, შეუზღუდავია.

2. საზოგადოებრივ -პოლიტიკური მიმართულება

საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მიმართულებამ უნდა მოიცვას პოლიტიკაში, რეგიონის ხელისუფლებაში, რეგიონის თვითმმართველობებში, ეკონომიკაში, სამართალში, რელიგიურ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სამართალდამცავ და სასჯელაღსრულებით სფეროებში, კულტურაში, მედიაში, განათლებაში, მედიცინაში, ეკოლოგიაში, სპორტში, ურბანულ და სასოფლო განვითარებაში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესი. ამ მიმართულებით არსებული მიღწევები, სიძნელეები, წინააღმდეგობები და გამოწვევები. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჟურნალისტური დაკვირვების საგანი გახდეს ისეთი თემებიც, რომელთა მიმართაც გარკვეულ ეტაპზე არ არსებობს რაიმე საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ თავისი მნიშვნელობით შესაძლებელია შეიცავდეს გარკვეულ პოზიტიურ ან ნეგატიურ პოტენციას და მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მისდამი საზოგადოებრივი ყურადღება, შემდგომი პროგრესის ან პრევენციის თვალსაზრისით. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მომზადდეს პოლიტიკური დისკუსიები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსია მსმენელს უნდა დაეხმაროს დეტალურად გაერკვეს მიმდინარე მოვლენებში, მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობასა და შესაძლო შედეგებში. რეგულარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკუსიები და პროექტები უნდა ხორციელდებოდეს ყოველდღიურად, სასურველია ერთსა და იმავე საეთერო ზოლში. პირდაპირი ეთერით გადაცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება უნდა პასუხობდეს მოცემული მომენტისთვის წარმოქმნილ ყველა გამოწვევას,

სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს მიეცემა საშუალება დააფიქსიროს თავისი პოზიცია. მსგავსი ტიპის გადაცემებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსმენელთა აქტიური ჩართულობა. პოლიტიკური დისკუსიის განსაკუთრებული ყურადღების საგანია არჩევნები. შესაბამისად რადიომ უნდა უზრუნველყოს წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკუსიის შესაძლებლობა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის და მსმენელს მისცეს საშუალება კარგად გაერკვეს საარჩევნო პროგრამებსა და გეგმებში. წინასაარჩევნო დისკუსიები მსმენელს უნდა დაეხმაროს საარჩევნო სუბიექტებისაგან შეთავაზებული პროგრამების რეალობასთან შესაბამისობის კრიტიკულ გააზრებაში.

3. თვითმმართველობა

თვითმმართველობა და მასთან დაკავშირებული საკითხებიც, 2018-2019-2020 წლების პროგრამული პრიორიტეტებით, მაუწყებლისათვის განსაზღვრული ერთერთი მთავარი გამოწვევაა. ამ მიმართულებით სათანადო პროგრამებმა უნდა შეძლონ ფართოდ და კვალიფიციურად გააშუქონ:

ა) თვითთმმართველობის არსი და მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის;

ბ) თემის თვითმმართველობის ქართული ეთნოგრაფიული გამოცდილება;

გ) მოქმედი თვითმმართველობის ხარისხის იურიდიული ანალიზი; შესაძლებლობებისა და პრობლემების კრიტიკული შეფასება.

დ) პრობლემებისა და პერსპექტივების იდენტიფიცირება, აჭარის ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და თემების მაგალითზე.

ე) თვითმმართველობის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამები. გადაწყვეტილების მიღების ფორმალური და რეალური პრაქტიკა.

ვ) მოჩვენებითი ურბანიზაცია, სტიქიური და პროგრამული მიგრაცია. მთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მკვეთრი შემცირება. დარჩენილი სამემკვიდრეო სათესი და სათიბი ფართობები; მოსალოდნელი პრობლემებისა და პერსპექტივების კრიტიკული ანალიზი, სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში.

ზ) ევროპული თვითმმართველობის გამოცდილება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მათ შორის, პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილების ანალიზი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს შიდა წარმოების გადაცემას, (თოქშოუს ან სატელევიზიო ჟურნალი)რომელიც განთავსდება პრაიმტაიმში და მიმართული იქნება მნიშვნელოვანო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

4. ეკოლოგია

თანამედროვე სამყაროს ერთერთი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემა ბუნების დაცვისა და ბუნებით სარგებლობის საკითხებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არანაკლებ აქტუალურია ჩვენთვისაც, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. შესაბამისად, მაუწყებელმა ყურადღება უნდა დაუთმოს ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორც ზოგადი თვალსაზრისით, ასევე რეგიონის გამოწვევების გათვალისწინებით. წარმოაჩინოს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების პასუხისმგებლობები, ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ბუნებისდაცვით ხელშეკრულებებში და მათი შესრულების ხარისხი.

5. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები

ამ მიმართულების პროგრამებმა უნდა მოიცვან ზოგადსამეცნიერო, განათლების, ისტორიის, რელიგიის, ლიტერატურის, ფოლკლორის, კინოს, თეატრის, ფერწერისა და არქიტექტურის თემები, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე და აქტუალური რაკურსით.

6. ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია

„მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აჭარის მაუწყებლის ვალდებულებაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია.

ა) ემიგრანტების ცხოვრება და მათი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი;

7. სპორტი

აჭარის რადიომ მნიშვნელოვანი საეთერო დრო უნდა დაუთმოს სპორტს. მსოფლიო და ქართულ პროფესიულ სპორტთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამოყვარულო და ბავშვთა სპორტს. ზოგადად მოზარდთა ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში. ადგილობრივ - საქალაქო და მუნიციპალურ სპორტულ ტურნირებს. მიღწევებს, წარმატებებს, პრობლემებსა და გამოწვევებს ამ მიმართულებით. აჭარის რადიო, თავისი სპორტული პროგრამებით, ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ფართო გაშუქებითა და მხარდაჭერით, წარმატებული მოზარდების წარმოჩენით შეიძლება იქცეს, არამხოლოდ მხარდამჭერი, არამედ ინიციატორიც ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ბავშვთა სპორტული აღზრდის საქმეში. აჭარის რადიომ თავისი ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა იზრუნოს რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციაზე.

8. სოციალური და ეკონომიკური მიმართულების პროექტები

აჭარის რადიოს სოციალურმა პროგრამებმა უნდა დაძლიოს რეგიონის ქალაქების ურბანული, სამშენებლო, სატრანსპორტო, ასევე სოფლის ცხოვრების, ტრადიციული სამეურნეო დარგებისა და ახალი კულტურების დაფუძნების, საგზაო, სატრანსპორტო, სამედიცინო და განათლებასთან დაკავშირებული თემები. უნდა წარმოჩნდეს რამდენადაა დამოკიდებული მოსახლეობა სახელმწიფო სპეციალური პროგრამებისა და ზოგადი სერვისების მიწოდებაზე; და რამდენად უნარიანია თავად უმკლავდებოდეს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას უბანი, სოფელი, თემი. რამდენადაა შენარჩუნებული შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ფორმები საერთო ამოცანების გადასაჭრელად. ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების, განსაკუთრებით ახალგაზრდების შრომაში ჩართვის, თვითდასაქმების, ასევე დასაქმებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხს. უნდა წარმოჩნდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფიდან კონკრეტული ადამიანები, თავიანთი წარმატებებით, სიძნელეებითა და პერსპექტივებით. რადიოს ამ მიმართულების პროგრამებმა უნდა დაძლიოს ასევე რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის მიღწევები და პრობლემები. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ასევე სადაზღვევო კომპანიების სერვისების ხარისხისა და შესაბამისობის თემები. შ.შ.მ. საზოგადოების, გენდერული და ეთნიკური უმცირესობების საკითხები.

9. შემეცნებით-გასართობი პროდუქცია

რადიოს ეთერით სათანადო დრო უნდა დაეთმოს ახალგაზრდებისათვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს. მათ სტუდენტურ, შრომით, კულტურულ და სპორტულ ინტერესებს. ახალგაზრდა შემოქმედებითი ჯგუფების / გუნდების / პირების მიღწევებს. მათ შემოქმედებასა და პერსპექტივებს.

10. მუსიკა

ეთერში უნდა ჟღერდეს ქართული ხალხური, მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორული, კლასიკური, საესტრადო, პოპულარული და თანამედროვე მუსიკა. ეთერი დაეთმოს მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს (ხელი შეუწყოს მუსიკალური კონკურსების, ფესტივალებისა და კონცერტების მრავალფეროვნების წარმოჩენას, რომლებიც ამავე დროს ქართული კულტურის პოპულარიზიაციას შეუწყობს ხელს).

ა) მუსიკალური წამყვანის (DJ) საათი.

ბ) მუსიკალურ - ინტერაქტიული პროექტები.

გ) დაბალანსებული და რაფინირებული მუსიკარული ბადე.

11. არქივი

აჭარის რადიოს გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა გაგრძელდეს რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი კულტურული/მუსიკალური, ლიტერატურული, სამეცნიერო ღონისძიებების ჩაწერა-დაარქივება.

რადიოს ნაწილში პრიორიტეტების გადანაწილება პროცენტულ მაჩვენებელში:

ინფორმაცია (ახალი ამბები, თოქ-შოუ, ანალიტიკა) -30%

შემეცნება-(თემატური გადაცემები, თოქ-შოუ) -30%

გართობა (მუსიკა, კონკურსები) - 40%

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

2018-2019-2020 წლების პროგრამული პრიორიტეტები

ონლაინ მედიაში

მაუწყებლის ინტერესია თვალი მიადევნოს აუდიტორიის მიგრაციას და საჭიროებებს ტექნოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე, 2018-2019-2020 წლების პროგრამულ პრიორიტეტებში კვლავ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტ მიმართულების განვითარებას, რაც მოიცავს, მაუწყებლის ვებ-გვერდების: ajara.tv.ge და სოციალური ქსელების მუდმივ განახლებას.

1. ვებ-გვერდის დახმარებით, მომხმარებელს უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს ახალი ინფორმაცია, გაეცნოს მიმდინარე მოვლენებს და მოისმინოს ეთერში გასვლამდე ან უკვე გასული მასალა. ,,გუგლისანალიტიკსის'' საშუალებით შესაძლებელი იქნება ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების რეიტინგის გამოვლენა და მომავალში პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა აუდიტორიის მოთხოვნის შესაბამისად.

2. ვებ-გვერდით მომხმარებელს ასევე უნდა შესთავაზონ უწყვეტი აუდიო მაუწყებლობა (ლაივ-სტრიმი). ასევე სოციალური ქსელით უზრუნველყონ სხვადასხვა გადაცემის პირდაპირი ეთერი. (მაგ: Facebook-ვიდეოლაივი). ფოტოების და აუდიო მასალის გავრცელება მუდმივად უნდა ხდებოდეს ორივე პლატფორმაზე.

3. სოციალურ ქსელში გადაცემების დადება, გაზიარება გადაცემების თემების შერჩევა მცირე გამოკითხვით, დისტანციური კომუნიკაციის გააქტიურება, რაც გულისხმობს კომენტარებსა და კითხვებზე სწრაფად პასუხის გაცემას.

4. ვებ-გვერდზე სხვადასხვა რუბრიკის და გადაცემის განთავსება, რომელიც მომხმარებელის ინტერაქტიულ ჩართულობას გულისხმობს.

5. შეიქმნას რადიოს ონლაინ არხი ,,soundcloudze''-ზე.

6. რეპორტაჟების ტრანსკრიპტის განთავსება ვებგერდზე, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, მსმენელს გაეცნოს და წაიკითხოს აუდიო და ვიდეო მასალის სრული ვერსია.

3. მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგი;

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა მოქმედი პროგრამული პრიორიტეტების ვადის გაგრძელების გამო, (საუბარია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს 2018-2019 წლების პროგრამულ პრიორიტეტებზე, რომლის ვადაც მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 17 ივნისის N01-01/07 (ოქმი N12) გადაწყვეტილებით გაგრძელდა 2020 წლის 01 ივლისამდე) მაუწყებლის საეთერო ბადის მნიშვნელოვანი სახეცვლილება არ მომხდარა.

2019 წელს ტელევიზიის სამაუწყებლო ბადეში განთავსებული იყო შემდეგი გადაცემები:

1. ერთი დღე სოფელში - გადაცემა სოფლის ისტორიებზე;
2. ეთნოფორი - ეთნიკური კულტურა, ხალხური სიმღერა;
3. მე ვარ ფერმერი - გადაცემა მეურნეობის შესახებ;
4. უცხო სუნელი - კულინარული პროექტი;
5. პროექცია - ინტერვიუები საინტერესო ადამიანებთან;
6. თეთრი კვადრატი - გადაცემა კინოხელოვნების შესახებ;
7. ბუნების კანონი - გადაცემა ბუნების დაცვაზე;
8. ბიბლიოთეკა - გადაცემა ლიტერატურის შესახებ;
9. სცენა - გადაცემა თეატრალურ ცხოვრებაზე;
10. ვემსახურები საქართველოს- სამხედრო-შემეცნებითი გადაცემა;
11. ანარეკლები - საზოგადოებრივი მოვლენები, რადიო „თავისუბლება"-ს პროექტი (აგვისტოს ჩათვლით)
12. ათვლის კუთხე - სოციალური მედიაპროექტი (აგვისტოს ჩათვლით)
13. „ევრომაქსი"- DW (დოიჩე ველეს პროექტი)

თოქ-შოუ:
1. სპორტკლუბი - სპორტული გადაცემა;
2. ჰეშთეგი -სოციალურ-ანალიტიკური მედია პროდუქტი;
3. დილის ტალღა - გასართობ-შემეცნებითი გადაცემა;
4. რადიოვიზია - მულტიპლატფორმული დილის გადაცემა.
5. იმპულსი - სამედიცინო გადაცემა (რადიოვიზიის ფორმატში)
6. აკვარიუმი - ინტერაქტიული პროექტი;
7. არტ-ექსპერტი -კულტურის შესახებ.
8. მთავარი აჭარაში - საზოგადოებრივ-პოლიტიკური;
9. კვირის მთავარი - საზოგადოებრივ-პოლიტიკური;
10. თვითმართველობის მიმართულებით - საზოგადოებრივ-პოლიტიკური (2019 წლის 27 თებერვლიდან)
11. სათქმელი - სოციალურ-პოლიტიკური (2019 წლის 7 მარტიდან)

პროექტების შინაარსობრივი და ვიზუალური განახლება:

„ეთნოფორი“ –

გადაცემა 2014 წლიდან დღემდე უწყვეტად გადის კვირაში ერთხელ, მაუწყებლის ეთერით. გადაცემამ ჯამში ოქროს ფონდში 1300 მეტი ნიმუში შეინახა. ეს გახლავთ უნიკალური მასალა, რომელიც სრულად ასახავს და გვაწვდის ინფორმაციას XXI-ე საუკუნეში მთელი საქართველოს (და არა მარტო) მაშტაბით, თუ რა მდგომარეობაა მუსიკალური თვალსაზრისით: ხალხური სიმღერის, ქალაქური სიმღერის, ხალხური ინსტრუმენტული მუსიკის, ქორეოგრაფიისა თუ ქართული ტრადიციული საგალობლების და მათი შემსრულებლების შესახებ. 2019 წელს შემოქმედებითმა ჯგუფმა ტრადიციულად მოიძია არაერთი მანამდე უცნობი ეთნოფორი, სტუმრობდა შორეულ სოფლებს, ბევრისთვის უცნობ შემსრულებლებს.

შემოქმედებითი ჯგყფი 2019 წელს გადაღებებზე იმყოფებოდა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრთულენოვან და ლაზურენოვან ეთნოფორებთან, ჩაწერეს არაერთი საინტერესო ნიმუში, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, 2020 წელს შემოქმედებითი ჯგუფის დაგეგმილი აქვს გადაღებები კვლავ აწარმოონ ქვეყნის გარეთ, გადაიღონ ფოლკლორისტთა ჯგუფები, რომლებიც ათეული წლებია სხვადასხვა კონტინენტზე მოღვაწეობენ, პოპულარიზებას უწევენ და ასრულებენ ქართულ ტრადიციულ სიმღერებსა თუ საგალობლებს.

„ბუნების კანონი“ -

2019 წლის განმავლობაში, „ბუნების კანონის“ 33 გადაცემა მომზადდა. შარშანდელი თემატიკის ძირითადი ღერძი, გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან ერთერთს - ხარისხიან განათლებას ეხმიანებოდა. სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება სკოლებში, საერთაშორისო ექსპედიციებში ჩართული ქართველი სტუდენტები და საქართველოს ბიომრავალფეროვნების კვლევა - ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რაზეც "ბუნების კანონის" გუნდმა გაამახვილა ყურადღება. მიზანი არა მხოლოდ პრობლემის გამოაშკარავება, არამედ გამოსავლის მიგნებაცაა.



„ მე ვარ ფერმერი“ –

2019 წლის ინვარში ტომსონ როიტერის ფონდისა (TRF) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ იტალიაში, რომში ორგანიზებულ ვორქშოპში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან შეირჩა სატელევიზიო გადაცემა „მე ვარ ფერმერი“. პროექტის ფარგლებში გადაცემის წამყვანმა და ავტორმა აღნიშნულ ორგანიზაციებში გაიარა ტრენინგები და მოამზადა სამუშაო მასალები, რომელიც როიტერის გამომცემლობაში დაიბეჭდა.
2019 წელს გადაცემამ გააგრძელა თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორპს“-თან . მერსი ქორპსის გრანტის ფარგლებში ტელევიზიას გადაეცა 16 000 ლარის ღირებულების ტექნიკა, ხოლო გადაცემაში თვეში მინიმუმ 2-ჯერ მზადდებოდა სიუჟეტი სურსათის უვნებლობისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ.
2019 წელს გადაცემა „მე ვარ ფერმერი“ შეუერთდა საქართველოს აგროჟურნალისტთა ასოციაციას, რამაც ხელი შეუწყო შემოქმედებითი ჯგუფის წევრების გადამზადებას დარგობრივ საკითხებში .
2019 წლის განმავლობაში, მნიშნელოვნად გაიზარდა მაყურებელთა რაოდენობა და უკუკავშირი გადაცემის ფეისბუქ გვერდზე. გვერდის გამომწერების რაოდენობა 10 000-ით გაიზარდა და ამ ეტპაზე გვერდს 32 000 გამომწერი ჰყავს. რუბრიკა „მცენარეული კულტურა“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან რუბრიკის ფარგლებში მომზადებული ვიდეობის ნახვები მილიონზე მეტია. გამომწერების/მაყურებლების გაზრდილმა უკუკავშირმა განაპირობა გადაცემების დაგეგმვის ნაწილში მათი ინტერესების გათვალისწინება, მეტი კომუნიკაცია მაყურებელთან, რაც დროდადრო გადაცემის რეიტინგზეც აისახა.
2019 წელს, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად, მაუწყებლის შემოქმედებითი, რეიტინგული გადაცემების სამეულში მოხვდა გადაცემა „მე ვარ ფერმერი“ .
2020 წელს გადაცემა „მე ვარ ფერმერი“ გეგმავს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან რამდენიმეწლიანი თანამშრომლობით, მაყურებლებს გააცნოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, გამოცდილება და გამოწვევები სოფლის მეურნეობაში.

2020 წელს გადაცემას დაემატება ახალი რუბრიკა, სადაც უფრო სიღრმისეულად გაკეთდება აქცენტი მომხმარებლის უფლებებზე, სურსათის უვნებლობის მიმართულებით (ვინაიდან გასულმა წელმა აჩვენა, რომ ეს თემა განსაკუთრებით საინტერესოა მაყურებლებისთვის).

2020 წელს გადაცემა „მე ვარ ფერმერი“ მაყურებლებს გააცნობს იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩვენი სხვადასხვა გადაცემის ნახვის შემდეგ, შემოქმედებით ჯგუფთან კომუნიკაციით, თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთში დაიწყეს მათთვის ახალი ფერმერული საქმიანობა.

ასევე მაყურებლები გაიცნობენ მოტივირებულ ახალგაზრდა ფერმერებს, რომლებსაც შეაქვთ წვლილი სოფლის მეუნეობის განვითარებაში, აქვთ საკუთარი მეურნეობა, ან უნდათ, რომ განავითარონ დაწყებული საქმიანობა.

,,თეთრი კვადრატი”-

ეს არის გადაცემა კინემატოგრაფზე, კინემატოგრაფისტებზე და კინემატოგრაფიულ ღონისძიებებზე (კინოფესტივალები, კინოაკადემიების დაჯილდოებები და პიტჩინგები).

2019 წლის წლის განმავლობაში ,,თეთრი კვადრატი“ წამყვან ადგილს ინარჩუნებდა რეიტინგში, ეხმიანებოდა ქართული კინოს ახალ ტენდენციებს, ახალბედა ქართველ კინემატოგრაფისტებს აძლევდა საშუალებას ფართო მასების წინაშე წარმსგარიყვნენ, მზადდებოდა გადაცემები უკვე მივიწყებულ ძველ ქართულ კინოზე.

მაყურებელს წარუდგინეს საავტორო კინოს გამოჩენილი უცხოელი ოსტატები და მათი ფილმები. გადაცემა ცნობადია უცხოეთის კინოწრეებშიც. გადაცემაში წარმოდგენილი ფილმებისთვის ტელევიზია არ იხდის სტანდარტულ მოსაკრებელს, რადგან გადაცემის პარტნიორია საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი (ბიაფი). გადაცემა აქტიურად აშუქებდა ქართულ და უცხოურ კინოფესტივალებს.

„პროექცია"-

პროექციამ წლების განმავლობაში საზოგადოებას გააცნო ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ და ისინი ფართო წრეებში ნაკლებად პოპულარულები იყვნენ. ამით გადაცემამ ხელი შეუწყო მათ პროფესიულ საქმიანობას. გადაცემაში ხშირად ეთმობა დრო საზოგადოებისთვის მეტად მნიშვნელოვან, ზოგჯერ მტკივნეულ თემებს, რითაც ხელი ეწყობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური წრეების წარმომადგენლების პიროვნული პორტრეტების შექმნა, მათი გადაწყვეტილებების სხვა რაკურსების ძიება, რასაც „პროექცია" თავის ამოცანად თვლის. გადაცემას წარმოების პირობების გაუმჯობესება სჭირდება.

„ერთი დღე სოფელში"-

„ერთი დღე სოფელში" იქცა აჭარის ტელევიზიის სავიზიტო ბარათად. გადაცემა ერთმნიშვნელოვნად ლიდერობს რეიტინგებსა და გამოკითხვებში, რაც ცხადყოფს თემის აქტუალობას და მიუთითებს არხს, თუ როგორ უნდა განსაზღვროს მან თავისი ნიშა. აქედან გამომდინარე, გადაცემას სჭირდება ხელშეწყობა და შემოქმედებითი ჯგუფის გაძლიერება. 2019 წელს პროექტის შემოქმედებითმა ჯგუფმა მოამზადა გადაცემა საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთისა და ესპანეთის სოფლებზე. 2020 წელს იგეგმება გადაცემის ამ ფორმატით გაგრძელება.

2020 წელი

„ბიბლიოთეკა“ -

გადაცემა „ბიბლიოთეკამ“ 2019 წლის განმავლობაში მიმოიხილა მიმდინარე წელს გამოცემული აბსოლუტურად ყველა წიგნი და მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა, როგორც ლოკალური, ისე საერთაშორისო. გადაცემამ უმასპინძლა 30-მდე სტუმარს - გამომცემლებს, ავტორებსა და ლიტერატურულ სამყაროსთან დაკავშირებულ პერსონებს. წლის განმავლობაში ჰქონდა ორი მივლინება თბილისში, წიგნის ფესტივალების გასაშუქებლად. გადაცემამ, ისევე როგორც გასულ წლებში, დიდი ყურადღება დაუთმო ბათუმელ ავტორებს, ლიტერატურის პედაგოგებს, ბიბლიოთეკარებს და სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებას. გადაცემა „ბიბლიოთეკა“ არის ერთადერთი გადაცემა რეგიონში, რომელიც წიგნებზე საუბრობს. მისი არსებობა აუცილებელია, რადგან გარდა იმისა, რომ უმნიშვნელოვანეს თემას ემსახურება, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებშია კულტურისა და განათლების პოპულარიზაცია და გადაცემა ამ ორივე მიმართულებას პასუხობს. .
გადაცემა „ბიბლიოთეკა“ სტაბილურად ინარჩუნებს მაყურებელს, თუმცა რეიტინგის გასაზრდელად გვჭირდება ძალიან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და ცხადი პრობლემების მოგვარება. გადაცემის მაყურებელთა ძირითადი სეგმენტი ქვეყნის მასშტაბით სოციალური მედიის აქტიური მომხმარებელია. ამას მოწმობს თუნდაც ძალიან ხილული მონაცემები - როდესაც გადაცემა სოციალურ მედიაში აქტიურდება, რეიტინგიც იზრდება, როცა გვერდი პასიურობს, ეს რეიტინგზეც აისახება უარყოფითად. გვერდის სათანადოდ მუშაობისთვის საჭიროა რეგულარული აქტიურობა, რომელსაც სჭირდება სოცმედიამენეჯერი. ეს არის სრულგანაკვეთიანი სამუშაო, რომელიც არ მოიცავს მხოლოდ გადაცემათა ბმულების გადმოკოპირებას. ეს სამუშაო უნდა მოიცავდეს განსახილველი წიგნების მოკლე ანოტაციების, ფოტოების, ინტერაქციული შეკითხვების რეგულარულად დადებას. 2020 წელს იგეგმება ცვლილება - გადაცემას დაუბრუნდება საბავშვო რუბრიკა, რომელიც მოიცავს ახალგამოცემული საბავშვო წიგნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მაყურებლებისათვის.



„თვითმართველობის მიმართულებით“-

გადაცემაში მოწვეულ სტუმრებთან ერთად ყველა იმ მნიშნელოვან საკითხებზე მიმდინარეობს დისკუსია, რომელიც თვითმართველობის გაძლიერებისთვის და რეალური დეცენტრალიზაციის მისაღწევად არის აუცილებელი. როგორია ხელისუფლების ხედვა თვითმართველობებთან დაკავშირებით და დღეს მუნიციპალიტეტები რამდენად პასუხობენ მოსახლეობის საჭიროებებს. გადაცემას უკვე ჰყავს სატაბილური მაყურებელი და შესაძლებელია მათი რიცხვი გაიზარდოს. ამისათვის საჭიროა გადაცემაზე მომუშავე ჯგუფის ადამიანური რესურსით გაძლიერება, პრომოუშენი და შესაბამისი სტუდია.

“სპორტკლუბი“-

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სპორტული რედაქცია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, მიუხედავად ამისა, სპორტის საკითხების გაშუქება, ისევე როგორც გასულ წლებში, 2019 წელსაც აქტიურად ხდებოდა ყველა პლატფორმაზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საეთერო ბადეში დაბრუნდა კრისტალბეთ ეროვნული ლიგის გათამაშება და ამისთვის მაუწყებლის რესურსი თითქმის არ დახარჯულა.
გადაცემა "სპორტკლუბის" და საინფორმაციო გამოშვება "მთავარის" ფარგლებში შეძლებისდაგვარად შემოქმედებით ჯგუფს წინა პლანზე გამოაქვს აჭარის რეგიონის სპორტულ რეალობაში არსებული მიღწევები და პრობლემატური საკითხები. განსაკუთრებულ ყურადღებას გადაცემა იჩენდა სპორტული ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული საკითხებისადმი.
2020 წლის ყველაზე დიდ გამოწვევად ისევ რჩება სპორტული ღონისძიებების პირდაპირი რეპორტაჟები. მოგეხსენებათ, რომ აჭარის რეგიონში წლის განმავლობაში ძალიან ბევრი საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტული აქტივობა ტარდება, თუმცა მოძრავი სატელევიზიო სადგურის არ არსებობის გამო ჩვენი მაყურებელი ამ სიამოვნებას მოკლებულია და შესაბამისად მაუწყებელიც კარგავს იმ დადებით უკუგებას, რაც სპორტულ რეპორტაჟებს ახასიათებს.
ასევე საჭიროა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს და დაკომპლექტდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სპორტული რედაქცია და ამ რედაქციისთვის გამოინახოს რაიმე სახის სივრცე, მოხდეს ახალი კადრებით რედაქციის გაძლიერება და რედაქციას ჰქონდეს შესაძლებლობა უფრო ხშირად მიავლინოს თავისი ჟურნალისტები საზღვარგარეთ გამართულ სპორტულ ღონისძიებებზე.

„იმპულსი“-

სამედიცინო გადაცემა იმპულსი ბოლო 2 წელია განახლებული ფორმატით და პერიოდულობით გადის ეთერში. ყოველდღიურად დილით 09:40 საათზე, ხოლო საღამოს 18:45 საათზე შემოქმედებითი გუნდი საზოგადოებას აწვდის სასარგებლო ინფორმაციას ყველაზე გავრცელებული დაავადებების შესახებ, ხოლო წამყვანის დასმულ შეკითხვებს ექიმი პირდაპირ ეთერში პასუხობს.
2019 წელს გადაცემის ფორმატის ცვლილება გულისხმობდა არა მარტო დაავადებების გაშუქებას, არამედ რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში სამედიცინო სფეროში მომხდარი აქტუალური მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.
2020 წელს გადაცემის მიმართულება შენარჩუნებულია, თუმცა შემოქმედებითი გუნდის აზრით აუცილებელია ვიზუალური მხარის, ქრონომეტრაჟის და პერიოდულობის ცვლილება, ასევე სასარგებლო რუბრიკების დამატება.

„რადიოვიზია“ -

2019 წელი გადაცემა “რადიოვიზიისთვის“ იყო რთული, რადგან კვირაში 5 დღე 1:40 საათის შევსება ორი ჟურნალისტის მომზადებული ყოველდღიური მასალით იყო ერთფეროვანი გადაცემების მიზეზი. გადაცემას მხოლოდ ერთი რუბრიკა დაემატა „ექსპონატი“, დანარჩენი შეჩერდა. იყო ადამიანური რესურსის პრობლემა, ოქტომბერში პროექტს დაემატა სპორტის რუბრიკის წამყვანი, ერთი ჟურნალისტი და ერთი მემონტაჟე.

„არტ ექსპერტი“

არტ ექსპერტის მიზანი საქართველოში მიმდინარე კულტურული ცხოვრების ანალიზია. აქედან გამომდინარე გადაცემის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია კულტურულ სფეროში არსებული პოზიტიური და პრობლემური მხარეების მიმოხილვა და ანალიზი. 2019 წლის მანძილზე არტ ექსპერტმა ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს უმასპინძლა. განხილული იყო როგორც შემოქმედებითი, ასევე კულტურის მენეჯმენტის და მართვის, კულტურული მემკვიდრეობის, ქალაქის ურბანული განვითარების საკითხები. განსაკუთრებით მნიშნელოვანია, რომ გადაცემაში თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ როგორც ე.წ. ცნობილი სახეები, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ხელოვანები, ასევე ახალი შემოქმედებითი გაერთიანებები და მათი წარმომადგენლები. არტ ექსპერტისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება 2020 წლიდან ახალი სტუდიური სივრცე და ნეტის საშუალებით პირდაპირ ეთერში იტეგრირებული მაყურებელი.

„აკვარიუმი“-

გადაცემა 2019 წლის ოქტომბრიდან შეტანილი ცვლილებებით (რამდენიმე კამერით გადაღება, მეორე წამყვანი, სტუმრები, ვოქსპოპი, გადაფარვები) გახდა უფრო დინამიური, ვიზიუალურად საინტერესო. გაადვილდა მაყურებელთან-მსმენელთან კომუნიკაცია და გაიზარდა სანდოობა.

„დილის ტალღა“ -

2019 წლის სექტემბრის თვეში გადაცემა ,,დილის ტალღა“ განახლებული ფორმატით ჩაეშვა სატელევიზიო ბადეში. გადაცემას დაემატა ახალი რუბრიკები: ,,ვიქტორინა“, ,,3 კითხვა ექიმს“ , ,,კინოტალღა“, ,, მუსიკალური ტალღა“ , ,, მწვანე ოთახი“, ,,ივენთ გიდი“ სპორტული სიახლეები, გარდა ამისა დეკემბრის თვეში გადაცემას დაემატა წამყვანები, რამაც შეავსო შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე და დილის პროდუქტი უფრო მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა.
გადაცემა ,,დილის ტალღა“ 2019 წლის აპრილის თვის ჩათვლით ახორციელებდა პროექტს ,,ძალა ევროპაშია“, სადაც წარმოჩენილი იყო ევროპაში მცხოვრები ქართველი სტუდენდების ყოფა-ცხოვრება, ყოველდღიურობა, ევროპაში სწავლის დადებითი მხარეები, საუბარი შეეხებოდა განათლების იქაურ სისტემებსა და სწავლების ევროპულ მოდელებს, ეს იყო აჭარის საზოგადეობერივი მაუწეყებლის და ,,საერთაშორისო გამჭირვალო საქართველოს“ ერთობლივი პროექტი.

#ჰეშთეგი-

2019 - მნიშვნელოვანი სიახლეები

• UNICEF-თან ერთად განხორციელდა პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმის დასაძლევად;

• "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლთან" ერთად განხორციელდა პროექტი ბოშათა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის;

• 2019 წელს მომზადდა სამი დოკუმენტური ფილმი პანკისის, ჭიათურისა და წნორის შესახებ;

• 2019 წელს ჰეშთეგის გადამღებმა ჯგუფმა აჭარის 30-მდე და საქართველოს სხვა რეგიონის 15-მდე სოფლის/მუნიციპალიტეტის ამბავი გააშუქა;

• 2019 წელს ჰეშთეგისა და "თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის" 10-მდე მოხალისის მიერ დაახლოებით 20-მდე სიუჟეტი მომზადდა;

• 2019 წელს გადაცემას დაემატა რუბრიკა #თათოსცხოვრება, რომლის ფარგლებში მომზადებულ 8 ეპიზოდს ნახევარ მილიონზე მეტი ნახვა აქვს სოციალურ ქსელში. რუბრიკა მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოველდღიურობის გაცნობას საზოგადოების ფართო წრისთვის;

• 2019 წელს გადაცემას, ასევე, დაემატა რუბრიკა #მომხმარებელთაუფლებები, რომელიც ორგანიზაცია "მერსი ქორფსთან" თანამშრომლობის შედეგად ხორციელდება და მიზნად ისახავს მომხმარებლებისთვის მავნე პროდუქტისა და საკუთარი უფლებების შესახებ მართებული ინფომაციის მიწოდებას.

„უცხო სუნელი“-

2019 წელს „უცხო სუნელი“ სამი ახალი სეზონით (ერთი სეზონი 12 გადაცემისგან შედგება) და ფლორენციული გასტონომიური ტურით (5 გადაცემა) გავიდა ეთერში. განსაკუთრებით მნიშნელოვანი იყო ლაზური სამზარეულოს გაშუქება, რომელიც ჩვენს რეგიონში კულინარიული განძია.
2020 წელს უცხო სუნელი მაყურებლისთვის ახალი მე-10 სეზონით გადის ეთერში. შემოქმედებითი ჯგუფი მაყურებელს მოუყვება სამცხე-ჯავახეთის კულინარიულ ტრადიციებზე, ასევე მოსაზღვრე ქვეყნის კულინარიაზე, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქართულ, კერძოდ აჭარის რეგიონისთვის დამახასიათებელ გასტრონომიასთან. 2020-ში გადაცემის მთავარი გამოწვევა ისევ გადაცემის წარმოებისთვის საჭირო სივრცესტუდია რჩება.

2019 წელს მომზადებული და ეთერში გასული დოკუმენტური ფილმები:

- დოკუმენტური ფილმი „შუა ჭანეთი“;
- დოკუმენტური ფილმი „ვარდიკო მასწავლებელი“;
- მინი-დოკუმენტური ფილმები (არტი): „მთა“ (დიასახლისი, ყველის ამოღება), „82“ (მეშუქურე); „უკანასკნელი ოსტატი“ (ნავის ოსტატი); „ზღვას“ (მხატვარი), თევზების მეგობარი (იხტიოლოგი), „პირველი კანონი“ (მეთევზე), სამუზეუმო ექსპონატი (4 არტი).

2019 წლის რადიოს საეთერო სეზონი:

ახალი ამბების მიმართულებით რადიო აჭარის სამაუწყებლო ბადეში განთავსებული საინფორმაციო გამოშვებები სრულად ასახავს გაერთიანებული ნიუსრუმის მიერ წარმოებული სამუშაოების სრულ სპექტრს. გამოშვებები წარმოდგენილია როგორც მცირე, დაიჯესტის ფორმით. ასევე ვრცელი საინფორმაციო გამოშვებების სახით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რადიო აჭარის საინფორმაციო გამოშვება ეთერში გადის დილის 8 საათიდან. რაც თავისთავად ზრდის მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეს.

საზოგადოებრივ პოლიტიკურ მიმართულებას სრულად ფარავს გადაცემები:

- „კომპეტენტური პასუხი“

- „კონტაქტი“.

ყოველ გადაცემას აქვს თავისი მკვეთრად განსაზღვრული ზოლი საეთერო ბადეში და ქრონომეტრაჟი. თითოეულ გადაცემაში, თემიდან გამომდინარე, ჟურნალისტის კითხვებს პასუხობს მინიმუმ ორი მოწვეული სტუმარი. გადაცემები ინტერაქტიულია და მიმდინარე თემასთან დაკავშირებით კითხვის დასმა სატელეფონო ზარის მეშვეობით მსმენელსაც შეუძლია. გადაცემა კონტაქტი ასევე ფარავს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების, ევროპული სტანდარტების და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაციით აქტუალური, სოციალურ-ეკონომიკური პროექტების თემატიკას.

თვითმმართველობის თემატიკას რადიოში, ისევე როგორც ტელევიზიაში ეთმობა გადაცემა „ჩვენ და თვითმმართველობა“.

ეკოლოგიის თემაზე რადიოს მიმართულებით გადაცემა „ეკოსამყარო“ .

სპორტს რადიო აჭარის ბადეში ეთმობა საკმაოდ დიდი ყურადღება. გარდა იმისა რომ სპორტის სიახლეები საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი გადაცემა „რადიოვიზიაში“ ყოველდღიურად. ყოველ ხუთშაბათს ეთერში გადის გადაცემა **„სპორტი გოგი მურვანიძესთან ერთად“,** სადაც ამომწურავად არის გაშლილი რეგიონის სპორტული ცხოვრება.

გადაცემა **„ღია ეთერი“** პასუხობს მოზარდების, მათი განათლების, სწავლის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოებას საკითხებს. ხდება ამ მიმართულებით საინტერესო ევროპული სტანდარტების და გამოცდილების გაზიარება, შუქდება სასწავლო პროგრამები, მეთოდები, ნოვაციები, მიღწევები და პრობლემები.

შემეცნებით გასართობი გადაცემების მიმართულებით აღსანიშნავია გადაცემა **„რადიოვიზია“,** რომელიც ასახულია როგორც ტელევიზიის, ასევე რადიოს ბადეში. იგი თავის თავში აერთიანებს როგორც შემეცნებით-გასართობ, ასევე სპორტულ მიმართულებას. ეს გადაცემა ხშრად პასუხობს პროგრამული პრიორიტეტის ისეთ გამოწვევებსაც, როგორიცაა ეკოლოგია, ევროპული სტანდარტებისა და ევროინტეგრაციის საკითხების პოპულარიზაცია, სოციალური და ეკონომიკური მიმართულების პროექტები და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები.
შემეცნებით გასართობი პროგრამების ჩამონათვალშია ასევე გადაცემები **„საღამო მშვიდობისა“** და **„შუადღის ზოლი“**.

პროგრამულ ბადეში ასევე განთავსებულია **პროგრამათაშორისი რუბრიკები** შემდეგ თემებზე:

- **„იმოგზაურე საქართველოში“;**

- **„ერთი დღე მუზეუმში“;**

- **„ქართული ჰიტის ისტორია“;**

- **„უცხოური ჰიტის ისტორია“;**

-**“საჭესთან მოსასმენი ამბები“,;**

- **„იცოდე ისტორია“;**

- **„კინომუსიკა“.**

პროგრამული პრიორიტეტების შესრულების შესაფასებლად მრჩეველთა საბჭო იყენებს სოციოლოგიურ კვლევებს, მონიტორინგის სამსახურის ანგარიშებს, მედია ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ანალიზს და მონიტორინგს.

ვფიქრობთ, მაუწყებლის მიერ შექმნილი სატელევიზიო და რადიო პროდუქცია წარმოაჩენს მრავალფეროვან მსოფლმხედველობას, პოლიტიკურ თვალთახედვებს და ინტერესებს. გადაცემებში სათანადო ყურადღება ეთმობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს ინტერესებს. წარმოაჩენს მრავალფეროვან კულტურას და თვალთახედვას, ადგილობრივ და მსოფლიო ტენდენციებს.

4. დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლები;

- საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი „მრავალკუთხედი აჭარაში“ (თვეში 1 ფილმი) - სტუდია „REC”
- რადიომაუწყებლობის სამსახურის შემეცნებით-გასართობი გადაცემების რუბრიკები: შ.პ.ს სინემედია - „იმოგზაურე საქართველოში“ და „სამზარეულო“; შ.პ.ს სმარტ საუნდი - „ქართული ესტრადა“ და „ერთი ჰიტის ისტორია“; „კინომუსიკა“ და „საჭესთან მოსასმენი ამბები“; „იცოდე ისტორია“ და „მუზეუმი“.
- 2019 წელს შეძენილი იყო ტელე-რადიო სამაუწყებლო პროდუქცია (ქართული და უცხოური მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმები და სერიალები). (იხ. დანართი N1)

2020 წელს გარე წარმოებაში დაგეგმილია საბავშვო გადაცემების შეძენა .

5. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების ძირითადი მიგნებები

საზოგადოებრვი მაუწყებელი აუდიტორიის აზრის კვლევას ახორციელებს როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე ციფრული ხერხებით. მნიშვნელოვანია, რომ გარდა ზემოაღნიშნული მეთოდებისა მაუწყებელი, თავისი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე მუდმივად იმყოფება კომუნიკაციაში საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან, რაც ასევე არის ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი წყარო, ამას თან ერთვის მაყურებელთა უკუკავშირის სხვადასხვა მეთოდები, რომელთა გათვალისწინებაც გადაცემების დამზადების პროცესში ხელს უწყობს კონტენტის მაყურებლის ინტერესებზე მორგებას.
საანგარიშო პერიოდში (2019 წელს) მაუწყებელი საზოგადოებრივ აზრს და სამაუწყებლო ბაზარს იკვლევდა 2 ძირითადი მეთოდით:

1. სატელევიზიო რეიტინგების დათვლა თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდით ე.წ ფიფლმეტრებით
2. სოციოლოგიური კვლევა პირისპირ ინტერვიუების მეთოდით.

გარდა ზემოაღნიშნული კვლევებისა, მაუწყებელი თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ინტენრნეტ მაუწყებლობის კომპონენტს გუგლ-ანალიტიკის მონაცემებით.

2016 წელს მაუწყებელმა დაიწყო თანამედროვე სატელევიზიო ბაზრის კვლევის სერვისის შეძენა, რომელიც არხის და გადაცემების ყურებადობას ზომავდა ე.წ ფიფლმეტრების მეშვეობით. ეს იყო ერთ-ერთი ინოვაციური მიდგომა, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებლად არხის გარდაქმნის შემდეგ დაინერგა. მონაცემები ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა გადაცემების, ან მაუწყებლობის დროის ანალიზისთვის. სამწუხაროდ აღნიშნული სერვისი ფარავს მხოლოდ სატელევიზიო აუდიტორიის ყურებადობას და არ ეხება რადიოს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რეიტინგების მონაცემები არის რაოდენობრივი კვლევის საგანი და მათი ინტერპრეტირება მაუწყებლის ანალიტიკური გუნდის ამოცანაა.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ე. წ. ფიფლმეტრებით აუდიტორიის გაზომვას ემატება ე. წ. ფოკალმეტრებით გაზმოვაც, რას კვკლევის სუბიექტს ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ყურებადობის აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეაგროვების და მათი სისტემატიზაციის საშუალებას აძლევს. შედეგად მიღებული სურათი უფრო სრულყოფილია და ერგება თანამედროვე პირობებში მაყურებლის ქცევას.

სოციოლოგიური გამოკითხვას მაუწყებელი მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით ყოველწლიურად ატარებს. განსხვავებით ფიფლმეტრებით ყურებადობის კვლევისგან, სოციოლოგიურ გამოკითხვაში შესაძლებელია აისახოს რადიოს მონაცმებიც და კვლევის ხარისხობრვი კომპონენტებიც.

ფიფლმეტრებით აუდიტორიის კვლევამ და მონაცემების დამუშავებამ აჭარის ტელევიზიას და რადიოს მონაცემების მოკლევადიანი წარსულის შეჯამებისას ზოგიერთი მიგნების გაკეთების საშუალება მისცა



აჭარის ტელევიზიის პოზიციები ბაზარზე 2016 წლიდან 2019 წლამდე შეირყა და ტელევიზიამ მე-8 პოზიციიდან მე-16 პოზიციაზე გადაინაცვლა. 2017 წელს, აჭარის ტელევიზია მე-15 პოზიციაზე იმყოფებოდა, ხოლო 2018 წელს, მსგავსად 2019 წლისა, მე-16 პოზიციაზე.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აჭარის ტელევიზიამ დაკარგა მაყურებელი აბსოლუტურ მაჩვენებლებში, როგორიცაა rtg(000), ანუ მაყურებლის რაოდენობა საშუალოდ წუთში. საკვლევი პერიოდის დასაწყისში, 2016 წელს არხის საშუალო მაყურებელი წუთში 2760 ადამიანს ითვლიდა, კოლოსალურად შემცირდა ეს ციფრი 2017 წელს და 1630 ერთეული შეადგინა. შემცირების ტენდენცია კვლავ გაგრძელდა 2018 წელს და მთლიანი წლის

განმავლობაში არხს საშუალოდ წუთში 1420 მაყურებელი ჰყავდა (2016 წელთან შედარებით, ფაქტობრივად, განახევრდა). 2019 წელს შეინიშნება მცირედი ზრდა და ეს მაჩვენებელი დაუბრუნდა 2017 წლის მონაცემს, ანუ 2019 წლის განმავლობაში არხს საშუალოდ 1650 მაყურებელი ჰყავდა წუთში.



ფაქტობრივად, არხის საშუალო ყურებადობის მრუდს იმეორებს არხის ყურებადობის %-ებით ჩართულ ტელევიზორებში (სხვა სიტყვებით, ბაზრის წილი). 2016 წელს აჭარის ტელევიზია ბაზრის 0,93% ფლობდა, 2017 წელს - 0,6%, 2018 წელს - 0,52%, ხოლო 2019 წელს - 0,62%.

აჭარის ტელევიზიის %-ული ყურებადობა ქვეყნის მოსახლეობაში, ფაქტობრივად იმეორებს წინა მრუდის მოხაზულობას. 2016 წელს აჭარის ტელევიზიას ქვეყნის მოსახლეობის 0,17% უყურებდა, 2017 წელს - 0,1%, 2018 წელს - 0,09%, ხოლო 2019 წელს - 0,11%.



აჭარის ტელევიზიის მაყურებელი გენდერულად დაბალანსებულია.



სარკისებური ცვლილებაა აჭარის ტელევიზიის მაყურებლის პროფილში ადგილის მიხედვით. 2016 წელს თუ არხის მაყურებლსი 65% რეგიონში ცხოვრობდა, ხოლო 35% - დედაქალაქში, აღმოჩნდა, რომ 2019 წელს - არხის მაყურებლის 63% თბილისში ცხოვრობს, ხოლო 37% - თბილისს გარეთ. რეალურად, რაოდენობაში არხმა დაკარგა მაყურებელი, რომელიც რეგიონში ცხოვრობს.



2016 წლიდან 2019 წლამდე მაყურებლის პროფილში, ანუ არხის მაყურებლის ასაკობრივ სეგმენტში, ზრდა მხოლოდ 2 ნაწილში 55-64 წწ. და 65+ წ. ასაკობრივ სეგმენტებში ფიქსირდება. დანარჩენი სეგმენტები აჭარის ტელევიზიის მაყურებელთა შორის 2019 წლისთვის შემცირებულია.



2016 წლიდან 2019 წლამდე გაზრდილია აჭარის ტელევიზიის მაყურებელში უმაღლესდამთავრებული მაყურებელი, ხოლო დანარჩენ საგმენტებში, ან იგივე მდგომარეობაა, ან შემცირება.

Title/Description	Broadcasts	Rtg(000)	Rtg%	Share
2016				
BBC: ANCIENT GREEK HEROES	12	6.22	0.38	2.05
AKHALI AMBEBI/SPETSIALURI GAMOSHVEBA	35	5.98	0.37	2.09
ERTI DGHE SOFELSHI	124	5.72	0.35	1.42
AKHALI AMBEBI / 21:00	355	3.38	0.21	0.6
BUNEBIS KANONI	125	3.17	0.19	0.76
SAVE THE CHILDREN & ECHO	21	3.06	0.19	0.77
ETNOFORI	153	2.99	0.18	0.71
MEDIIS TAVISUFLEBA	11	2.98	0.18	0.8
AKHALI AMBEBI / 18:00	353	2.88	0.18	0.7
KINOQALAQI	33	2.83	0.17	0.59
DILA	78	2.81	0.17	0.95
QVEVRISPIRULI	57	2.79	0.17	0.69
AGRO RCHEVEBI	21	2.76	0.17	0.51
AKHALI AMBEBI / 15:00	341	2.6	0.16	0.76
AKHALI AMBEBI / 12:00	338	2.5	0.15	0.84
2017				
MTAVARI AMBEBI / SPETSIALURI GAMOSHVEBA	36	6.38	0.41	2.19
SPORTULI MIMOKHILVA	12	4.79	0.3	1.25
ERTI DGHE SOFELSHI	155	3.81	0.24	1.17
EKOMIGRATSIA	41	2.65	0.16	0.54
MTAVARI AMBEBI / 21:00	300	2.59	0.16	0.49

TETRI KVADRATI	73	2.47	0.16	0.62
KINOQALAQI	9	2.4	0.15	0.79
MTAVARI AMBEBI / 18:00	341	2.39	0.15	0.64
DILIS TALGHA	167	2.3	0.14	0.86
UTSKHO SUNELI	158	2.07	0.13	0.63
MTAVARI ATCHARASHI	25	2.01	0.13	0.41
BUNEBIS KANONI	147	1.97	0.12	0.6
MTAVARI AMBEBI / 15:00	349	1.93	0.12	0.6
SPORTI TOQ-SHOU	33	1.9	0.12	0.63
ETNOFORI	169	1.89	0.12	0.48
2018				
BBC: ANCIENT INVISIBLE CITIES	8	3.55	0.23	0.82
ERTI DGHE SOFELSHI	130	2.85	0.18	0.85
KINOQALAQI	8	2.84	0.18	0.76
MTAVARI ATCHARASHI	39	2.46	0.16	0.46
MTAVARI AMBEBI / 21:00	303	2.25	0.14	0.43
MTAVARI AMBEBI / 18:00	321	2.17	0.14	0.57
KVIRIS MTAVARI	41	2.15	0.14	0.4
TETRI KVADRATI	96	2.09	0.13	0.53
ME VAR FERMERI	133	2.03	0.13	0.63
UTSKHO SUNELI	150	1.99	0.13	0.6
MTAVARI AMBEBI/SPETSIALURI GAMOSHVEBA	24	1.95	0.12	0.49
ETNOFORI	137	1.9	0.12	0.51
STUDIA MONITORI	13	1.86	0.12	0.43
IMPULSI	72	1.7	0.11	0.41
DILIS TALGHA	91	1.66	0.11	0.59

2019				
KINOQALAQI	11	4.05	0.27	1.16
MTAVARI AMBEBI / 20:00	78	3.51	0.23	0.68
ERTI DGHE SOFELSHI	100	3.35	0.22	0.94
MTAVARI AMBEBI / 14:00	76	3.08	0.2	1.21
MTAVARI AMBEBI / 17:00	76	2.96	0.2	0.99
MTAVARI ATCHARASHI	44	2.85	0.19	0.6
MTAVARI AMBEBI / 21:00	256	2.79	0.18	0.55
KVIRIS MTAVARI	40	2.69	0.18	0.55
TETRI KVADRATI	89	2.69	0.18	0.72
RADIO TAVISUFLEBA "ANAREKLEBI"	71	2.23	0.15	0.59
MRAVALKUTKHEDI ATCHARASHI	21	2.15	0.14	0.55
MTAVARI AMBEBI / 18:00	290	2.15	0.14	0.58
UTSKHO SUNELI	142	2.07	0.14	0.7
MTAVARI AMBEBI / 15:00	358	1.99	0.13	0.66
ETNOFORI	105	1.91	0.13	0.67

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ყოველწლიურად ატარებს სოციოლოგიურ კვლევას, რომლისთვისაც ხდება სპეციალიზირებული კომპანიის მოწვევა ტენდერის წესით. კვლევა ტარდება პირისპირ ინტერვიუს მეთოდით რაოდენობრივი კვლევის კითხვარის გამოყენებით. 2019 წელს ამ წესით სულ გამოკითხულია აჭარის რეგიონში მცხოვრები 800 მოქალაქე.

კვლევის ტენდენციების მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს რეგიონში საქართველოს ცენტრალური მაუწყებლების გვერდით მეოთხე ადგილი უჭირავს. რეგიონში არხს ხშირად თვალს მაყურებელთა 90% ადევნებს. მუდმივი მაყურებლების წილი კი მნიშვნელოვნად ნაკლებია. არხს ყოველდღიურად გამოკითხულთა 27% ადევნებს თვალს, კვირაში რამდენჯერმე 49.4 %, ხოლო თვეში რამდენიმეჯერ 20.4 %.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მაყურებელთა 90 %-ს არხი მაღალი ხარისხით მიეწოდება, რაც მისი პრომოუშენის შესაძლებლობას ზრდის.

გამოკითხულთა უმეტესობა უპირატესობას საინფორმაციო გამოშვებებს და გადაცემებს: „ერთი დღე სოფელში“, „მე ვარ ფერმერი“, „დილის ტალღა“, „მთავარი აჭარაში“ და „სპორტკლუბს“ ანიჭებენ. რესპონდენტებს უჭირთ საინფორმაციოს წამყვანთა იდენტიფიცირება, ყველაზე ცნობად სახედ კი გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ წამყვანს ნათია თავდგირიძეს მიიჩნევენ.

ჟანრობრივი უპირატესობის მიხედვით რესპოდენტთა დიდი ნაწილი, 69.8 % პირველი რიგის უპირატესობას საინფორმაციო გადაცემებს ანიჭებს. შემდეგ ადგილზეა შემეცნებითი გადაცემები 13.1 %, აღნიშნულ გადაცემებს მოსდევს სოციალური თემატიკის გადაცემები 6.7 %, თოქ-შოუ და სპორტი 6.1 % და ა. შ.

სოციოლოგიური კვლევის მნიშვნელობის ხაზგასასმელად საკმარისია მასში რადიოს კომპონენტის არსებობა და გაზომვის შესაძლებლობა. რამდენადაც რადიოს სმენადეობის გაზომვას საქართველოში დინამიურ და დროის რეალურ რეჟიმში არცერთი კომპანია არ ახორციელებს. სოციოლოგიური კვლევა რადიოს შესახებ სურათის შესაქმნელად ლამის ერთადერთ ინსტრუმენტად გვევლინება.

სამწუხაროდ, რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ნებისმიერ ადგილას, სადაც სხვა რადიოს დაჭერას ახერხებენ, რადიო აჭარა ხელმიუწვდომელია (79%). რადიომსმენელების 40.6 % ინფორმაციის მიღების, ხოლო 58.2 % სასურველი მუსიკის მოსმენის მიზნით უსმენს რადიოს.

სოციოლოგიურ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ასევე ინტრნეტ-მომხმარებელების შესწავლაზე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 77 % ინტერნეტში სოციალური ქსელებს იყენებს, 9.1 % საინფორმაციო გვერდებს. კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ადევნებთ თვალს აჭარის ტელევიზიის გადაცემებს ინტერნეტის საშუალებით, რესპოდენტთა 62.4 % აცხადებს, რომ არასოდეს ადევნებს თვალს, 18.2 % კი არც ისე ხშირად, ხოლო ხშირად აჭარის ტელევიზიის გადაცემს ინტერნეტით მხოლოდ 13.9% ადევნებს თვალს.

დეტალურად ინფორმაცია კვლევის შედეგების შესახებ მოცემულია კვლევის ანგარიშში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს. (იხ დანართი N2)

6. განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

1. მოსარჩელე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“; მოპასუხე: სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“;

სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის #3/1300-19 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით მაუწყებლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დავის არსის მიმოხილვა: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" მიერ 2018 წლის 06 დეკემბერის სხდომაზე განხილულ იქნა მაუწყებლის მიერ სამაუწყებლო ბადეში ვიდეორგოლის განთავსების მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი - კერძოდ 2018 წლის 17-20 ნოემბერს წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსების საკითხი, რომელიც მთავრდება სიტყვით - "მოღალატე"."საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 06 დეკემბრის #664/18 გადაწყვეტილებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გამო (არაეთიკური რეკლამის განთავსება) და გათავისფულდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგანვ (ვინაიდან ეს იყო პირველი დარღვევა წლის განმავლობაში). მაუწყებელმა გაასაჩივრა ზემოთმითითებული გადაწყვეტილება და მოითხოვა ბათილად ცნობა.

1.1. აპელანტი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

მოწინააღმდეგე მხარე: სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ სასარჩელო მოთხოვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის #3/1300-19 გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სააპელაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში.

2. კასატორი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

მოწინააღმდეგე მხარე - ირაკლი ბარამიძე

სასარჩელო მოთხოვნა: გთხოვთ, (1) ნაწილობრივ გააუქმოთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 20 თებრვლის (N2/ბ-1285-2018) განჩინება, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის (N2/574-18) გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში (სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს" დირექტორის 2017 წლის 23 მარტის ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში); (2) საქმეზე

მიღებული ახალი გადაწყვეტილებით უარი უთხრათ მოსარჩელე ირაკლი ბარამიძეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (სამუშაოზე აღდგენისა და ნაცდურის ანაზღაურებაზე); (3) გააუქმოთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 06 თებერვლის საოქმო განჩინება (მიღებული ადგილზე თათბირით) საქმის განმხილველი მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის აცილებაზე, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; (4) გააუქმოთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 14 იანვრის განჩინება, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ - ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე;

საკასაციო საჩივარი 2019 წლის 22 აპრილის უზანაესი სასამართლოს განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

3. მოსარჩელე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ მოპასუხეები: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ფ/პ ჯუმბერ ძირკვაძე. დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება.

საქმეს განიხილავს ოზურგეთის რაიონული სასამართლო.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით სასამართლოს განჩინების საფუძველზე ყადაღა დაედო მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთს.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფერიცვალების დღესასწაულზე გადაცემისთვის მასალების მოპოვების მიზნით 2016 წლის 18-19 აგვიტოს მივლინებულ იქნა სსიპ "საზოგადოებრი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" თანამშრომლები, მათ შორის ოპერატორი ნიკოლოზ კაჭარავა. ოპერატორს, დოღის გადაღებისას დაეჯახა ცხენით მოჯირითე, რის შედეგადაც ოპერატორმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ასევე დაზიანდა მაუწყებლის ვიდეოკამერა, რომლის შესაკეთებლად მაუწყებელმა გადაიხადა 5 385,52 ლარი. დასახელებულ ღონისძიებაზე (დოღზე) არ იყო დაცული დამსწრე საზოგადოების უსაფრთხოება, კერძოდ, არ იყო შემოსაზღვრული დოღში მონაწილეების ან ცხენზე მოჯირეთეებისათვის განკუთვნილი შესაბამისი "ტრასა"/ადგილი, ასევე, არსად არ იყო ამკრძალავი ნიშნები, თუ რა ტერიტორიაზე იყო დაუშვებელი მოქალაქეების ან/და ცხენით მოჯირითეების გადაადგილება. ვინადიდან ღონისძიების ორგანიზატორი იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, ეს ორგანოები იყვნენ ვალდებული უზრუნველყოთ დღესასწაულზე მყოფი პირების უსაფრთხოება შესაბამისი წინასწარი ზომების მიღებით. ცხენზე მოჯირითე პირი, რომელიც

დაეჯახა ოპერატორს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო არიან სოლიდარულად პასუხისმგებელი მაუწყებლისთვის მიყენებულ ზიანზე.

4. მოსარჩელე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მოპასუხე: შპს „ეიგლი“, სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“.

დავის საგანი: თანხის დაბრუნება

საქმეს განიხილავს ბათუმის საქალაქო სასამართლო.

მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო მოპასუხე შპს „ეიგლის“ საბანკო ანგარიშებზე არსებულ/ჩასარიცხი თანხის 50%-ს მოთხოვნილი თანხის ფარგლებში.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო'' (შემდგომში - ,,შემსყიდველი'') და შპს ,,ეიგლის'' (შემდგომში - ,,მიმწოდებელი'') შორის 2019 წლის 23 აგვისტოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული აუქციონის გარეშე ელეტრონული ტენდერის (N190014007) საფუძველზე გაფორმდა N199 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელი ვალდებული იყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველისთვის მიეწოდებინა ვიდეოკამერები და აუდიო პულტის ნაწილები. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტია მოქმედებდა 25/11/2019-მდე) საფუძველზე 2019 წლის 06 სექტემბერს შემსყიდველმა განახორციელა წინასწარი ანგარიშსწორება 11 000 ლარის ოდენობით. მიმწოდებლის მიერ ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

2019 წლის 25 ნოემბერს, საბანკო გარანტიის მოქმედების ბოლო დღეს, შემსყიდველმა წერილობითი ფორმით მიმართა (ფოსტის მეშვეობით იქნა გაგზავნილი წერილი) საბანკო გარანტიის გამცემ ორგანიზაციას და მოითხოვა მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საგარანტიო თანხის ანაზღაურება. 2019 წლის 03 დეკემბრის წერილით მოპასუხე სს ,,ალფამ'' მოსარჩელეს აცნობა, რომ მის მიერ დარღვეულია გარაანტიის მოთხოვნის ჩაბარების ვადები (გარანტიის მოქმედების ბოლო დღეს წერილის ფოსტაში ჩაბარება არ ჩათვალა მოთხოვნის ვადაში ჩაბარებად), რომლის საფუძველზეც გარანტი თავისუფლდება ბენეფიციარისათვის თანხის გადახდის ვალდებულებისგან. შპს ,,ეიგლიმ'' არ შეასრულა ვალდებულება, ასევე უარი განაცხადა საავანსო ანგარიშსწორებით მიღებული 11 000 ლარის დაბრუნებაზე.

5. მოსარჩელე: ნათია კაპანაძე, მოპასუხე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ სასარჩელო მოთხოვნა: ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

ნათია კაპანაძემ 2019 წლის 30 აპრილს მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს #3-201/19 და მოითხოვა მიღების დღიდან ბათილად ყოფილიყო ცნობილი მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 19 აპრილის N01-01/02 გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტები, რომლის თანახმადაც, მას, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორს, გამოეცხადა უნდობლობა და გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

დავის არსის მიმოხილვა: 2019 წლის 10 აპრილს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა (სადაც საუბარი იყო, სატელევიზიო რეიტინგების კლებაზე, პრიორიტეტების შეუსრულებლობაზე, კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვაზე, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზე, უტენდერო შესყიდვებზე, სამართლებრივი პროცედურების დარღვევით გაფორმებულ ხელშეკრულებებზე და სხვა მრავალ ფატქორზე) საბჭოს ორმა წევრმა და დირექტორისთვის უნდობლობის გამოცხადების დღის წესრიგით სხდომის მოწვევა მოითხოვა. 2019 წლის 10 აპრილს მრჩეველთა საბჭომ განიხილა უნდობლობის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება დირექტორისთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე. ამავე გადაწყვეტილებით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა დირექტორის პირველი მოადგილე ნათია ზოიძე.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელის საპასუხოდ წარდგენილი იქნა შესაგებელი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 8 მაისის განჩინებით ნათია კაპანაძის შუამდგომლობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძლობის გამო.

2019 წლის 15 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა ნათია კაპანაძემ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 8 მაისის N3-201/19 განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის განჩინებით, ნათია კაპანაძის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 08 მაისის განჩინება.

თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრები

1. საჩივრის ავტორი: მერაბ ბლადაძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი) მოპასუხე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ გადაცემა „მთავარის“ წამყვანი თეონა ბაკურიძე, რეპორტიორი ირინე წუწუნავა.
დავის საგანი: 2019 წლის 22 ოქტომბერს მაუწყებელს განცხადებით (#02-24/365) მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრმა მერაბ ბლადაძემ. განცხადებაში მითითებულია, რომ მაუწყებლის მიერ 2019 წლის 18 ოქტომბერს გადაცემა „მთავარში“ ჟურნალისტმა საკუთარი ინტერპრეტაციით გადასცა 2019 წლის 17 ოქტომბერს თოქ-შოუ „სათქმელში“ მისი სიტყვები (“ რატომ უნდა იყოს აჭარის ტელევიზიის იდეოლოგი, თემურ (იგულისხმება ზვიად) ქორიძე... ადგილობრივები არ გვყავს? დავიჯერო ასეთი უვიცები არიან ადგილობრივები?“), რითაც შეიცვალა ნათქვამის აზრი და საზოგადოებას ჩამოუყალიბდა მცდარი შეხედულება ზვიად ქორიძის მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნულის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და მოითხოვა ტელევიზიის მიერ საჯარო განმარტების გაკეთება და ბოდიშის მოხდა.
მაუწყებლის 2019 წლის 24 ოქტომბრის #02-19/469 წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-მ მის მიერ გადაცემა “მთავარის“ ეთერში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ შეიტანა ცვლილება გავრცელებულ ინფორმაციაში და განათავსა მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემდეგი შინაარსის განცხადება: „მთავარის“ ეთერში მერაბ ბლადაძის განცხადების შესახებ მომზადებულ მასალაში (სათაურში და სიუჟეტის წარდგენაში) სიტყვა „ჩამოსული“ წარმოჩინდა რესპონდენტის ციტირებად. მერაბ ბლადაძის მიერ ნათქვამ ფრაზაში - „რატომ უნდა იყოს აჭარის ტელევიზიის იდეოლოგი თემურ ქორიძე, რატომ უნდა ღებულობდეს სამი ათას ლარს ხელფასს, ადგილობრივი არ გვყავს? ასეთი უვიცები არიან ადგილობრივები?“ - „ჩამოსული“ ნახსენები არ ყოფილა. ამასთან, უზუსტობა არ ყოფილა სიუჟეტში და ტექსტში, მხოლოდ ლიდში იყო აღნიშნული სიტყვა გამოყენებული.”
განმცხადებელს ასევე განემარტა, რომ კანონდებლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ითვალისწინებდა ბოდიშის მოხდას, ხოლო იმ შემხთვევაში თუ მიიჩნევდა, რომ გავრცელებული განცხადება/შესწორება არ იყო თავდაპირველი განცხადების თანაზომადი, შეეძლო მოემართა მაუწყებლისათვის მისი საჩივრის/განცხადების თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილვის მიზნით.
2019 წლის 31 ოქტომბრის წერილით მერაბ ბლადაძემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 52.2. მუხლის საფუძველზე მცდარი ფაქტის შესწორება, ან უარყოფა გადაცემა „მთავარის“ მეშვეობით, დაახლოებით იმ დროს და იმ ხანგრძლივობით, როგორც ეს საწყისი განცხადების გაკეთების დროს მოხდა. ასევე მიუთითა, რომ განხორციელებული შესწორება არ მომხდარა თანაზომადი სახით.

თვითრეგულირების კომისიამ (რომლის წევრებიც არ იყვნენ მაუწყებლეში დასაქმებული პირები) 2019 წლის 26 ნოემბრის #7 გადაწყვეტილებით მერაბ ბლადაძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.
მერაბ ბლადაძემ სააპელაციო ორგანოში - მრჩეველთა საბჭოში გაასაჩივრა თვითრეგულირების კომისიის გადაწყვეტილება. სააპელაციოს ორგანოს (მრჩეველთა საბჭო) მიერ 2019 წლის 30 დეკემბრის #01-01/29 გადაწყვეილებით მერაბ ბლადაძის სააააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2. საჩივრის ავტორი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი; მოპასუხე: ჟურნალისტ თეონა ხარაბაძე; დავის საგნის მიმოხილვა: 2019 წლის 15 თებერვალს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს" განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა, ჯუმბერ ვარდმანიძემ, 11 თებერვალს სატელევიზიო ეთერში - გადაცემა „მთავარში" გასულ რეპორტაჟთან დაკავშირებით. სიუჟეტი შეეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნას, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა და იკვლევს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულებას. სიუჟეტი აუდიტის სამსახურის აღმოჩენილ დარღვევებს შეეხება და შეიცავს საჯარო მოხელეების კომენტარებს, მოსახლეობის გამოკითხვას, აჭარის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის შეფასებას და დასკვნაში მითითებული ობიექტების ვიზუალურ მასალას (http://ajaratv.ge/news/ge/38491/akhalshenis-kulturis-sakhlis.html.html). განცხადებაში აღნიშნულია, რომ სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია არ იყო სათანადოდ შესწავლილი და ეყრდნობოდა არასწორ ფაქტებს. კერძოდ, განმცხადებელს პრეტენზია აქვს კაპრეშუმის სოციალურ სახლთან და სოფელ ჯიბინაურის სტადიონთან დაკავშირებით გასული ინფორმაციის სიზუსტეზე. თვითრეგულების კომისიის 2019 წლის 21 მარტის #6 გადაწყვეტილებით კომისიამ დაადგინა: კომისია მიიჩნევს, რომ, რაკი დადგინდა სიზუსტის პრინციპის დარღვევა სოფელ ჯიბინაურის სტადიონთან დაკავშირებით, როგორც სატელევიზიო სიუჟეტში, ასევე სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოში, მნიშვნელოვანია, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე–13 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად („მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებით და ფორმებით სათანადო საეთერო დროს, მას შემდეგ რაც მაუწყებლისთვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ"), სათანადო ფორმით მოხდეს დაშვებული უზუსტობის შესწორება, როგორც სატელეიზიო ეთერში, ასევე, სოციალურ ქსელში, მაუწყებლის ოფიციალურ ფეისბუკ გვერდზე. კომისიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

3. საჩივრის ავტორი: სს „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფი" (გაავრცელა საჯარო განცხადება) მოპასუხე: ჟურნალისტი ხათუნა შუშანიძე
დავის არსის მიმოხილვა: 2019 წლის 12 იანვარს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" (შემდგომში ,,მაუწყებელი") სატელევიზიო ეთერში

(გადაცემა ,,მთავარი აჭარაში“) გავიდა რეპორტაჟი ბათუმის განაშენიანების შესახებ. აღნიშნული რეპორტაჟის საპასუხოდ ს/ს ,,სილქ როუდ საფინანსო ჯგუფმა“ სხვადასხვა მედია საშუალებებში გაავრცელა განცხადება. აღნიშნული განცხადების შინაარსი მიუთითებს, რომ მაუწყებელმა არასწორი ინფორმაცია (ცილისწამებლური და მცდარი) გაავრცელა.

2019 წლის 17 იანვარს მაუწყებელმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მზადყოფნას გამოთქვამდა თვითრეგულირების ფარგლებში განეხილა მაუწყებლის 2019 წლის 12 იანვრის სიუჟეტის შესაბამისობა ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ პრინციპებთან.

სს „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფს“ მონაწილეობა არ მიუღია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მის მიერ საჯაროდ გავრცელებული უარყოფის განხილვაში.

თვირეგულირების ფარგლებში შექმინლმა კომისიამ 2019 წლის 01 მარტის გადაწყვეტილებით დააგინა: კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა ხათუნა შუშანიძემ, განაშენიანების შესახებ სიუჟეტის მომზადებისას დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის (სახელმძღვანელო რეკომედაციები მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ“) მე-4 და მე-5 პუნქტები მხოლოდ ერთ ნაწილში, როდესაც რესპოდენტის (კახა გუჩმანიძის) მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ გადაამოწმა სხვა წყაროებთან და ამის მიუხედავად, ეს ინფორმაცია მაინც გამოიყენა სიუჟეტში. ამასთან, თავის ტექსტში დაუზუსტებელი ინფორმაციის თაობაზე არ მიუთითა.

7. საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებები

2019 წლის განმავლობაში საჯარო განხილვები და მოქალაქეთა წინადადებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

8. საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიო’’-ს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებულება არცერთ საწარმოსთან არ ჰქონია.

საკადრო პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის თანამშრომლები ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებს, მათ შორის:

- ახალი ამბების სამსახურის გუნდის წევრები 2019 წლის 09 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, თემა ეხებოდა სასამართლოს ინსტიტუციურ განვითარებას;
- ახალი ამბების სამსახურის გუნდის წევრები - 2019 წლის 14 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით იმყოფებოდნენ მედია ფორუმზე ქობულეთში თემაზე დეცენტრალიზაციის რეფორმების ძირითადი მიმართულებები;
- შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელი 2019 წლის 15 თებერვალს ქ.თბილისში ესწრებოდა, შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით გამართულ შეხვედრა ტრენინგს;
- 2019 წლის 20 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურის ოპერატორებისათვის შედგა სწავლება;
- ახალი ამბების და შემოქმედების გუნდის წევრები 2019 წლის 23-24 თებერვალს ესწრებოდნენ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ორგანიზებით გამართულ ტრენინგს თემაზე: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“;
- 2019 წლის 28 თებერვლიდან 02 მარტის ჩათვლით ტექნიკური სამსახურის წარმომადგენელი იმყოფებოდა ბაკურიანში „სოფთლაინ საქართველოს“ მიერ გამართულ ორგანიზებულ ტრენინგზე /შეხვედრაზე;
- 2019 წლის 05 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით გადაცემა „ვემსახურები საქართველოს“ ავტორი და წამყვანი იმყოფებოდნენ კახეთში (ყვარელში) ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ორგანიზებით გამართულ ტრენინგზე, თემა: საგამოძიებო ჟურნალისტიკა;
- 2019 წლის 18 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით ახალი ამბების გუნდის წევრები იმყოფებოდა დედაქალაქში მედიაკადემიის ორგანიზებით გამართულ ვორქშოფზე, თემა ციფრული ეპოქა და სოციალური კვლევის მეთოდები;
- გადაცემა „მე ვარ ფერმერის“ წამყვანი წარდგენილი იყო ქალაქ რომში საერთაშორისო აგროფორუმზე დასასწრებლად;
- ახალი ამბების სამსახურის თანამშრომელი იმყოფებოდა ტრენინგ-სემინარზე ტოლერანტობის შესახებ (07.04.2019);
- საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის თანამშრომელი - ადამიანური რესურსების მართვის სასერტიფიკატო იმყოფებოდა ტრენინგ-კურსი (10.05.2019-26.05.2019);
- ახალი ამბების სამსახურის თანამშრომელი იმყოფებოდა - ტრენინგ-სემინარზე „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ (23.06.2019-25.06.2019);
- ახალი ამბების სამსახურის თანამშრომელი (რადიო) იმყოფებოდა - კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მედიააკადემიის ტრენინგზე „საინფორმაციო ფორმატები და მარკეტინგი რადიოში“ (12.06.2019-13.06.2019);
- ახალი ამბების სამსახურის ერთი რეპორტორი იმყოფებოდა სასწავლო მივლინებაში;
- იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენელი იმყოფებოდა სასწავლო მივლინებაში (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში);
- 2019 წლის განმავლობაში მაუწყებელში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით გადაამზადა 4 (ოთხი) თანამშრომელი, მათ შორის, 1 (ერთი) პროფესიული კავშირების დაფინანსებით, ტრენინგი ჩაუტარდათ ონლაინ მედიის სამსახურის თანამშრომლებს.

გარდა ამისა, ახალი ამბების სამსახურის მთელ შემადგენლობას 2019 წლის 17.06.2019-20.06.2019 პერიოდში ჩაუტარდათ მოკლევადიანი სწავლების კურსი დოიჩე ველეს აკადემიის ტრენერების მიერ. სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის თანამშრომლებს ყოველთვიურად ონლაინ რეჟიმში უტარდებოდათ ტრენინგი სარეკლამო საკითხებზე დოიჩე ველეს წარმომადგენლების მიერ.

2019 წლის განმავლობაში ახალი თანამშრომლის აყვანა განხორციელდა მაუწყებლის მიერ, კონკურსის წესით და კონკურსის წესის გარეშე, კერძოდ:

2019 წლის აპრილი - ივნისის თვის განმავლობაში მაუწყებელში კონკურსის გზით დასაქმდა სამი თანამშრომელი: მძღოლი თბილისის ბიუროსათვის, ოპერატორი საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში, ვებ-რედაქტორი.

2019 წლის ივლისი - სექტემბრის თვის პერიოდში გამოცხადდა სამი კონკურსი თბილისის ბიუროს ოპერატორებისა და რეპორტიორის, დილის გადაცემის მემონტაჟე-ოპერატორის და ლაგოდეხის გადამცემი სადგურის გუშაგი-ტექნიკოსის შესარჩევად. 2019 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში, ვაკანტურ პოზიციებზე განხორციელდა 3 კონკურსის გამოცხადება 7 სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის 5 დასრულდა შედეგით.

რაც შეეხება კონკურსის წესის გარეშე თანამშრომელთა აყვანას, 2019 წლის 01 ივლისს ახალი ამბების სამსახურში კონკურსის გარეშე აყვანილ იქნა რეპორტიორის პოზიციაზე 6 (ექვსი) თვის ვადით ერთი თანამშრომელი, ასევე, დოკუმენტური ფილმების ავტორი, რეჟისორი და დამლაგებელი. კონკურსის წესით აყვანილი იქნა ოპერატორ-მემონტაჟე. (დილის გადაცემა)

2019 წლის 31 დეკემბერს ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა ერთ თანამშრომელთან.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის სხვადასხვა სტრუქურულ ერთეულებში სტაჟირების პროგრამით დასაქმებული იყვნენ სტაჟიორები, კერძოდ:

- ახალი ამბების სამსახურში - ორი სტაჟიორი, რომლებმაც გაიარეს მოსამზადებელი პერიოდი და დამოუკიდებლად ამზადებდნენ მასალებს.
- რადიომაუწყებლობის სამსახურში - ექვსი სტაჟიორი, რომლებიც დამოუკიდებლად ამზადებდნენ მასალებს გადაცემა „რადიოვიზიისათვის“.
- ონლაინ მედიის სამსახურში - ერთი სტაჟიორი, რომელიც დამოუკიდებლად ამზადებდა სტატიებს ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, თარგმნიდა ინგლისურენოვან სტატიებს ქართულად, აკეთებდა ფოტო-რეპორტაჟებს, ვებ-გვერდზე ტვირთავდა გადაცემებს.
- საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში - ერთი სტაჟიორი, რომელიც ჩართული იყო შაბათ-კვირის დილის გადაცემის გადაღებებში.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის სხვადასხვა სტრუქურულ ერთეულში სტაჟირების პროგრამით შერჩეული სტაჟიორებიდან 6 (ექვსი) მათგანი დასაქმდა ტელევიზიასა და რადიოში გამოსაცდელი ვადით. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში 2019 წლის მე-4 კვარტალში სამსახურში იქნა მიღებული 3 (სამი) წარმატებული სტაჟიორი (გადაცემა „რადიოვიზია“).

9. მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტი

ა) ზოგადი ინფორმაცია :

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 35[12] -ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულია 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები.

ბ) 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტის აღწერა და მიზანი:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისი სატელევიზიო და რადიო პროგრამების მომზადება/შესყიდვა და ერთი სატელევიზიო და ერთი რადიო არხით ტრანსლირება საქართველოს ტერიტორიაზე, ტელემაყურებელთა და რადიო მსმენელთათვის ობიექტური, დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება, აჭარის რეგიონში, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და სხვა ხასიათის აქტუალური თემების გაშუქება, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ხელშეწყობა;
- მაუწყებელმა ორგანიზება უნდა გაუწიოს სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოებას/შესყიდვას და საეთერო ბადის მიხედვით სატელევიზიო და რადიო ეთერში განთავსებას. კერძოდ, უნდა განახორციელოს ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებების, პერიოდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუებისა და საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების წარმოება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გადაღება, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების შეძენა. უზრუნველყოს პროფესიონალური საკადრო რესურსების მოზიდვა, მართვა და მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება. უნდა შეიმუშავოს და წარადგინოს წინადადებები მაუწყებლის ბიუჯეტისა და გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილების შესახებ. უზრუნველყოს სატელევიზიო და რადიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია და გეგმაზომიერი განახლება/შეძენა და შეკეთება, სატელევიზიო და რადიო სტუდიების მოწყობა. თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელოს საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, ამ მიზნით სახელმწიფო, კერძო და უცხოურ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები და ურთიერთ თანამშრომლობის სხვა შეთანხმებები.

გ) წარმოდგენილი პროექტით 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 10 505 000 ლარით განისაზღვრა, მათ შორის:

- საბიუჯეტო სახსრები 10 305 000 ლარი;

  („საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, 2020 წლისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების საბიუჯეტო ასიგნება შეადგენს 68 700 000 ლარს)
- არასაბიუჯეტო სახსრები 200 000 ლარი.

დ) წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები დასამტკიცებელი მუხლების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- **საბიუჯეტო სახსრები (გრანტი):**
  ბიუჯეტის ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 10 305 000 ლარს, მათ შორის:
  • მრჩეველთა საბჭო - 309 150 ლარი (3,00%);
  • ადმინისტრაცია - 3 127 700 ლარი (30,35%);
  • ახალი ამბები - 1 627 700 ლარი (15,79%);
  • მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 2 830 800 ლარი (27,47%);
  • რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 522 000 ლარი (5,07%);
  • ტექნიკური უზრუნველყოფა - 1 816 650 ლარი (17,63%);
  • სხვა გადასახდელები - 71 000 ლარი (0,69%).

- **არასაბიუჯეტო სახსრები (საკუთარი):**
  არასაბიუჯეტო ასიგნებების გადასახდელების ნაწილი შეადგენს 200 000 ლარს, მათ შორის:
  • მრჩეველთა საბჭო - 6 000 ლარი (3,00%);
  • ადმინისტრაცია - 44 600 ლარი (22,30%);
  • ახალი ამბები - 10 000 ლარი (5,00%);
  • მედიაწარმოება და პროდიუსინგი - 99 400 ლარი (49,70%);
  • რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა - 0,00 ლარი (0,00%);
  • ტექნიკური უზრუნველყოფა - 0,00 ლარი (0,00%);
  • სხვა გადასახდელები - 40 000 ლარი (20,00%).

ე) 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის ინიციატორია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.

ვ) 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი მომზადებულია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე და იგი რეალურად ასახავს შესაბამისი წლის ტელევიზიისა და რადიოს საჭიროებებს მოსალოდნელი რესურსების (როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო) ფარგლებში.

2020 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული
შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი



2020 წლის ბიუჯეტის პროექტით
გათვალისწინებული ასიგნებების გადასახდელები





2019 წლის

საბიუჯეტო სახსრები



2019 წლის

არასაბიუჯეტო სახსრები



10. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულება;

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები
2. მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები
3. მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია
4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ
5. სახელმწიფო შესყიდვები
6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

✓ ანგარიში მომზადებულია:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ 33-ე, 35[12]-ე და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლის შესაბამისად;
- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ, მრჩეველთა საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №01-01/03 (ოქმი №3) გადაწყვეტილების შესაბამისად.

✓ მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“.

✓ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის მიერ 2018 წლის 17 დეკემბერს №02-19/3171 წერილით წარდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩევლთა საბჭოს მიერ 2018 წლის 21 დეკემბერის №01-01/25 (ოქმი №18) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი“-ს სამეურვეო საბჭოს, რომელთა მიერ 2018 წლის 25 დეკემბრის №442 (ოქმი №396) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს 2019 წლის ბიუჯეტი.

✓ 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2. მაუწყებლის ბიუჯეტის 2019 წლის შესრულების მაჩვენებლები

ხარჯების დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი		კორექტირებული/დაზუსტებული ბიუჯეტი				ათვისებული (ფაქტიური) ბიუჯეტი				ბიუჯეტის შესრულება %	
	ხაზინა	ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები	ხაზინა კორექტირებული	ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები კორექტირებული	სხვაობა დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	სხვაობა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის	ხაზინა ფაქტიური შესრულება	ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები ფაქტიური შესრულება	სხვაობა კორექტირებულ ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის	სხვაობა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების კორექტირებულ ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის	ხაზინა	ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები
მრჩეველთა საბჭო	261 915.00	6 000.00	261 915.00	6 000.00	-	-	261 215.18	1 830.00	699.82	4 170.00	99,73%	30,50%
ადმინისტრაცია	2 687 590.00	35 370.00	2 687 590.00	35 370.00	-	-	2 684 578.83	34 205.58	3 011.17	1 164.42	99,89%	96,71%
ახალი ამბები	1 346 220.00	5 000.00	1 346 220.00	5 000.00	-	-	1 346 158.67	4 595.00	61.33	405.00	99,99%	91,90%
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	2 448 105.00	119 630.00	2 448 105.00	119 630.00	-	-	2 446 853.51	113 332.78	1 251.49	6 297.22	99,95%	94,74%
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	445 160.00	-	445 160.00	-	-	-	430 511.49	-	14 648.51	-	96,71%	0,00%
ტექნიკური უზრუნველყოფა	1 471 320.00	-	1 471 320.00	-	-	-	794 858.76	-	676 461.24	-	54,02%	0,00%
სხვა გადასახდელები	69 690.00	34 000.00	69 690.00	34 000.00	-	-	68 857.01	34 000.00	832.99	-	98,80%	100,00%
სულ ჯამი	8 730 000.00	200 000.00	8 730 000.00	200 000.00	-	-	8 033 033.45	187 963.36	696 966.55	12 036.64	92,02%	93,98%

→ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2019 წლის ბიუჯეტში, არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში შრომის ანაზღაურების მუხლი მოიცავს:

- ა(ა)იპ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"-სთან 2018 წელს გაფორმებელი ხელშეკრულების შესაბამისად პროექტის "ძალა ევროპაშია" 2019 წელში გასაწევ შრომის ანაზღაურების ფონდს - 12 125,00 ლარის ოდენობით;
- ა(ა)იპ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო"-სთან გაფორმდა ხელშეკრულება, გადაცემა „თეატრალური ანტრაქტი”-ს (მცირე ზომის თეატრალურ სივრცეში ქართული კლასიკური ლიტერატურის ერთი ნიმუშის თეატრალიზებული დადგმა) მოსამზადებლად („საქართველოსა და შვედეთს შორის განვითარებისათვის თანამშრომლობის ზოგადი წესებისა და პირობების შესახებ“. პროექტის დასახელება - ორგანიზაციული დახმარება საერთაშორისო გამჭვირვალობას 2018-2021), რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 23 790,00 ლარის ოდენობით;
- ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჯგუფი“-სთან პროექტის „შშმ ადამიანთა მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ცვლილებების ხელშეწყობა“-ს ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი“-ს ეთერში 12 რუბრიკის და ახალი ამბების გამოშვება „მთავარი“-ში 12 სიუჟეტის მოსამზადებლად, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 11 000,00 ლარის ოდენობით;
- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი“-ს ეთერში ა(ა)იპ „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი“-ს მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ქობულეთში მცხოვრები ბოშების ინტეგრაციის ხელშეწყობა“-ს ფარგლებში, ა(ა)იპ „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება 5 სიუჟეტის მოსამზადებლად, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 2 950,00 ლარის ოდენობით;
- მაუწყებლის გადაცემა „ჰეშთეგი“-ს ეთერში საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის [NED] მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის “სიტყვის თავისუფლების მხარდაჭერა“ (საგრანტო ხელშეკრულების #NED Grant № 2017 – 858.1) ფარგლებში, ა(ა)იპ „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება 24 სიუჟეტის მოსამზადებლად, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 5 700,00 ლარის ოდენობით;
- კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაუწყებლის რესურსით მომზადდა პროექტი „მონო“-ს (მონო შემსრულებელი ასრულებს სიმღერებს და თავად წარმოადგენს მას, მოგვიტხრობს მუსიკალური ნაწარმოების და მისი ემოციური დამოკიდებულების შესახებ) გადაცემები, რომელიც მოიცავდა შრომის ანაზღაურების ფონდს - 2 600,00 ლარის ოდენობით;

❖ ათვისებული ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლები





3. მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია

2019 წელში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 8 730 000,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 8 033 033,45 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 696 966,55 ლარს, კერძოდ:

- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 699,82 ლარი, მათ შორის:
  - → მრჩეველთა საბჭოს წევრების და აპარატის წევრების ჰონორარი 6,62 ლარი;
  - → ოფისი 691,77 ლარი (მათ შორის მივლინებები 420,00 ლარი);
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 0,37 ლარი;
  - → არაფინანსური აქტივების ზრდა 1,06 ლარი.
- ადმინისტრაციის მუხლში დარჩა ასათვისებელი 3 011,17 ლარი, მათ შორის:
  - → თანამდებობრივი სარგო 19,43 ლარი
  - → შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 0,64 ლარი;
  - → ოფისი 2 846,68 ლარი (მათ შორის მივლინებები 1 635,73 ლარი);
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 6,63 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 10,92 ლარი;
  - → სხვა ხარჯები 126,87 ლარი.
- ახალი ამბების მუხლში დარჩა ასათვისებელი 61,33 ლარი, მათ შორის:
  - → შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 0,72 ლარი;
  - → ოფისი 59,54 ლარი (მათ შორის მივლინებები 59,32 ლარი);
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1,07 ლარი.
- მედიაწარმოება და პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 1 251,49 ლარი, მათ შორის:
  - → შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 0,47 ლარი;
  - → ოფისი 485,45 ლარი (მათ შორის მივლინებები 1,53 ლარი);
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 758,25 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 6,82 ლარი;
  - → არაფინანსური აქტივების ზრდა 0,50 ლარი.
- რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის მუხლში დარჩა ასათვისებელი 14 648,51 ლარი, მათ შორის:
  - → შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 4 068,19 ლარი;
  - → ოფისი ლარი 445,46 (მათ შორის მივლინებები 445,46 ლარი);
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 10 100,00 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 34,86 ლარი.
- ტექნიკური უზრუნველყოფის მუხლში დარჩა ასათვისებელი 676 461,24 ლარი, მათ შორის:
  - → ოფისი 35 165,60 ლარი;
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1 790,00 ლარი;
  - → არაფინანსური აქტივების ზრდა 639 505,64 ლარი.
- სხვა გადასახდელების მუხლში დარჩა ასათვისებელი 832,99 ლარი.
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 300,00 ლარი;

→ სხვა ხარჯები 532,99 ლარი.

გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 92,02 %-ს.

2019 წელს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 200 000,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 187 963,36 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 12 036,64 ლარს, კერძოდ:

- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 4 170,00 ლარი, მათ შორის:
  → მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარი 4 000,00 ლარი;
  → ოფისი 170,00 ლარი.
- ადმინისტრაციის მუხლში დარჩა ასათვისებელი 1 164,42 ლარი, მათ შორის:
  → ოფისი 773,94 ლარი;
  → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 353,00 ლარი;
  → სხვა ხარჯები 17,14 ლარი;
  → არაფინანსური აქტივების ზრდა 20,34 ლარი.
- ახალი ამბების მუხლში დარჩა ასათვისებელი 405,00 ლარი, მათ შორის:
  → ოფისი 405,00 ლარი (მათ შორის მივლინებები 405,00 ლარი).
- მედიაწარმოება და პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 6 297,22 ლარი, მათ შორის:
  → შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2,73 ლარი;
  → ოფისი 2 998,69 ლარი (მათ შორის მივლინებები 4,52 ლარი);
  → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 3 271,80 ლარი;
  → სხვა ხარჯები 0,27 ლარი;
  → არაფინანსური აქტივების ზრდა 23,73 ლარი.
- რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის მუხლში დარჩა ასათვისებელი 0,00 ლარი.
- ტექნიკური უზრუნველყოფის მუხლში დარჩა ასათვისებელი 0,00 ლარი.

გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 93,98 %-ს.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად,

2.1. შრომის ანაზღაურების მუხლში რესურსი გამოწვეულია:
- *მრჩეველთა საბჭოს ჰონორარის მუხლში (საკუთარი სახსრები) არსებული რესურსით.*

2.2. საქონელი და მომსახურების მუხლში არსებული რესურსი გამოწვეულია:
- *შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ნაწილში არსებული რესურსით;*
- *გარეწარმოებაში (რადიოს ნაწილში) არსებული რესურსით;*
- *სხვადასხვა ხელშეკრულებებში (საფოსტო მომსახურება, სატელეფონო მომსახურება და სხვა) არსებული რესურსით, რომელიც გამოწვეულია მომსახურების ფაქტობრივ მოწოდებაზე.*

31. არაფინანსური აქტივების მუხლში გათვალისწინებული სატელევიზიო ტექნიკის შეძენა/მოწოდება ვერ განხორციელდა შემდეგ გარემოებათა გამო:
- *მოძრავი სატელევიზიო სადგურის და პირდაპირი ჩართვის აპარატის (Live-U), რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 475 000 ლარს, შეძენა ვერ განხორციელდა, რადგან 3-ჯერ გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. გამოცხადდა მეოთხეჯერ, თუმცა სხვადასხვა ტექნიკური და ობიექტური მიზეზების გამო შეწყდა.*
- *ვიდეოკამერების კომპლექტის და ხმის პულტის შესყიდვაზე გამოვლენილი იყო გამარჯვებული და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება 164 685 ლარზე, თუმცა მომწოდებელმა ვერ შეასრულა ვალდებულება და მიეცა დისკვალიფიკაცია;*
- *გაფორმდა ხელშეკრულება 13 ერთეული უკაბელო ხელის მიკროფონისა და 4 ერთეული სამკერდე მიკროფონის შესყიდვაზე ღირებულებით 31 895,40 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული*

მოწოდების პერიოდია 2020 წლის თებერვალი, რაზედაც წარმოდგენილია საბანკო გარანტია და ანგარიშსწორება განხორციელდა 2020 წელს.

დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2019 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

❖ **დეტალური ინფორმაცია მაუწყებლის მიერ 2019 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ**

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)			საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)		
	კორექტირებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	კორექტირებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა
სულ	**8.730.000,00**	**8.033.033,45**	**697.966,55**	**200.000,00**	**187.963,36**	**12.036,64**
მრჩეველთა საბჭო	**261.915,00**	**261.215,18**	**699,82**	**6.000,00**	**1.830,00**	**4.170,00**
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	163.600,00	163.597,94	2,06	4.000,00	-	4.000,00
მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა ჰონორარი	43.635,00	43.630,44	4,56	-	-	-
მრჩეველთა საბჭოს მივლინება ქვეყნის შიგნით	1.000,00	580,00	420,00	980,00	980,00	-
საკანცელარიო საქონელი	105,00	-	105,00	500,00	500,00	-
სავიზიტო ბარათების შეძენა	-	-	-	350,00	350,00	-
მრჩეველთა საბჭოს მობილური სატელეფონო მომსახურება	1.200,00	1.033,23	166,77	-	-	-
აუდიტორული მომსახურება	5.899,00	5.898,82	0,18	-	-	-
სოც. კვლევა	15.038,00	15.037,92	0,08	-	-	-
რეიტინგების მთვლელი კვლევა	12.577,00	12.576,89	0,11	-	-	-
საოფისე ავეჯის შეძენა	-	-	-	170,00	-	170,00
საოფისე ნოუთბუქი (5)	18.861,00	18.859,94	1,06	-	-	-
ადმინისტრაცია	**2.687.590,00**	**2.684.578,83**	**3.011,17**	**35.370,00**	**34.205,58**	**1.164,42**
თანამდებობრივი სარგო (შტატი)	1.418.540,00	1.418.520,57	19,43	-	-	-
პრემია (შტატი)	12.825,00	12.825,00	-	-	-	-
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	426.487,00	426.486,36	0,64	-	-	-
პრემია (შტატგარეშე)	13.025,00	13.025,00	-	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	7.100,00	7.037,00	63,00	-	-	-
მივლინება ქვეყნის გარეთ	2.900,00	1.327,27	1.572,73	-	-	-
საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები	3.563,00	3.561,50	1,50	-	-	-
დანარჩენი საკანცელარიო ნივთები	7.579,00	7.579,00	-	-	-	-
ვებ-გვერდის შესყიდვის ჩაბარების საკონსულტაციო მომსახურების საფასური	900,00	900,00	-	-	-	-
პროგრამული განახლების უზრუნველყოფა	2.236,00	2.200,00	36,00	-	-	-
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	375,00	310,80	64,20	-	-	-
მცირეფასიანი მაცივარის შეძენა	499,00	499,00	-	-	-	-
კარტრიჯების შეძენა/დატუმბვა	5.610,00	5.607,75	2,25	-	-	-
მტვერსასრუტების, თმის ფენის, ელ.გამათბობლების შეძენა	2.340,00	2.340,00	-	-	-	-
ცეცხლმაქრების შეძენა ავტომობილებისათვის	630,00	630,00	-	-	-	-
პანდუსების შეძენა	950,00	950,00	-	-	-	-
ბრენდირებული საქონელი	-	-	-	830,00	820,00	10,00
გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები	-	-	-	3.349,00	3.264,00	85,00
კომპიუტერული ტექნიკა და მარაგები	12.450,00	12.446,24	3,76	-	-	-
კომპიუტერის ანტივირუსის ლიცენზია	7.804,00	7.803,34	0,66	-	-	-
ენერგომომარაგების აქსესუარი (UPS) (10)	850,00	849,90	0,10	-	-	-

საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე ანგარიშის გამოქვეყნების საფასური	20,00	20,00	-	-	-	-
დომენის რეგისტრაციის გაგრძელება	-	-	-	90,00	90,00	-
საკანონმდებლო მაცნეს ბაზის განახლება	288,00	288,00	-	-	-	-
მადუღარების და ჩაიდნების შეძენა	1.300,00	1.300,00	-	-	-	-
კიბეების შეძენა	52,00	52,00	-	-	-	-
ტანსაცმელის საკიდი და საშრობი	141,00	141,00	-	-	-	-
სახანძრო მოწყობილობების შეკეთება და ტექ.მომსახურება	1.770,00	1.770,00	-	-	-	-
სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	1.667,50	1.347,56	319,94	878,00	794,80	83,20
სამეურნეო საქონელის (ხელსაწყოები, კაბელის არხი, ალუმინის პროფილი, კუთხოვანა, სარჩილავი მოწყობილობები და სხვა) შეძენა	1.363,00	1.326,20	36,80	60,00	60,00	-
სპეც.ტანსაცმელი და უსაფრთხოების აქსესუარები	1.678,00	1.678,00	-	-	-	-
ქოთნების, მიწისა და ტორფის შეძენა მცენარეებისთვის, დეკორატიული მცენარის შეძენა	246,00	244,90	1,10	-	-	-
საწმენდი საშუალებები, დისპენსერები, ჯაგრისები, ტილოები და სხვა	3.210,00	3.195,26	14,74	2.457,00	2.457,00	-
სამსახურებრივი მოწმობების, სერტიფიკატების, სავიზიტო ბარათების, სტიკერების და მანქანის ლოგოს დამზადება	100,00	100,00	-	70,00	70,00	-
ელ. სადენი და კაბელის აქსესუარების შეძენა	279,00	274,60	4,40	-	-	-
ქსელის კაბელი, აქსესუარები და კონექტორები	-	-	-	2.000,00	1.999,25	0,75
კონდიციონერების შეკეთება და ტექ.მომსახურება	4.935,00	4.934,40	0,60	-	-	-
პირსაბანი ნიჟარის, უნიტაზის კომპლექტის, უნიტაზის სახურავის, ონკანის შეძენა	587,00	586,50	0,50	543,00	505,00	38,00
შენობის მიმდინარე რემონტი	489,00	488,24	0,76	4.991,00	4.990,01	0,99
ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე (არგინეთი) ანძის გამაგრებითი სამუშაოები	6.798,00	6.797,98	0,02	-	-	-
საოფისე ავეჯის შეძენა/შეკეთება	1.115,00	1.115,00	-	2.173,00	1.617,00	556,00
პირველადი ბატარეები (აკუმულატორები) და ელემენტები	3.737,00	3.736,80	0,20	980,00	980,00	-
თაბაშირ-მუყაოს ხმის საიზოლაციო ფილები, საღებავების, გამხსნელის, წებოების, სანკაპი, ლინოლეუმი და სხვა	3.190,50	3.108,25	82,25	-	-	-
დიზელ გენერატორის ზეთი, ფილტრები	465,00	465,00	-	-	-	-
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	9.009,00	9.008,49	0,51	264,00	264,00	-
მობილური ტელეფონების ხარჯი	25.259,00	25.257,21	1,79	-	-	-
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	512,00	479,35	32,65	-	-	-
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	23.465,00	23.465,00	-	-	-	-
სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი	14.040,00	14.040,00	-	-	-	-
საფოსტო მომსახურება	999,00	998,19	0,81	-	-	-
ელ.ენერგიის ხარჯი	79.209,00	79.208,84	0,16	-	-	-
წყალის და წყალანირების ხარჯი	3.658,00	3.657,50	0,50	-	-	-
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი	2.798,00	2.798,00	-	-	-	-
საწვავი (დიზელ-გენერატორი)	1.615,00	1.614,90	0,10	-	-	-
საწვავი (ავტომანქანებზე)	130.376,00	130.374,91	1,09	-	-	-
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	35.099,00	35.098,15	0,85	-	-	-
ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი	3.108,00	3.108,00	-	-	-	-

GPS-ის მომსახურება	4.842,00	4.841,34	0,66	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი (გადაზიდვა/გადაყვანა, ტაქსის მომსახურება)	2.349,00	2.341,98	7,02	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების პარკირება	1.280,00	1.270,00	10,00	-	-	-
სატრანსპორტო საშუალებების ტექ.მომსახურება	760,00	760,00	-	-	-	-
ავტომობილების ნომრის შეცვლა	560,00	560,00	-	-	-	-
საბურავების შეძენა	6.640,00	6.220,00	420,00	-	-	-
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	600,00	435,76	164,24	-	-	-
საკონფერენციო მომსახურება-პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით	700,00	700,00	-	-	-	-
სამხარაულის ბიუროს დასკვნა ავტომანქანების ტექნიკური გამართულობის შესახებ	1.000,00	1.000,00	-	-	-	-
დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან	120,00	120,00	-	-	-	-
შენობის დაცვა (ორბელიანის 17)	15.081,00	15.080,40	0,60	-	-	-
ადმინისტრაციული შენობების დაცვა	133.200,00	133.200,00	-	-	-	-
სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი	2.700,00	2.700,00	-	-	-	-
კანცელარიის პროგრამის მომსახურება	-	-	-	2.976,00	2.976,00	-
საბუღალტრო პროგრამის მომსახურება (სუპერფინი)	468,00	468,00	-	-	-	-
საკორესპოდენტო ბიუროებს ოფისების დაქირავების ხარჯი	16.200,00	16.200,00	-	-	-	-
საქ.ტელერადიოცენტრის ანძებზე დამონტაჟებული აპარატურის შენახვის ხარჯი	3.000,00	3.000,00	-	-	-	-
112-ს მომსახურების საფასური (ადგილობრივი სატელეფონო მომსახურება)	170,00	169,50	0,50	-	-	-
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელეფონო მომსახურება)	1.509,00	1.503,00	6,00	-	-	-
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი) - სსკ-ს 134 მუხლის 1 ნაწილის გ) ქვეპუნქტის თანახმად არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	34.585,00	34.584,81	0,19	-	-	-
"როიტერის " მომსახურება - სსკ-ს 134 მუხლის 1 ნაწილის გ) ქვეპუნქტის თანახმად არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	31.630,00	31.629,87	0,13	-	-	-
ტელევიზორის საკიდი (დამჭერები)	-	-	-	60,00	60,00	-
საფეხბურთო ტურნირის (მინიფეხბურთი) საფასური	-	-	-	400,00	400,00	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-	-	250,00	250,00	-
აუდიტორული მომსახურება	-	-	-	1.403,00	1.050,00	353,00
სატრენინგო მომსახურებები	2.900,00	2.900,00	-	2.600,00	2.600,00	-
ლაზერული პრინტერების შეძენა (2)	-	-	-	1.800.00	1.779,66	20,34
ლაზერული პრინტერების დღგ				321,00	320,34	0,66
ფინანსური დოკუმენტაციის შეკერვა/დამუშავება	200,00	200,00	-	-	-	-
ტელევიზიის შენობის აზომვითი ნახაზის მომზადება	1.200,00	1.200,00	-	-	-	-
თანამშრომელთა დაზღვევა	85.140,00	85.139,84	0,16	4.740,00	4.648,00	92,00
ავტომანქანების დაზღვევა	3.810,00	3.809,59	0,41	-	-	-
არარეზიდენტის მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაგვრის დღგ	10.560,00	10.433,70	126,30	-	-	-
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები და სასამართლო ბაჟი	-	-	-	2.225,00	2.210,52	14,48
სოციალური უზრუნველყოფა (შტატი)	22.960,00	22.958,73	1,27	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე)	14.185,00	14.175,35	9,65	-	-	-
ახალი ამბები	**1.346.220,00**	**1.346.158,67**	**61,33**	**5.000,00**	**4.595,00**	**405,00**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1.140.890,00	1.140.889,28	0,72	-	-	-
პრემია (შტატგარეშე)	20.300,00	20.300,00	-	-	-	-

მივლინება ქვეყნის შიგნით	23.999,00	23.940,00	59,00	5.000,00	4.595,00	405,00
მივლინება ქვეყნის გარეთ	30.717,00	30.716,68	0,32	-	-	-
პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები (აზერსატი)	2.889,00	2.888,80	0,20	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	321,00	320,98	0,02	-	-	-
პირდაპირი ჩართვებისათვის აპარატის (Live-U) დაქირავება	1.000,00	1.000,00	-	-	-	-
საინფორმაციო მომსახურება "როიტერი"	81.129,00	81.128,64	0,36	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	9.015,00	9.014,29	0,71	-	-	-
საინფორმაციო მომსახურება " ახალი ამბები "	3.540,00	3.540,00	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	32.420,00	32.420,00	-	-	-	-
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	**2.448.105,00**	**2.446.853,51**	**1.251,49**	**119.630,00**	**113.332,78**	**6.297,22**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1.726.001,00	1.726.000,53	0,47	57.985,00	57.982,27	2,73
პრემია (შტატგარეშე)	5.650,00	5.650,00	-	2.500,00	2.500,00	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	45.578,00	45.576,89	1,11	7.120,00	7.115,75	4,25
მივლინება ქვეყნის გარეთ	68.120,00	68.119,58	0,42	11.256,00	11.255,73	0,27
რადიოს ლოგოს გამოსახულების ფირნიშის შეძენა	-	-	-	600,00	576,27	23,73
რადიოს ლოგოს გამოსახულების ფირნიშის დღგ	-	-	-	104,00	103,73	0,27
სატელევიზიო სიგნალის ტრანსლაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგი	1.506,00	1.505,59	0,41	-	-	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა-გახმოვანება	423.495,00	423.494,50	0,50	-	-	-
სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა	59.064,00	59.048,75	15,25	16.795,00	14.850,00	1.945,00
საავტორო უფლებების ჰონორარი	25.000,00	24.257,00	743,00	-	-	-
საავტორო უფლებების შესყიდვა (არანყირებული მუსიკალური ნაწარმოების როგორც საჯარო გადაცემა/გამოყენების, ასევე რეპროდუქციის უფლების უვადოდ გადაცემა)	640,00	640,00	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	11.500,00	11.493,18	6,82	-	-	-
სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი	1.564,00	1.082,00	482,00	4.500,00	2.551,13	1.948,87
სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიიის ხარჯი	-	-	-	7.800,00	7.507,86	292,14
მიკროფონის ღრუბლების შეძენა/განბაჟება	4.547,00	4.546,34	0,66	-	-	-
ნამზადების შეძენა	-	-	-	2.500,00	1.465,34	1.034,66
გარეწარმოება (საგამოძიებო დოკუმენტური ფილმები)	48.000,00	48.000,00	-	-	-	-
ბრენდირებული საქონელი	16.851,00	16.850,30	0,70	3.520,00	3.117,00	403,00
ბრენდირებული საწვიმარი ლაბადები	4.980,00	4.980,00	-	-	-	-
პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, კოსმეტიკური საშუალებები	4.884,00	4.883,85	0,15	2.550,00	1.907,70	642,30
სამსახურებრივი მოწმობების (ბეიჯი) დამზადება	425,00	425,00	-	-	-	-
მედიაკონვერტორის დაქირავება	-	-	-	2.400,00	2.400,00	-
სტუდიის განახლების სამუშაობი (ინტერიერის გაფორმება)	300,00	300,00	-	-	-	-
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	**445.160,00**	**430.511,49**	**14.648,51**	**-**	**-**	**-**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	395.750,00	391.681,81	4.068,19	-	-	-
პრემია (შტატგარეშე)	4.875,00	4.875,00	-	-	-	-
მივლინება ქვეყნის შიგნით	2.000,00	1.554,54	445,46	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	10.535,00	10.500,14	34,86	-	-	-
გარეწარმოება (შემეცნებით/გასართობი რუბრიკები და გადაცემები)	30.000,00	19.900,00	10.100,00	-	-	-
სატრენინგო მომსახურებები	2.000,00	2.000,00	-	-	-	-

ტექნიკური უზრუნველყოფა	**1.471.320,00**	**794.858,76**	**676.461,24**	**-**	**-**	**-**
პრინტერების შეძენა (7)	10.860,00	10.643,60	216,40	-	-	-
სატელევიზიო ტექნიკის რემონტი	4.950,00	4.950,00	-	-	-	-
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)	440.000,00	240.000,00	-	-	-	-
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	25.865,00	25.865,00	-	-	-	-
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	224.400,00	224.400,00	-	-	-	-
საქ.ტელეცენტრის ანძების (რადიოგადამცემების ნაწილში) იჯარა	1.790,00	-	1.790,00	-	-	-
სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი	3.000,00	3.000,00	-	-	-	-
მიმღებ/გადამცემი აპარატურის შენობის სახურავის იჯარა	4.800,00	4.800,00	-	-	-	-
რადიო ვიზუალიზაციისთვის პროგრამის განახლება	2.175,00	2.175,00	-	-	-	-
მოძრავი სატელევიზიო სადგური (მსს)	375.000,00	-	375.000,00	-	-	-
ციფრული მიმღებ-გადამცემი (Live-U)	100.000,00	-	100.000,00	-	-	-
უკაბელო ხელის მიკროფონებისა და სამკერდე მიკროფონების შეძენა	33.270,64	-	33.270,64	-	-	-
ხმის პულტისათვის ნაწილების კომპლექტის, დინამიკების და Go-Pro კამერის შეძენა	13.100,00	-	13.100,00	-	-	-
ვიდეოკამერ(ებ)ის კომპლექტი (წინასწარი)	162.285,00	11.000,00	151.285,00	-	-	-
სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტი	3.000,00	3.000,00	-	-	-	-
ვიდეოკამერის მეხსიერების ბარათები	14.373,00	14.372,40	0,60	-	-	-
ციფრული სიგნალის საკონტროლო ანალიზატორი	5.500,00	4.602,00	898,00	-	-	-
კომუტაციური აპარატურა-კარადა-სასერვერო რეკი გაგრილებით	1.180,00	1.180,00	-	-	-	-
ოპტიკური კონვერტორის აპარატურის დაქირავება	3.200,00	3.200,00	-	-	-	-
სამუშაო ხელთათმანების შეძენა	36,00	36,00	-	-	-	-
კომპიუტერული ტექნიკა, მარაგები და გარე მყარი დისკების შეძენა	5.582,00	5.581,40	0,60	-	-	-
რადიო გადამცემების (სადგური) შეძენა (6)	83.200,00	83.200,00	-	-	-	-
რადიო გადამცემების ანტენების შეძენა (6)	7.858,80	7.858,80	-	-	-	-
მიკროფონები და აქსესუარები	5.428,00	5.428,00	-	-	-	-
საკომუნიკაციო რეკები და გამანაწილებლები	2.800,00	2.800,00	-	-	-	-
ვიდეოსიგნალის კონვერტორები	3.872,00	3.872,00	-	-	-	-
გრაფიკული სამუშაო სადგურები (2) (ვიდეოსამონტაჟო)	35.164,00	35.164,00	-	-	-	-
ფოტოკამერა (1)	4.248,00	4.248,00	-	-	-	-
უწყვეტი დენის წყარო (6)	9.784,56	9.784,56	-	-	-	-
გარეგადაღებებისათვის გასაშლელი კარავი (კოსტრუქცია)	3.000,00	2.100,00	900,00	-	-	-
სტუდიური რადიო მონიტორინგის სისტემის, პასიური მიმართულების ანტენის, სამაუწყებლო საეთერო მიკროფონის, პროფესიონალური სტუდიური მიკროფონის სამაგრის შეძენა	49.731,10	49.731,10	-	-	-	-
საფრენი აპარატი (დრონი)	5.528,30	5.528,30	-	-	-	-
კონდიციონერის შეძენა მესამე სართულისათვის	4.850,00	4.850,00	-	-	-	-
ვიდეოთვალის კომპლექტი	1.700,00	1.700,00	-	-	-	-
საქ.ტელერადიო ცენტრის ანძებზე რადიოგადამცემების მონტაჟი/დემონტაჟი	19.788,60	19.788,60	-	-	-	-
სხვა გადასახდელები	**69.690,00**	**68.857,01**	**832,99**	**34.000,00**	**34.000,00**	**-**
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	68.083,00	67.250,01	832,99	-	-	-

საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	-	-	-	27.963,67	27.963,67	-
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე - მოსაკრებელი	50,00	50,00	-	6.036,33	6.036,33	-
დასუფთავების მოსაკრებელი	1.557,00	1.557,00	-	-	-	-

4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ

2019 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოსავლებმა დღგ-ს ჩათვლით (დარიცხული) შეადგინა სულ 250 387,15 ლარი, მათ შორის:

1) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლები შეადგენს 183 616,90 ლარს, კერძოდ:

→ შემოსავლები სატელევიზიო ეთერში პროდუქტის განთავსების (Product Placement) მომსახურებიდან 2 800,00 ლარი;

→ შემოსავლები კომერციული რეკლამიდან 89 877,36 ლარი;

→ შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან 74 910,25 ლარი;

→ შემოსავლები სხვა (არქივიდან მასალის გაცემა) მომსახურებიდან 98,58 ლარი;

→ შემოსავლები ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო (პირგასამტეხლო) 15 864,21 ლარი;

→ სხვა შემოსავლები (კურსთაშორის სხვაობა) 66,50 ლარი.

2) მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში მიღებული შემოსავლები შეადგენს 66 770,25 ლარს, კერძოდ:

→ შემოსავლები "ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" -ს დაფინანსებით 41 532,05 ლარი;

→ შემოსავლები "ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი"-ს დაფინანსებით 10 238,20 ლარი;

→ შემოსავლები "ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჯგუფი"-ს დაფინანსებით 15 000,00 ლარი.

არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში:

❖ **არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები**



2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბანკო (სახაზინო) ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 773 458,88 ლარი, მათ შორის:

- საბიუჯეტო სახსრები (გრანტი) – 696 966,55 ლარი;
- არასაბიუჯეტო სახსრები (შემოსავლები) – 76 492,33 ლარი;

დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ნაშთი 01.01.2019	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2019
23 512,93	9 001 587,17	8 251 641,22	773 458,88

5. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

მაუწყებელში სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვა, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ და შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები) შესაბამისად.

მაუწყებლის მიერ გამოყენებული შესყიდვის ფორმებია:

- კონსოლიდირებული ტენდერი
- ელექტრონული ტენდერი
- გამარტივებული შესყიდვები

2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ:

1) გამოცხადებული იყო 48 ტენდერი, მათ შორის 8 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 5 არ შედგა, 4 შეწყდა, ხოლო 31 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები_ საერთო ღირებულებით 731.630,44 ლარი..

2) განხორციელდა 247 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:

- 85 არასაბიუჯეტო შემოსავლებით _ საერთო ღირებულებით 41.062,89 ლარი;
- 162 სახელმწიფო ბიუჯეტით _ საერთო ღირებულებით 278.977,68 ლარი.

3) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 20 ხელშეკრულება _ საერთო ღირებულებით 207.729,47 ლარი.

❖ **სახელმწიფო შესყიდვების მაჩვენებლები**



„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვების გარდა, 2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მიერ განხორციელდა შემდეგი შესყიდვები და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

1) 6 იჯარა _ საერთო ღირებულებით 24.700,00 ლარი;
2) 5 გარეწარმოება (საგამოძიებო დოკუმენტური ფილმები, შემეცნებით/ გასართობი რუბრიკები და გადაცემები) _ საერთო ღირებულებით 67.900,00;
3) 12 მაუწყებლობასთან დაკავშირებული (პირდაპირი ჩართვები, თანამგზავრული და სხვა) მომსახურება _ საერთო ღირებულებით 322.535,64 ლარი;
4) 27 სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმები, მათ შორის:
   - 4 არასაბიუჯეტო შემოსავლებით _ საერთო ღირებულებით 14.850,00 ლარი;
   - 23 სახელმწიფო ბიუჯეტით _ საერთო ღირებულებით 482.558,25 ლარი.



6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ (სახაზინო პროგრამული კოდი 420102) „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (კანონი #3948-Iს_13/12/2018) საქართველოს კანონით, პროგრამით „მაუწყებლის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 42 00), გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განახორციელა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა.

2) „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს:

ა) საბიუჯეტო სასრების ხარჯები განისაზღვრა 8 730 000,00 ლარით.

საკასო შესრულებამ შეადგინა 8 033 033,45 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,02%-ია.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნება შეადგენდა 1 638 600,00 ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 638 573,95 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,99%-ია.

ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 352 00,00 ლარით.

საკასო შესრულებამ შეადგინა 712 492,80 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 52,70%-ია.

3) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ნაწილში სახელწიფო ასიგნების ფარგლებში ათვისებულმა ბიუჯეტმა შეადგინა სულ 8 033, 0 ათასი ლარი. დამატებით მაუწყებელმა

ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღო (დარიცხული) შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით) სულ 250,4 ათასი ლარი.

დასახული შუალედური/საბოლოო შედეგები

პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს ახალი ამბებისა და მაღალმხატვრული ღირებულების სატელევიზიო და რადიო პროგრამების მიწოდებით საზოგადოების ინფორმირებულობისათვის ხელის შეწყობა, ტელე-რადიო არხის რეიტინგის გაზრდა, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები

ა) მაუწყებლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მედიაწარმოებისა და პროდიუსინგის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:

- ✓ განხორციელდა სტუდიური რადიო მონიტორინგის სისტემის, პასიური მიმართულების ანტენის, სამაუწყებლო საეთერო მიკროფონის, პროფესიონალური სტუდიური მიკროფონის სამაგრის შეძენა, რომელიც დამონტაჟდა სტუდია №1-ში;
- ✓ შემოქმედებითი სამსახურისათვის შეძენილ იქნა 1 ერთეული საფრენი აპარატი (დრონი);
- ✓ შეძენილ იქნა სტუდიური განათების კომპლექტი, აუდიო აპარატურა, სტაციონალური მიკროფონები და მიმღებები, სამკერდე მიკროფონები, ხელის რადიო მიკროფონები, უკაბელო საკამერო მიკროფონის კომპლექტი, აუდიო სიგნალის მიმღები, ყურსასმენები, HDMI და USB კაბელები, აუდიო და ვიდეო სიგნალის გარდამქნელები, სხვადასხვა მოწყობილობები და აქსესუარები;
- ✓ მაუწყებლის ტექნიკური ნაწილის გასამართად შეძენილ იქნა საკომუნიკაციო რეკები და გამანაწილებლები;
- ✓ პრომოუშენის ჯგუფისთვის შეძენილ იქნა ორი ერთეული გრაფიკული სადგური;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის და აპარატისთვის შეძენილ იქნა ნოუთბუკები;
- ✓ ფოტორეპორტაჟების მოსამზადებლად ვებ. გვერდის სამსახურისთვის შეძენილ იქნა ფოტოაპარატი;
- ✓ სტუდიების და მაუწყებლის შენობ(ებ)ის ადაპტირებისათვის შეძენილ იქნა 2 ერთეული პანდუსი;
- ✓ საგანგებო სიტუაციებში გარეგადაღებების ორგანიზების მიზნით შეძენილ იქნა 3 ერთეული გასაშლელი კარავი (კონსტრუქცია);
- ✓ სისტემატურად ხორციელდებოდა ვიდეო კამერების, საკამერო განათების, სამკერდე და ხელის მიკროფონების ტექნიკური მონიტორინგი;
- ✓ ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მ. აბაშიძის №41) მდებარე უწყვეტი დენის წყაროს (UPS), ვიდეო კამერებს, სამკერდე

მიკროფონებს, შტატივებსა და არსებულ სხვა ტექნიკას. შეკეთდა შემოქმედებითი გადაცემებისა და ახალი ამბების ვიდეო კამერები, პირდაპირი ჩართვის აპარატი (LIVE-U) და განათების კომპლექტი;

- ✓ განხორციელდა მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მ.აბაშიძის №41) სარემონტო სამუშაოები, კერძოდ:
  - *მაუწყებლის პირველ სართულზე მძღოლებისათვის მოეწყო ოთახი (შეიცვალა იატაკი, შეიღება კედლები, დამონტაჟდა კონდიციონერი, განხორციელდა მეტალოპლასტმასის ვიტრაჟის მოწყობა);*
  - *მაუწყებლის შემოსასლელ ფოიში დამუშავდა/შეიღება კედლები და ჭერი;*
  - *მაუწყებლის შემოსასლელ ფოიში დამუშავდა/შეიღება კიბის მოაჯირები და კიბის გასწვრივ ხის პლინტუსები;*
  - *შეიცვალა N31 ოთახის ხის კარი, მეტალოპლასტმასის კარით;*
  - *განხორციელდა ტელევიზიის შენობის კედლის ამორტიზირებული ფურცლოვანი ბურულისა და მოლარტყვის დემონტაჟი/მონტაჟი;*
- ✓ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა მაუწყებლის ბალანსზე რიცხული, მაღალი გამავლობის 2 ერთეული ავტომობილის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მომწოდებლის ბრალეულობით, კერძოდ: ძრავის ტექნიკური გაუმართაობით, ექსპერტიზის ჩასატარებლად გადახდილი საფასური დაბრუნებულ იქნა მაუწყებლის ანგარიშზე;
- ✓ მაუწყებლის შენობის მესამე სართულზე განხორციელდა გაგრილებისა და კონდიცირების სისტემის შესყიდვა-მონტაჟი;
- ✓ განხორციელდა უსაფრთხოების სისტემის (SOPHOS) ლიცენზიის განახლება;
- ✓ განხორციელდა რადიო ვიზუალიზაციის პროგრამის 1 წლის ვადით განახლება;
- ✓ ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა 1 წლიანი ელექტრონული ლიცენზიის შეძენა;
- ✓ განხორციელდა სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგის 1 წლიანი ლიცენზიის შეძენა;
- ✓ განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა;
- ✓ განხორციელდა ფაერვოლისა და როუტერის (Sophos SG230) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი;
- ✓ განხორციელდა ვიდეო არქივის შემნახველი მყარი დისკების მასივი/სერვერის (ე.წ. სტორიჯი) კონფიგურირება და მონიტორინგი;
- ✓ განხორციელდა სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი;
- ✓ განხორციელდა მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგის ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, ინფორმაციის გადატანა, ბექაფი, ელექტრონული ფოსტების შექმნა, ინტეგრაცია კლიენტურ პროგრამებში და მონიტორინგი;

- ✓ განხორციელდა ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ე.წ. ტიტროვშიკი), პროექტების დამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ✓ განხორციელდა საეთერო, სამაუწყებლო, კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, ქსელური ენკოდერების კონფიგურირება გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, საეთერო პულტებში გრაფიკული ელემენტების ჩაწერა და კონფიგურირება;
- ✓ განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი;
- ✓ ვებგვერდის შექმნისათვის სრულყოფილი ტექნიკური დავალებისა და სატენდერო (NAT180013787) წინადადების შესაბამისად განხორციელდა ვებგვერდის დამზადება;
- ✓ გადაცემა „აკვარიუმი“-ს რადიოს ადმინისტრაციულ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, განხორციელდა დეკორაციის შეცვლა, დამონტაჟდა განათებები და განხორციელდა ტექნიკური გადაიარაღება;
- ✓ პირდაპირი ჩართვების უზრუნველსაყოფად, განხორციელდა სატელევიზიო სტუდია №3-ს (ე.წ თითების სტუდია) დაკავშირება ცენტრალურ სააპარატოსთან და სტუდიებში მოეწყო განათებები;
- ✓ შევიძინეთ აუდიო, ვიდეო და ქსელის კაბელები თავისი კონექტორებით, რომელებიც გამოყენებული იქნა მაუწყებლის შენობ(ებ)ში კაბელებისა და კომუნიკაციის მოსაწესრიგებლად;
- ✓ მედიაწარმოება და პროდიუსინგის (ტელევიზია, რადიო) მიმართულებით განხორციელდა შემდეგი შესყიდვები:
  - *გარეწარმოების ნაწილში: საგამოძიებო დოკუმენტური ფილმები, რადიოს შემეცნებითი-გასართობი რუბრიკები და გადაცემები;*
  - *სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმები (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული ფილმები და სერიალები);*
  - *სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული მხატვრული ფილმები;*
  - *არანჟირებული მუსიკალური ნაწარმოების როგორც საჯარო გადაცემა/გამოყენების, ასევე რეპროდუქციის უფლების უვადოდ გადაცემა;*
  - *სარეკლამო ბანერის, ნაბეჭდი ფირების, მიკროფონის ღრუბლების, სატელევიზიო გადაცემებისათვის საჭირო მასალების, დეკორაციებისა და სხვადასხვა საქონელის შეძენა-ბრენდირება;*
  - *სოციალური ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანია;*
  - *პრომოუშენისათვის გრაფიკული ნამზადების შეძენა-გაფორმება.*
- ✓ სატელიტური ანტენის, რადიო და სატელევიზიო საეთერო სიგნალის შესამოწმებლად შეძენილ იქნა საკონტროლო ანალიზატორი, განახლდა ტელევიზიის, რადიოსა და გადამცემი სადგურებისათვის (ომბალაური, ხულო, შუახევი) ელექტრო კვებით უწყვეტად მომარაგებისათვის (UPS) აკუმულატორები და უწყვეტი დენის წყარო;
- ✓ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ 2018 წლის 23 აგვისტოს №499/13 დადგენილებით საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოს მიანიჭა FM დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის სიხშირეები შემდეგ ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში:

- *თბილისი (რადიო/სატელევიზო ანძა) 90,2;*
- *გორი (რადიო/სატელევიზო ანძა) 94,1;*
- *ქუთაისი (რადიო/სატელევიზო ანძა) 99,3;*
- *ზუგდიდი (რადიო/სატელევიზო ანძა) 97,1;*
- *ხულო (რადიო/სატელევიზო ანძა) 104,1;*
- *ქედა (სოფ. ზენდიდის რადიო/სატელევიზო ანძა) 106,1;*
- *ლაგოდეხი (რადიო/სატელევიზო ანძა) 90,7;*
- *ფოთი (რადიო/სატელევიზო ანძა) 90,7;*
- *ქობულეთი (სოფ. ლელვას რადიო/სატელევიზო ანძა) 96,1.*

➢ მიმდინარე წელს შეძენილ იქნა და დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი სადგურები, FM რადიოგადამცემი ანტენები შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ს კუთვნილ ანძებზე, კერძოდ:

- *თბილისი (სატელევიზო ანძა) (ს/ნ 3295_სადგური; ს/ნ 3301_ანტენა);*
- *გორი (სატელევიზო ანძა) 94,1 (ს/ნ 3297_სადგური; ს/ნ 3302_ანტენა);*
- *ქუთაისი (სატელევიზო ანძა) 99,3 (ს/ნ 3305_სადგური; ს/ნ 3303_ანტენა);*
- *ზუგდიდი (სატელევიზო ანძა) 97,1 (ს/ნ 3287_სადგური; ს/ნ 3299_ანტენა);*

ყველა სადგურზე განხორციელდა არსებული კოაქსიალური კაბელების დემონტაჟი და ახალი კოაქსიალური კაბელების, FM რადიოგადამცემების, გადამცემი ანტენების, ელ.ძალური კაბელების, სტენდების (რეკი) მონტაჟი.

➢ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფელ ცოდნისკარში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე (გადამცემი მაუწყებლობს FM 90,7 სიხშირეზე) ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. დამონტაჟდა აჭარის რადიოს გადამცემი სადგური (ს/ნ 3294), FM რადიოგადამცემი ანტენა (ს/ნ 3298) და ელექტროკვებით უწყვეტად მომარაგებისათვის დამონტაჟდა უწყვეტი დენის წყარო (ს/ნ 3292). შეიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი და რესივერი, დამონტაჟდა ტალღაგამტარი კაბელი.

✓ ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე (გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე) ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები):

- *გარემონტდა გადამცემი სადგური;*
- *სრულად შეკეთდა გადამცემი ორდიპოლიანი ანტენები;*
- *დამონტაჟდა სარეზერვო გადამცემი ანტენები;*
- *დამონტაჟდა ახალი სატელიტური რესივერი და ანტენა;*
- *დიზელ-გენერატორის საწვავის ავზში ჩასხმული იქნა დიზელის საწვავი, გენერატორში გამოიცვალა ზეთი და ფილტრი;*
- *დამონტაჟდა სამეთვალყურეო კამერები;*
- *გარემონტდა ელ.გაყვანილობა სააპარატოში და სადიზელეში;*
- *შეიცვალა ტალღაგამტარი კაბელი;*
- *დამონტაჟდა სარეზერვო FM გამაძლიერებელი მოდულატორი.*

✓ აჭარის მუნიციპალიტეტებში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურებზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). აღდგენილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები, რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურებს, გარემონტდა:

- *გადამცემი სადგურის ინდიკაციის და გამაძლიერებლის ბლოკი;*
- *მიმღები და გადამცემი ანტენები;*
- *სერვორეგულატორები;*

- *კვების ბლოკი;*
- *დენის სტაბილიზატორები;*

შეიცვალა სატელიტური თავაკი და რესივერი, დამონტაჟდა ტალღაგამტარი კაბელები;

განხორციელდა ხულოს მუნიციპალიტეში, სოფელ გოდგაძეებში (არგინეთი) მდებარე, მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ანძის სარემონტო (გამაგრებითი) სამუშაოები;

- ✓ მაუწყებლის ბალანსზე რიცხულ ავტომობილებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, დაზღვეულ იქნა ავტოპარკის სრული შემადგენლობა, განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებათა GPS კონტროლის მომსახურების, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების, პარკირებისა და რეცხვის ორგანიზაციული საკითხები;
- ✓ უსაფრთხოების მიზნით მაუწყებლის ავტოპარკი აღიჭურვა ცეცხლმაქრებით და პირველადი სამედიცინო პრეპარატებით, ასევე განხორციელდა მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობებში სახანძრო მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

ბ) მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მიერ დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი მიზნები:

→ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის 2019 წლის 15 ნოემბრის №02-03/17 ბრძანების და მასში 2019 წლის 26 დეკემბრის №02-03/21 ბრძანებით შეტანილი ცვლილების თანახმად ჩატარდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე 2019 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. აღნიშნული წესის მოთხოვნათა მიხედვით 2019 წლის ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული ყველა აქტივი, გარდა უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწა), საბიბლიოთეკო და ფონოთეკის ფონდებისა, კერძოდ, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, არაწარმოებული არამატერიალური, არაფინანსური და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობები (საბუღალტრო სინთეზური ანგარიშები: 2121, 2122, 2130, 2132, 2133, 2220, 2410, 2430 და საცნობარო მუხლები 04, 05, 08 და 10). ყოველ მათგანზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით გაიცა საინვენტარიზაციო უწყისი. ცალკ-ცალკე უწყისში შევიდა ნარჩენი ღირებულების მქონე ამორტიზებული ფასეულობებიც. კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა ბალანსზე რიცხული ქონების მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გაწერის სისწორე. კერძოდ: მაუწყებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 20 ოქტომრის №01-03/13 (მატერიალურად პასუხისმგებელ პირების განსაზღვრისა და საწყობიდან ქონების გაცემის წესის შესახებ) ბრძანებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული ქონება განპიროვნებულია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში, დადგენილი წესით, შევსებულია საინვენტარიზაციო ბარათები (ელექტრონული ვერსია-ბუღალტრული პროგრამის შესაბამისად, ფორმა №ძს-6. დანართი №1). აქტივების გადაცემა, ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან მეორეზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. ინვენტარიზაციის ჩატარების მოქმედი წესის თანახმად, ადგილზე, კომისიის მიერ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, ჩატარებული

ინვენტარიზაციის შედეგად შედგა 69 (შედარების) უწყისი (ფორმა№ინვ-1) და დადგინდა შემდეგი:

- ფაქტობრივ და ბუღალტრულ მონაცემებს შორის სხვაობა, (მეტობა ან ნაკლებობა) არ დაფიქსირებულა და შესაბამისად აისახა შედეგების აქტით-ფორმა №ინვ-2.
- ინვენტარიზაციის შედეგად სულ აღწერილია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს ბალანსზე, 2019 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით, რიცხული 2518 ერთეული 4 661 235,50 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების არაფინანსური და გრძელვადიანი მცირე ფასიანი აქტივები, მათ შორის:

  ა) „ძირითადი ფონდები“ (ანგარიში-2120), 3 159 592,58 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულება, აქედან:

  - „სატრანსპორტო საშუალებები“ (ანგარიში-2121), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 265 329,56 ლარი;

  - „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ანგარიში-2122), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 2 894 263,02 ლარი;

  ბ) „სხვა ძირითადი აქტივები“ (ანგარიში-2130), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 719 488,73 ლარი;

  გ) „სხვა ძირითადი საშუალებები“ არაწარმოებული ძირითადი აქტივები (ანგარიში -2132), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 58 371,33 ლარი;

  დ) „ფილმები და პროგრამული გადაცემები“ (ანგარიში-2133), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 423 494,50 ლარი;

  ვ) „სხვა ბუნებრივი აქტივები“ (ანგარიში-2430), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 9 055,96 ლარი;

  ზ) გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (ანგარიში-2200) ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 14 875,75 ლარი;

  თ) ხარჯებში ჩამოწერილი, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (ბსმ 10 ანგარიში), ღირებულებით 276 356,65 ლარი;
- მაუწყებლობის საწყობში ჩაუტარდა ნაწილობრივი ინვენტარიზაცია მორალურად მოძველებულ ანძების მარაგებსა და ვიდეო კასეტებს. საწყობში ინვენტარიზაციის შედეგებზე გამოიცა მაუწყებლის, 2019 წლის 21 ნოემბრის №02-03/18 ბრძანება -სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“- ს ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“- სათვის განსაკარგავად გადაცემის შესახებ, რომელშიც შევიდა მორალურად მოძველებული ანძების ტექნიკური მარაგები და უსარგებლო, მოძველებული ვიდეო კასეტები სულ: 13 375,53 ლარის ქონება.
- ასევე ინვენტარიზაციის შედეგად აღწერილია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ -ს ბალანსის საცნობარო მუხლებში 2019 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით რიცხული:

  1) ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში (ბსმ 04 ანგარიში), 264 ცალი 35 296,09 ლარის ღირებულების მცირეფასიანი საგნები და ინვენტარი.

  2) ,,პირობითი მოთხოვნები“ (ბსმ 05 ანგარიში) - 5 385,52 ლარი, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის 19 აგვისტოს კურორტ „ბახმაროში“ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ სადღესასწაულო დოღის გადაღებისას დაზიანებული ვიდეოკამერის თაობაზე.

  3) ამორტიზებული ძირითადი აქტივები (ბსმ 08 ანგარიში) 42 ერთეული - 150 674,18 ლარი;
- 2019 წლის ინვენტარიზაციით, ჩამოწერას დაექვემდებარა:

ა) 62 368,97 ლარი საწყისი და 19 036,19 ლარი ნარჩენი ღირებულების მქონე 35 ერთეული ძირითადი საშუალება (ს/ანგარიში 2122- „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“). აღნიშნულ სიაში განმეორებით შევიდა 2018 წელს, ინვენტარიზაციით განსაზღვრული ჩამოსაწერი აქტივები - 33 ერთეული 60 947,65 საწყისი და 19 036,19 ლარი ნარჩენი ღირებულებით, მათზე გაკეთდა აუდიტორული კომპანია „კომპაუდი“-ს, 2018 წლის 28 სექტემბრის №556-ქ დასკვნა, მაგრამ ამ პროცესის დასრულება 2018 წელს, ვერ მოხერხდა მაუწყებლობისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 ივნისის №125 ბრძანების, მუხლი1-ის, დანართი №1 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების საფასურის განსაზღვრის, ამ ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესი და პირობები“- ის, მუხლი 2-ის თანახმად, მაუწყებელს უფლება ქონდა ჩამოსაწერი ქონება, დადგენილი წესით, განსაკარგავად გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის. აღნიშნული სააგენტოს წარმომადგენლობა, დასავლეთის რეგიონში, იმ დროისათვის არ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული, რის გამოც არ მოხერხდა მათთან მოლაპარაკება ჩამოსაწერი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე. 2019 წელის 03 სექტემბერს მაუწყებლის მიერ სააგენტოში გაგზავნილი წერილზე (№02-19/379), სააგენტომ 2019 წლის 02 ოქტომბრის №19-05/1310 პასუხით, თანხმობა განაცხადა მხოლოდ საწყობში არსებული მორალურად მოძველებული, გამოუყენებელი მარაგ-ნაწილებისა და ძველი ტიპის ვ/კასეტების BT CAM და DV CAM -ის ნაშთზე.

ჩამოწერა განხორციელდა 2019 წლის ინვენტარიზაციის პერიოდში (საფუძველი: ბრძანება №02-03/14_01.11.2019 და ლიკვიდაციის აქტი №02-26/2765/1_14.11.2019), ლიკვიდაციის შედეგად დარჩა დაუმზადებელი ჯართი და 2018 წლის 21 აგვისტოს №02-32/403 აქტით №3 სტუდიის დეკორაციის დემონტაჟისას მიღებული შავი ჯართი, სავარაუდო წონით სულ 115,5 კგ. მათ შორის: 106,50 კგ. შავი ლითონის და 9,0 კგ. სპილენძის ჯართი, სულ 153,80 ლარის ღირებულებით. ნარჩენები ჯართის სახით, გადატანილია და დასაწყობებულია მაუწყებლის შენობაში, მისამართზე: სს ორბელიანის №17-ში.

ბ) ჩამოწერას დაექვემდებარება ფილმები, 85 600,00 ლარის ღირებულებით, რომელთა ჩვენების ვადა 2019 წლის ბოლოს ამოიწურა;

გ) ჩამოწერას დაექვემდებარება ასევე, 51 ერთეული 8 640,13 ლარის ღირებულების, ხარჯებში ჩამოწერილი, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

ჩამოსაწერი ქონების განსაზღვრა მოხდა, მასზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ ჩამოწერის მიზეზის, ქმედითუნარიანობის წარდგინებით და კომისიის წევრთა მიერ, მისი ვიზუალური დათვალიერებით. რაც შეეხება მათი შემდგომი ჩამოწერის საკითხს, აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტორის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, კომისიური წესით, მოხდება ჩამოწერა-განადგურება.

კომისიამ აღნიშნა, რომ გახშირდა ტექნიკის დროზე ადრე ჩამოწერის აუცილებლობა, რაც ძირითადად შესაძლოა გამოწვეული იყოს ექსპლუატაციის წესების დარღვევით. ჩამოსაწერთა სიაში 2019 წელს წარმოდგენილი იყო აპარატურა, რომლის ნარჩენი ღირებულება პირვანდელის მიმართ 50%-ზე მეტი იყო. გარდა ამისა არ ექცევა სათანადო ყურადღება გამოყენებაში მყოფი ტექნიკის კომპლექტაციის მდგომარეობას, (კერძოდ, მათი შემადგენელი ნაწილების მწყობრიდან გასვლის გამო). დროულად არ ხდება დაზიანებაზე აქტის (ტექნიკური) შედგენა, არ არის ტექნიკის გამოყენების და

მათზე სათადარიგო ნაწილების შეძენის აუცილებლობის დასაბუთება (ნაადრევად ჩამოწერის მიზეზის დადგენა არ ხდება შესაბამის სერვის ცენტრებში ტექნიკური აქტის ან სხვა სახის წერილობითი საბუთების შედგენის გზით). არ კეთდება აპარატურის გეგმიური ტექნიკური შემოწმების გრაფიკი. აუცილებელია მატერიალური აქტივის ექსპლუატაციაში ჩაშვებამდე პასუხისმგებელმა პირმა მაუწყებლის დირექტორის 2019 წლის 28 თებერვლის №02/03/04 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენების რეგლამენტის შესაბამისად, სამსახურების, განყოფილებების უფროსებმა მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს დეტალურად გააცნონ აქტივის სწორი ექსპლუატაციის წესები და აღნიშნული ხელმოწერით დაადასტურებინონ; არ უნდა განხორციელდეს მაუწყებლის ბალანსზე რიცხული აქტივ(ებ)ის გადაადგილება პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმების გარეშე, რაც პრაქტიკულად არ ხორციელდება. ყოველივე ზემოთაღნიშნული გამოწვეულია აგრეთვე ტექნიკური სამსახურის კადრებით არასრულად დაკომპლექტების გამო. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ადგილზე შეკეთების სტრუქტურული ქვედანაყოფის შემოღების აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს ტექნიკის სრულფასოვან გამოყენებას მასზე დადგენილი ექსპლუატაციის ხანგრძლიობის დაცვით.

- კომისიამ ჩაატარა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და აღნიშნავს შემდეგს:

❖ 2019 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით ბალანსზე გაუცემელი ხელფასების სახით ირიცხებოდა კრედიტორული დავალიანება 1 783,18 ლარის ოდენობით, მათ შორის:

- საბიუჯეტო სახსრების ნაწილში_მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარი (უწყისი №403) _ 1 193,18 ლარი (ნოემბერში გაცემული ოქტომბრის თვის ჰონორარი);
- არასაბიუჯეტო სახსრების ნაწილში_შტატგარეშე თანამშრომლების (პროექტი-ბოშების ინტეგრაცია) ხელფასი (უწყისი №407) - 590,00 ლარი (ნოემბერში გაცემული ოქტომბრის თვის ხელფასი).

❖ 2019 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით საქვეანგარიშოდ თანხები არ გაცემულა;

❖ დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების ინვენტარიზაცია ჩატარდა დაფინანსების წყაროს მიხედვით, შედგა დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორების აქტი, რომლის მიხედვით დადგინდა შემდეგი:

- საბიუჯეტო სახსრებში,
- როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან;
- 2019 წლის 23 აგვიტოს №199 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიმდინარეობს სარჩელის მომზადება მოპასუხეების - შპს „ეიგლის“ და სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ წინააღმდეგ, მაუწყებლის მიერ ვალდებულების შესრულების მიზნით წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადახდილი თანხის - 11 000,00 ლარის დაბრუნების და შპს „ეიგლისათვის“ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო 8 234,25 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე;
- ხელფასის სახეში ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოიშვა ოქტომბრის თვეში, მაუწყებლის თანამშრომლის მრჩეველთა საბჭოს წევრად არჩევის გამო. კერძოდ, ოქტომბრის თვის ხელფასის ჩარიცხვის შემდეგ, განხორციელდა მრჩეველთა საბჭოს წევრად არჩევა, რის გამოც წარმოიქმნა

შესაბამისი პერიოდის დებიტორული დავალიანება, რომელიც ინვენტარიზაციის პერიოდში გასწორდა;

- ,,პირობითი მოთხოვნები“ (ბსმ 05 ანგარიში) – 5 385,52 ლარი, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის 19 აგვისტოს კურორტ „ბახმაროში“ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ სადღესასწაულო დოღის გადაღებისას დაზიანებული ვიდეოკამერის თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის მიერ საქმეზე მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ამ პერიოდისათვის, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო წესით, დავას განიხილავს, ოზურგეთის რაიონული სასამართლო მოპასუხეებიის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფ/პ ჯუმბერ ძირკვაძის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს საქმის განხილვა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძის უძრავ ქონებას - მიწის ნაკვეთს დაედო ყადაღა.

o არასაბიუჯეტო სახსრებში,

- როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, ძირითადად არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან, ხოლო რაც შეეხება გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს:

  - 2014 წლის 01 ოქტომბრის №23 ხელშეკრულება, მოსარჩელე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ სარჩელი მოპასუხე შპს „ბურჯი ინვესტის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე 4 425,71 ლარის ოდენობით, ასევე გადასახდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაკმაყოფილდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების მიზნით გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის.

  - 2014 წლის 28 ოქტომბერის №24 ხელშეკრულება, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია სარჩელი მოპასუხე შპს „გრილ ლაით სტუდიოს“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე 5 157,14 ლარის ოდენობით, ასევე პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 14 თებერვლის ჩათვლით გადასახდელი თანხის 5 157,14 ლარის 0,1%-ის ოდენობით - რაც შეადგენს 299,57 ლარს და ასევე პირგასამტეხლოს გადახდა გადასახდელი თანხის 5157,14 ლარის - 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 2016 წლის 15 თებერვლიდან ვალდებულების შესრულებამდე, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების მიზნით გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის.

  - 2015 წლის 23 დეკემბრის №8 იჯარის ხელშეკრულება, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს და შპს „ტვ-25“-ს შორის 2015 წლის 23 დეკემბრის #8 იჯაირს ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა 2017 წლის 31 ივლისს, თუმცა შპს „ტვ 25“ ახორციელებდა მაუწყებლის ქონების ფაქტობრივ ფლობას და სარგებლობდა მაუწყებლის ქონებით. 2019 წლის 17 აპრილს მხარეებს შორის გაფორმდა №04 საიჯარო ხელშეკრულება იმავე ქონებაზე. საიჯარო დავალიანება 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით შეადგენდა 11 508, 10 ლარს. მხარეებს შორის შედგა გადახდის გრაფიკი,

რომლის მიხედვითაც ნოემბერი-აპრილის მონაკვეთზე გადანაწილდა დავალიანება, თუმცა საინვენტარიზაციო პერიოდისათვის შპს „ტვ-25“ არ იხდის არც მიმდინარე საიჯარო ქირას და არც შედგენილი გრაფიკით გათვალისწინებულ დავალიანებას.

- 2015 წლის 01 ივლისის №02 იჯარის ხელშეკრულება, შპს აირნეტი ფაქტობრივი ფლობით სარგებლობდა 2015 წლის 01 ივლისის №02 იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ქონებით - გადამცემი სადგურით (ანძით). მაუწყებლის 2019 წლის 31 ოქტომბრის №02-02/478 წერილის საფუძველზე შპს „აირნეტმა“ ინვენტარიზაციის პერიოდში დაფარა დავალიანება.

❖ მწყობრიდან გამოსულია და ექვემდებარება შემდგომ ჩამოწერას:

ა) ძირითადი საშუალება, - „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, 124 486,97 ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე 43 ერთეული. აღნიშნულ სიაში განმეორებით შევიდა 2017 წლის ინვენტარიზაციით განსაზღვრული ჩამოსაწერი აქტივები-14 ერთეული 8 601,27 ლარის ნარჩენი ღირებულებით და ასევე აუქციონზე გასატანი 4 ერთეული 71379,39 ლარის ნარჩენი ღირებულებით, რომლებზეც გაკეთდა აუდიტორული კომპანია „კომპაუდი“-ს, 2018 წლის 28 სექტემბრის №556-ქ დასკვნა, მაგრამ ამ პროცესის დასრულება, ვერ მოხერხდა მაუწყებლობისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ბ) ჩამოწერას დაექვემდებარება ასევე ფილმები, 57757,62 ლარის ღირებულების, რომელთა ჩვენების ვადა 2018 წლის ბოლოს ამოიწურა;

გ) ჩამოსაწერში მოინიშნა აგრეთვე 65 ერთეული ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 8 021,19 ლარის ღირებულებით და 43 ერთეული მცირეფასიანი საგნები და ინვენტარი 3 740,27 ლარის ღირებულებით.

❖ ჩამოსაწერი ქონების განსაზღვრა მოხდა, მასზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ ჩამოწერის მიზეზის, ქმედითუნარიანობის წარდგინებით და კომისიის წევრთა მიერ მისი ვიზუალური დათვალიერებით. რაც შეეხება მათი შემდგომი ჩამოწერის საკითხს, მოწვეული სპეციალისტის ან აუდიტორის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, კომისიური წესით მოხდება ჩამოწერა/განადგურება.

❖ 01/02/2019 - 08/02/2019 და 01/02/2019 - 12/02/2019 პერიოდში მანქანა-დანადგარების პრივატიზებაზე ჩატარებული აუქციონები არ შემდგარა. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის მე 9 პუნქტისა და საქართველოს კანონი “სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 8-ს თანახმად, თუ არ მოხდება აუქციონზე გატანილი ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განიხილება, როგორც განმეორებითი აუქციონი. განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება 50% მდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ჩვენ მივმართეთ აუდიტორიულ კომპანია „კომპაუდს“ 2019 წლის 08 ნოემბერს N02-22/491 წერილით, მათ მიერ 2018 წლის 28 სექტემბერს მომზადებული დასკვნაში დაფიქსირებული საწყისი საპრივატიზებო ფასის 2019 წლის ნოემბერში-დეკემბერში გამოყენების თაობაზე, რაზეც მივიღეთ

თანხმობა (ა/კ „კომპაუდი“-ს 2019 წლის 13 ნოემბრის N02-22/411 წერილი). ორი ნივთის-მაგნიტოფონების ღირებულება არის 100-100 ლარი, ხოლო ვიდეოკამერა SONY PMV-150 -200 ლარი. თითოეულ მათგანზე 50 ლარი უკვე გადახდილია პირველი აუქციონის გამოსაცხადებლად, 50-50 ლარი იქნება გადასახდელი აუქციონის განმეორებით გამოსაცხადებლად, შესაბამისად კომისიამ გადაწყვიტა:

1. ჩამოიწეროს ანგარიშიდან 3 ერთეული მანქანა-დანადგარი: 2 მაგნიტოფონი პლეერი DSR 60 P DVCAM- ს/ნ 1265, ს/ნ 1266 და ვიდეოკამერა SONY PMV-150 (კომპლექტი) - ს/ნ 1571;
2. გატანილ იქნას აუქციონზე განმეორებით 1 ერთეული გადასატანი სატელიტური გადამცემი სადგური SWEDISH FLY AWAY IPT CASE- ს/ნ 2566 მასზე საწყისი საპრივატიზებო ფასის 50%-იანი შემცირებით.

❖ კომისიამ ჩაატარა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და აღნიშნავს შემდეგს:

1) 2018 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით გაუცემელი ან ზედმეტად გაცემული ხელფასისა და საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

2) დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების ინვენტარიზაცია ჩატარდა დაფინანსების წყაროს მიხედვით, შედგა დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორების აქტი, რომლის მიხედვით დადგინდა შემდეგი:

- საბიუჯეტო სახსრებში, როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, არის მოკლევადიანი (მიმდინარე)და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან;
- არასაბიუჯეტო სახსრებში, როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, ძირითადად არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან, ხოლო რაც შეეხება გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს, ორ შემთხვევაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია სარჩელი, მოპასუხე შპს „ბურჯი ინვესტი“-სა (4425,71 ლარი) და შპს „გრინ ლაით სტუდიო“-ს (5157,14 ლარი) მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე. 2018 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ბურჯი ინვესტი“-ს მიმართ დაკმაყოფილდა სარჩელი გადასახდელი თანხისა და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1%-ის დაკისრების თაობაზე, ხოლო შპს „გრინ ლაით სტუდიო“-ს მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

→ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ 35[12] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს სავარაუდო საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში (მშპ შესაბამისად) მომზადდა 2020 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცების შესახებ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი (ბიუჯეტში მუხლობრივად გაიწერა ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტ

მაუწყებლობის ხარჯები), მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ 2019 წლის 19 დეკემბრის №01-01/24 (ოქმი №29) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი"-ს სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №463 (ოქმი №316) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს 2020 წლის ბიუჯეტი.

მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგების ინდიკატორები

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებითა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-მ დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილება და მიზნობრივი ხარჯვა, თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელა მაუწყებლის საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

11.შიდა და გარე აუდიტის დასკვნები

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს შიდა და გარე აუდიტის დასკვნებზე ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტში (იხ.დანართი N3).